# მოქალაქეობა

მასწავლებლის წიგნი




ნინო კაპანაძე ◆ ნინო ტალახაძე

9

გამომცემლობა
სიდი

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსალი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

**ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;**

**ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;**

**გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;**

**დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;**

**ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;**

**ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;**

**ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;**

**თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.**

# მოქალაქეობა

მასწავლებლის წიგნი

მე-9 კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს.

თბილისი 2021

მოქალაქეობა 9
მასწავლებლის წიგნი მეცხრეკლასელთათვის
თბილისი, 2021

ავტორები: ნინო ტალახაძე, ნინო კაპანაძე,

რედაქტორი: თეონა ბექიშვილი
დიზაინერი: ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი: დავით გოგლიძე

© გამომცემლობა სიდი, 2021
ყველა უფლება დაცულია

შპს „გამომცემლობა სიდი“
ტელეფონი: 599623610
ვებ-გვერდი: www.ceed.ge
ელ-ფოსტა: info@ceed.ge
ceedgeorgia@yahoo.com
https://www.facebook.com/გამომცემლობა სიდი

Citizenship 9
Student's Book
© Ceed Publishing, 2021
all rights reserved.
Tbilisi, Georgia, 2021

ISBN 978-9941-8-1798-4

**მოგესალმებით, ძვირფასო მასწავლებელო!**

ჩვენ ერთად დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. საგანი ,,მოქალაქეობა“ და მისი დასაძლევი მიზნები მეცხრე კლასში, ანუ საბაზო საფეხურის ბოლოს, ნათლად და კონკრეტულად არის განსაზღვრული ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტში და ძალიან მნიშვნელოვან ამოცანებს სახავს.

აქტიურ, საკუთარ გარემოსა და ქვეყანაზე მზრუნველ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში მოსწავლეს თქვენი მეგზურობა სჭირდება. მათ მოქალაქისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები უნდა ჩამოუყალიბდეთ.

წინა კლასებში თქვენ ან თქვენმა კოლეგებმა უახლოესი გარემოს შეცნობიდან, მისი წესების გააზრებიდან, თანდათან გაუფართოვეთ თვალსაწიერი და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და თვითმმართველობის შესაძლებლობებზე და პრობლემებზე დააფიქრეთ, თავიანთი ადგილი და როლი დაანახეთ, გამოცდილება შესძინეთ.

ახლა კი მათ ჩვენი სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების შესახებ ცოდნის კარი უნდა შევუღოთ და ამ მრავალსტრუქტურიანი ,,ნაგებობის“, თითოეული რგოლის ფუნქცია-მოვალეობებში გავარკვიოთ. საკუთარი უფლებები და მოვალეობები უნდა შევაცნობინოთ.

პროგრამა სცდება სახელმწიფოს არეალს და გლობალურ თემებს - სამშვიდობო პროცესებსა და გარემოს დაცვასაც მოიცავს. შესაბამისად, მათთვის გლობალური მოქალაქეობის უნარების განვითარებაც აუცილებელია.

ჩვენ ჯგუფს გააზრებული აქვს დიდი პასუხისმგებლობა, შემოგთავაზოთ რესურსი, რომელიც განათლების სისტემაში დღეს მიმდინარე პროცესებს ეპასუხება და ეს რესურსი მოსწავლეებისთვის და თქვენთვის მისაღები, საინტერესო და მოხერხებული იყოს.

მიზანს მიღწეულად მივიჩნევთ, თუ მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები სწავლა-სწავლებაში თავის წვლილს შეიტანს.

მადლობა, რომ დაინტერესდით ამ წიგნებით.

**სარჩევი**

**სახელმძღვანელოს კონცეფცია................................................................................................................. 4**

**ეროვნული სასწავლო გეგმა ..................................................................................................................... 6**

**თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები ........................................ 11**
**სასწავლო თემის აგების პრინციპები ..................................................................................................... 17**
**შეფასება .................................................................................................................................................. 21**
თემა 1 . **ცენტრალური ხელისუფლება**........................................................................................................ 23

საათების სავარაუდო გადანაწილება ............................................................................................. 58

შეფასების რუბრიკები .......................................................................................................................... 59

**თემა 2. ეკონომიკა და სახელმწიფო..................................................................................................... 70**

საათების სავარაუდო გადანაწილება ............................................................................................... 89

დანართ 1............................................................................................................................................... 90

დანართი 2 ........................................................................................................................................ 93

დანართი 3 ............................................................................................................................................ 95

შეფასების რუბრიკები .......................................................................................................................... 100

**თემა 3. სამშვიდობო პროცესები .................................................................................................... 111**

საათების სავარაუდო გადანაწილება ............................................................................................... 135

შეფასების რუბრიკები .......................................................................................................................... 136

**თემა 4. გარემოს დაცვა ........................................................................................................................ 150**

საათების სავარაუდო გადანაწილება ............................................................................................... 166

შეფასების რუბრიკები .......................................................................................................................... 167

სახელმძღვანელოს კონცეფცია

მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები, რა თქმა უნდა, ახალი თაობის ეროვნული გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად არის გააზრებულიც და აგებულიც. მუშავდება **თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები.**

,,მოქალაქეობის" საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მასში 4 სავალდებულო თემა მუშავდება:

1. ცენტრალური ხელისუფლება
2. სახელმწიფო და ეკონომიკა
3. სამშვიდობო პროცესები
4. გარემოს დაცვა

თითოეული თემა და მასში პარაგრაფებად წარმოდგენილი საკითხები გრძელვადიანი სასწავლო მიზნების - შედეგებისა და მათი ტოლ-სწორი სამიზნე ცნებების დასამუშავებლად გამოიყენება.

მოსწავლის წიგნში ამ **თემებში** შერჩეული **საკითხები** პარაგრაფებად არის წარმოდგენილი, თითოეულ პარაგრაფში მოცემულია საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია, ასახული მრავალფეროვანი ვიზუალური საშუალებებით. ინფოგრაფიკის გამოყენება აღქმის პროცესის მხარდამჭერია.

მოსწავლის წიგნში მოცემულია რუბრიკები, რაც მოსწავლეებს შინაარსში ორიენტირებაში დაეხმარება. ასევე შემოთავაზებულია აქტივობების მთელი ნაკრები, ცხოვრებისეული სიტუაციები მსჯელობისთვის, სცენარები მოდელირებისთვის და ასე შემდეგ.

როგორც მოგახსენეთ, სახელმძღვანელო სრულ თანხვედრაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

გადავწყვიტეთ, რომ ყველა **სასწავლო ერთეულის** საწყისი გვერდი/გვერდები **კომპლექსური დავალების** ან დავალებებისთვის დაგვეთმო, რათა სახელმძღვანელო სტრუქტურულადაც შესაბამისობაში ყოფილიყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესთან.

თქვენი არჩევანია, ამ კოპლექსურ დავალებას გამოიყენებთ, თუ ჩაანაცვლებთ. ასეთ შემთხვევაში, თითო დავალება რამდენიმე აქტივობად შეიძლება გაიშალოს.

თუ სახელმძღვანელოს მიჰყვებით, მასწავლებლის წიგნში მოცემულ 4 **თემატურ მატრიცაში, სამიზნე ცნებების** შესაბამისად შედგენილ **კომპლექსურ დავალებებზე** მორგებით, აღწერილია **რესურსები** - სახელმძღვანელოს გვერდების მითითებით. თითოეული რესურსისთვის კი, მოცემულია **ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული კითხვების** ნაკრები, რომელიც მოსწავლეების კომპლექსური დავალებისთვის მზადების პროცესს ემსახურება.

თემატურ მატრიცაში ყველა კომპონენტი  თვალსაჩინოდ ლაგდება და მასწავლებელს პროცესის ორგანიზებას უადვილებს. გამოცდილების საფუძველზე ჩანიშნული თქვენი კომენტარები კიდევ უფრო მორგებულ ინსტრუმენტად აქცევს მატრიცას თქვენთვის. ზოგიერთ აქტივობას ახლავს მცირე რეკომენდაციები, რომელიც  აზუსტებს საკითხს, ან ალტერნატიულ აქტივობას გთავაზობთ.

ცხადია, თქვენ რჩებით პროცესის მთავარ ,,რეჟისორებად“ და თქვენი ინტერპრეტაციები  ამ რესურსისთვის ახალი სიცოცხლის შეძენა იქნება.

თითოეული მატრიცის ბოლოს მოცემულია თემისთვის განსაზღვრული საათების სავარაუდო გადანაწილება პარაგრაფებთან მიმართებაში. წიგნი იძლევა საშუალებას გამოიყენოთ სხვა აქტივობები. ინფორმაციული რესურსი უხვია, მინიშნებულია დამატებითი რესურსების ელექტრონული ბმულები, რომელთა გარეშე სასწავლო პროცესი ვეღარც წარმოგვიდგენია.

ყველა **კომპლექსური დავალებისთვის** თემატური მატრიცის ბოლოს მოცემულია **,,სოლო ტაქსონომიის“** მიხედვით მომზადებული **განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.** მასწავლებელს შეუძლია ამ ინსტრუმენტის გამოყენებით სოლო ტაქსონომიის დონეების შესაბამისად შექმნილი ინდიკატორებით აღწეროს მოსწავლეთა სწავლის, აზროვნების პროცესი და ის **სოლოს დონეს შეუსაბამოს.** ამ შესაბამისობიდან გამომდინარე, ინსტრუმენტი დაგეხმარებათ, **განმავითარებელ კომენტარში** ზუსტად და კონკრეტულად ურჩიოთ მოსწავლეს, რა ნაბიჯები უნდა გადადგას მიღწეული დონიდან შემდეგი დონის დასაძლევად.

რაც შეეხება **შემაჯამებელ დავალებას,** ამ მიზნით, თითოეული თემიდან შევარჩიეთ ერთი **პროექტის ტიპის კომპლექსური დავალება.** ამ დავალებებისთვისაც დართულია განმსაზღვრელი **შეფასების რუბრიკები.**

კომპლექსური დავალებებისა და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობისთვის მატრიცის **მარჯვენა სვეტში** მოცემულ დავალებებს **სათაურის გასწვრივ** მინიჭებული აქვს **თავისი ნომერი**, მაგალითად **1/4**, რაც ნიშნავს პირველი თემის მეოთხე დავალებას. იგივე ნომერი მოცემულია დავალების სოლო შეფასების ინსტრუმენტის **სათაურის ველში.**

**გისურვებთ წარმატებებს!**

ეროვნული სასწავლო გეგმა (საგნობრივი სტანდარტი – საგანი მოქალაქეობა)

საგანი მოქალაქეობა ისწავლება კვირაში 2 სთ, წელიწადში – 72 სთ.

## საზოგადოებრივი მეცნიერებები საბაზო საფეხურზე

## გ) მოქალაქეობა

### შესავალი

საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს; შეისწავლის ლოკალურ, სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება სამოქალაქო აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

### ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მოქალაქეობის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- დაეხმაროს საკუთარი თავის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღქმაში;
- ჩამოუყალიბოს საკუთარი ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;
- ასწავლოს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები; გააცნობიერებინოს, რომ მას შეუძლია და მართებს საკუთარ ქვეყანაში (თემში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება;
- გამოუმუშავოს მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებები/დამოკიდებულებები (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა);
- დაეხმაროს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებაში;
- ჩამოუყალიბოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურა.

ამ მიზნებზე მუშაობით „მოქალაქეობა“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

**ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი**

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია** - გულისხმობს მოსწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას, ემოციური ინტელექტის განვითარებას, სოციალური ნორმების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების გათავისებას;
- **ინიციატივა და მეწარმეობა** - გულისხმობს ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნებას; იდეების საქმედ ქცევასა და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას;
- **სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება** - გულისხმობს საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვას; საზოგადოებისთვის სასარგებლო სამოქალაქო და სოციალური აქტივობების არაძალადობრივი მეთოდებით, კანონის დაცვით განხორციელებას.

**სტანდარტის შინაარსი** განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით.

**ცნებების** სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები.** ინდიკატორები განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტული თემის ფარგლებში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

**სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება**

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ. **მოქ.საბ.1.**

**„მოქ“** მიუთითებს საგანს – „მოქალაქეობა“;

**„საბ“ –** საფეხურს (საბაზო საფეხური), რომლის ბოლოსაც არის მისაღწევი შედეგი;

„**1**“ **–** შედეგის რიგს (1 = პირველი შედეგი).

| მოქალაქეობის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები) | | |
|---|---|---|
| **შედეგების ინდექსი** | **მიმართულება: პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია** | **სამიზნე ცნებები** |
| | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | |
| **მოქ.საბ.1.** | საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეფლექსია); | **სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)* (შედეგები: 1, 2) |
| **მოქ.საბ.2.** | საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, სასკოლო თემის) წევრად აღქმა; | |
| **მოქ.საბ.3.** | საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; | |
| **მოქ.საბ.4.** | დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება. | |
| | **მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა** | **დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)* (შედეგები: 3, 4, 13) |
| | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | |
| **მოქ.საბ.5.** | მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა; | |
| **მოქ.საბ.6.** | მომავალი პროფესიის შერჩევისთვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გააზრება; | |
| **მოქ.საბ.7.** | ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ-ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა. | |
| | **მიმართულება: სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება** | |
| | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | |
| **მოქ.საბ.8.** | სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე მოქმედების საჭიროების დანახვა; | **ინიციატივა და მეწარმეობა** (შედეგები: 5, 6, 7) |
| **მოქ.საბ.9.** | საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარება; | |
| **მოქ.საბ.10.** | მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება; | **სამოქალაქო მონაწილეობა** (შედეგები: 8, 9, |
| **მოქ.საბ.11.** | ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება; | |

| | | |
|---|---|---|
| **მოქ.საზ.12.** | სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება, ლობირება, ადვოკატირება, ადვოკატირების გზით ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და მონიტორინგი); | 12, 13) |
| **მოქ.საზ.13.** | საკუთარი გადაწყვეტილებების/ შეხედულებების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) საფუძველზე დასაბუთება. | **მდგრადი განვითარება** (შედეგები: 7, 10, 11) |

| **სავალდებულო სასწავლო თემები** |
|---|
| VII კლასი<br>**თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება** |
| 1. თემი, რომელშიც ვცხოვრობთ |
| 2. სასკოლო გარემო/ სასკოლო საზოგადოება |
| 3. ჯანსაღი ცხოვრება |
| 4. ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა |
| 5. ეკონომიკური ურთიერთობები თემში |
| VIII კლასი<br>**თემატური ბლოკი: მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი ხელისუფლება** |
| 1. სამოქალაქო საზოგადოება |
| 2. ადგილობრივი თვითმმართველობა |
| IX კლასი<br>**თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები** |
| 1. ცენტრალური ხელისუფლება |
| 2. ეკონომიკა და სახელმწიფო |
| 3. სამშვიდობო პროცესები |
| 4. გარემოს დაცვა |

საკითხები:

ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს. პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ. თემატური საკითხები უნდა უკავშირდებოდეს/ გამომდინარეობდეს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან.

IX კლასი

**თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები**

| |
|---|
| **სასწავლო თემა: ცენტრალური ხელისუფლება** |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>**სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)*<br>• სათემო აქტივობების დაგეგმვისას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმების (ინფორმაციის მოპოვება, მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში) გააზრება **(მოქ.საზ.1,3,4,5,8,9,12,13)**;<br>**დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)*<br>• სახელმწიფოს მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და პოლიტიკური პროცესების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების (ადამიანის უფლებების (საარჩევნო უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მიმოსვლის და გამოხატვის თავისუფლება) დაცვა, თანასწორობა, სამართლიანი არჩევნები, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით **(მოქ.საზ.3,4,7,9,10,11,12,13).**<br>**ინიციატივა და მეწარმეობა**<br>• სახელმწიფოში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების დაგეგმვა **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);**<br>**სამოქალაქო მონაწილეობა**<br>• სახელმწიფოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებით მოქალაქის დაინტერესების და მათში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საზ.2,6,8,9);**<br>**მდგრადი განვითარება**<br>• სახელმწიფოს მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და პოლიტიკური პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა პრინციპების გათვალისწინებით **(მოქ.საზ.3, 7,9,10,11,12,13).** |
| **სასწავლო თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო** |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>**სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)*<br>• ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება **(მოქ.საზ.1,3,4,5,6, 7,8,9,12,13)**;<br>**დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)*<br>• მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების (შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება, საკუთრების უფლება) დაცვის მექანიზმების გაანალიზება **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);**<br>**ინიციატივა და მეწარმეობა** |

- გააანალიზოს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით იკვეთება პრიორიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას **(მოქ.საზ. 2, 4, 5, 6, 7, 10, 11, 12, 13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);**

**მდგრადი განვითარება**

- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საზ.5,6, 7, 8, 10, 11, 13).**

**სასწავლო თემა: სამშვიდობო პროცესები**

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

**სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)*

- მიგრაციის თანამედროვე გამოწვევებზე (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) მსჯელობისას ემპათიისა და შემწყნარებლობის გამოვლენა **(მოქ.საზ.1,2,3,4);**

**დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)*

- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების (ადამიანის უფლებები, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით **(მოქ.საზ.1,2,3,4,10,11,13).**

**ინიციატივა და მეწარმეობა**

- საერთაშორისო საფრთხეებისა (ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი) და მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) იდენტიფიცირება; მათი გადაჭრის შესაძლო გზებსა და ამისთვის საჭირო რესურსებზე მსჯელობა **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6,7, 8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- სამშვიდობო პროცესებში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საზ.2,6,8,9);**

**მდგრადი განვითარება**

- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით **(მოქ.საზ.1,2,3,10,11,13).**

**სასწავლო თემა: გარემოს დაცვა**

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

**სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)*

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება ადამიანის უფლებების (ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უფლება

სუფთა გარემოზე, ჰაერზე, წყალსა და საკვებზე, უფლება სათანადო საცხოვრისზე, კულტურული იდენტობის შენარჩუნების უფლება) ჭრილში **(მოქ.საზ.1,2,3,5,6,8,9,10,11,13);**

**დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)*

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება **(მოქ.საზ.3,4,5,7,10,11,13);**

**ინიციატივა და მეწარმეობა**

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური (კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს), გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული (კულტურული მემკვიდრეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში) პრობლემების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების გაანალიზება **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

**მდგრადი განვითარება**

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საზ.3,5,7,10,11,13).**

**საფეხურებრივი საკვანძო კითხვები**

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რატომ სჭირდება ინდივიდს საზოგადოება და საზოგადოებას კი – ინდივიდი?
- რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი?
- როგორ ვიზრუნო საკუთარ ქვეყანაზე? როგორ უნდა ვიქცეოდე, რომ ჩვენი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ვიყო?
- როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება?
- რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (მაგ., უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლაზე)?
- როგორ ვიურთიერთო საერთაშორისო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან?
- რატომ სჭირდება მოქალაქეს კანონების ცოდნა?

**გ) მეთოდიკური ორიენტირები**

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები:

| | |
|---|---|
| ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება | • ადვოკატირების კამპანიის წარმართვა სოციალური ქსელის გამოყენებით;<br>• ელექტრონული პეტიციის შექმნა და ხელმოწერების შეგროვება;<br>• ელექტრონული ფოსტის საშუალებით თანაკლასელებს და მასწავლებელს შორის ინფორმაციის გაცვლა;<br>• მარტივი ვებგვერდის/ ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის შესახებ ინფორმაციის მასზე განთავსება;<br>• ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად. |
| წიგნიერება | • ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის და წარდგენა-გაზიარების უნარი. |

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

**სტრატეგიების მოდელირება**: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს" იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

**წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე** - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, გზა, რომლის გავლაც დასჭირდებათ დავალების შესასრულებლად, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

**შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე** - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა რის შემდეგ გააკეთეს? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა

დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

**წლიური პროგრამის/ სასკოლო კურიკულუმის აგების პრინციპები**

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს მან). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები/ სასკოლო კურიკულუმი უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს**. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის აგების პრინციპები

**1. სასწავლო თემა** წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები -** განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით. თემატური მკვიდრი წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან.

2. გრძელვადიანი მიზნები

შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას. ეს მიზნები უცვლელია საბაზო საფეხურის ნებისმიერ თემასთან მიმართებით.

ა) **სტანდარტის შედეგები** – განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგნის ფარგლებში?

ბ) **სამიზნე ცნებები** – გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

გ) **სამიზნე ცნების/ ცნებების მკვიდრი წარმოდგენები** – თითოეული ცნებისთვის უნდა განისაზღვროს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტდება ხდება წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში;

დ) **საფეხურის საკვანძო შეკითხვები -** გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატური შეკითხვებად გარდაიქმნება.

3. შუალედური მიზნები

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული **ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები,** ასევე **კომპლექსური დავალება/დავალებები** და **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.** თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოიყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც სასწავლო რესურსის ავტორი/ მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

**საკითხების** საშუალებით განისაზღვრება ის, თუ კონკრეტულად რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა.

**ქვეცნებები** - თემის/საკითხის ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.

**თემატური საკვანძო შეკითხვები** ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „დემოკრატია“) და განისაზღვრება შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

**კომპლექსური დავალება** წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

**შეფასების კრიტერიუმები** უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის შედეგებიდან/სამიზნე ცნებებიდან და აჩვენებდეს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში.

<table>
<tr><td colspan="4">თემა: საათების სავარაუდო რაოდენობა -</td></tr>
<tr><td colspan="4">თემასთან დაკავშრებული მკვიდრი წარმოდგენები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:</td></tr>
<tr><td rowspan="3">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td><td colspan="2">I ეტაპი</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td>საკითხი/ქვეცნება</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="7"></td><td colspan="2">აქტივობები:</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td></tr>
<tr><td colspan="2">II ეტაპი</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td>საკითხ ი/ქვეცნ ება</td><td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორი/ ინდიკატორები</td></tr>
</table>

**როგორ აიგება სასწავლო თემა?**

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შედეგები და სამიზნე ცნებები სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული, ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები კი წლიური პროგრამის აგებისას თითოეულ სკოლას შეუძლია თავად განსაზღვროს.

სკოლამ ასევე თავად უნდა დაადგინოს სამიზნე ცნებების ფლობის დონეები სოლო-ტაქსონომიის დონეების მიხედვით.

შუალედური მოკლევადიანი მიზნის როლს თემატურ გეგმაში **კომპლექსური დავალება** და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები **საკითხი**, **ქვეცნებები**, **საკვანძო შეკითხვები** და **შეფასების კრიტერიუმები** ასრულებენ.

თემის ფარგლებში ასევე გამოიყოფა **თემატური მკვიდრი წარმოდგენები.**

სასწავლო თემის აგების ნაბიჯები

| |
|---|
| ნაბიჯი 1. თემატური მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა |
| |
| ნაბიჯი 2. თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების განსაზღვრა |
| |
| ნაბიჯი 3. თემის ფარგლებში/თემაში წარმოდგენილ თითოეულ საკითხთან მიმართებით თითოეული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებების განსაზღვრა. |
| |
| ნაბიჯი 4. საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის განსაზღვრა |
| |
| ნაბიჯი 5. კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა. |
| |
| ნაბიჯი 6. აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომლებიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება. |

## შეფასება

სტანდარტის ამ ნაწილში წარმოდგენილია შეფასების პრინციპები. საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა – რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

## შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასება უნდა ზომავდეს, რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს. ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. *სოლო ტაქსონომია* (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია – ინგლ. SOLO - Structure of Observed Learning Outcomes), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. სოლო ტაქსონომია ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით. ეს დონეებია:

| |
|---|
| SOLO <u>1: პრე-სტრუქტურული დონე</u><br>მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს. |
| SOLO <u>2: უნისტრუქტურული დონე</u><br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა. |
| SOLO <u>3: მულტისტრუქტურული დონე</u><br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ. |
| SOLO 4: მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით. |
| SOLO <u>5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</u><br>მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება. |

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოითხოვს სამიზნე ცნებებით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

**ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის**

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას (მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული თუ რომელ დავალებას/ დავალებებს შეარჩევს):

- სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტი;
- ადვოკატირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- ქველმოქმედების მიზნით განხორციელებული პროექტი.

## თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები

**თემა** - ცენტრალური ხელისუფლება — საათების სავარაუდო რაოდენობა - **20 (+5)**

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- კარგი კონსტიტუცია აუცილებლად ფართო საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგია;
- სახელისუფლებო შტოების დანაწილება და ბალანსი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა;
- დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე;
- მოქალაქეები სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არჩევნების, პეტიციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა საშუალებით მონაწილეობენ;
- ხელისუფლებისათვის ადმინისტრაციული განცხადებით მიმართვა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმია;
- მედია და არასამთავრობო სექტორი ხელისუფლების კონტროლის საშუალებებია.

**თემატური საკვანძო შეკითხვები**

- რატომ და როგორ იქმნება კონსტიტუცია?
- რატომ ვმონაწილეობ არჩევნებში?
- რატომ არის აუცილებელი ხელისუფლების დანაწილება? როგორ აბალანსებენ ხელისუფლების შტოები ერთმანეთს?
- როგორ ატარებს მთავრობა თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას?
- რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?
- როგორ უნდა ვითანაშრომლოთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან?
- რატომ იქმნება ქვეყანაში არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები? რა განასხვავებს მათ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:**

1. კონსტიტუცია - ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება;
2. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები;
3. ხელისუფლების შტოები;
4. მასმედია - „მეოთხე ხელისუფლება“;

<table>
<tr><td colspan="4">5. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;</td></tr>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td><td>საკითხი/ები<br>კონსტიტუცია - ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება;</td><td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td><td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td></tr>
<tr><td>ქვეცნება/ები<br>ადამიანების მოთხოვნილებები და საჭიროებები;<br>ადამიანის უფლებები;</td><td>• რატომ და როგორ იქმნება კონსტიტუცია?<br>• როგორ დამეხმარება კონსტიტუციის ცოდნა ჩემი მიზნების მიღწევაში?</td></tr>
<tr><td>სოციალიზაცია<br>(პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)<br>(შედეგები: 1, 2)<br><br>1) ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;<br><br>2) ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების,</td><td colspan="2">კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები<br><br>(რესურსები, აქტივობები, საკვანძო შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>• მიგიწერიათ წერილი მეგობრისათვის?<br>• სოციალურ ქსელებში, მაგალითად „ფეისბუქის“ სასაუბროში (მესინჯერში) თუ მიგიწერიათ?<br>• რა განასხვავებს მოკითხვის წერილსა და ცოდნის/ინფორმაციის გასაზიარებლად დაწერილ წერილს?<br>• როგორ წარმოგიდგენიათ დავალებისთვის შესასრულებელი წერილის სტრუქტურა?<br><br>რესურსი მასლოუს პირამიდა<br>http://dgtools.org/samoqalaqo29/chapter/chapter-1/<br><br>• რა იცით ადამიანის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების შესახებ?<br>• რა საჭიროებები/ მოთხოვნილებები აქვთ თქვენს თანატოლებს?</td><td>დავალების პირობა 1/1<br><br>წარმოიდგინე, რომ შენი მეგობარი და თანაკლასელი წარმატებული პიანისტია. მას კონკურსებში მონაწილეობის დროს სკოლის გაცდენა უწევს. ახლაც ევროპაშია და იქიდან აპირებს დისტანციურ გაკვეთილებზე ჩართვას. მანამდე გთხოვა, სასაუბროში (მესინჯერში) აუტვირთო წერილი (250 სიტყვა), რომელშიც აუხსნი: რატომ ვუწოდებთ კონსტიტუციას ყველაზე ფართო საზოგადოებრივ შეთანხმებას და როგორ ქმნის კონსტიტუცია გარანტიებს თითოეული ჩვენგანის განვითარებისათვის? მეგობარი შენგან დახმარებას ელოდება.</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;<br><br>3) სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;<br><br>4) ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.<br><br>**დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები,** | • როგორ გეგმავენ მომავალს?<br>• დაინტერესებულნი არიან გარშემომყოფებისგან აღიარებით?<br>• გჭირდებათ თუ არა გარანტიები თქვენი გეგმების განხორციელებისას?<br><br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**რესურსი**:<br>დემოკრატიული სახელმწიფო, სახელმძღვანელო, გვ. 9<br><br>• რომელი სამართლებრივი დოკუმენტი აკანონებს დემოკრატიულ სისტემას ჩვენს ქვეყანაში?<br>• რა მახასიათებლები აქვს დემოკრატიას? დემოკრატიულ სახელმწიფოს?<br>• როგორია ხალხის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში? მოქალაქის როლი?<br><br>**რესურსი:**<br>,,დემოკრატიის ბარომეტრი“, სახელმძღვანელო, გვ.12<br>დემოკრატიის პრინციპების სქემა; გვ. 9<br>სხვადასხვა ინფორმაციები; სახელმძღვანელო, გვ. 10-11<br><br>**აქტივობა:** სავარჯიშო (ინდივიდუალური, საკლასო) **(სახელმძღვანელოში არ არის!)**<br>**ინსტრუქცია:**<br>ა) გაეცანით ,,დემოკრატიის ბარომეტრის“ მონაცემებსა და დემოკრატიის პრინციპების სქემას;<br>ბ) გაეცანით სახელმძღვანელოს გვ.10-11 მოცემულ მაგალითებს. აირჩიეთ ერთ-ერთი (მასწავლებელს შეუძლია თავად გადაანაწილოს); განსაზღვრეთ, მოცემული სიტუაცია დემოკრატიულ სახელმწიფოში ხდება თუ არადემოკრატიულში? | **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• როგორ იქმნება კონსტიტუცია? როგორ ერთვებიან ადამიანები, ჯგუფები მის ფართო განხილვაში. როგორ შედის ცვლილებები? (ამ საკითხების ცოდნა თქვენ რაში გამოგადგებათ?) **(სოციალ. -მკვ.წ.3.4; დემოკ.-მკვ.წ.2. )**<br>• რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობა კონსტიტუციის ცვლილებების განხილვის ღია და საჯარო პროცესში? **(სოც.-მკვ.3.4. დემოკ.-მკვ.წ.4)**<br>• როგორ ქმნის კონსტიტუცია გარანტიას თითოეული ადამიანის მისწრაფებების დაცვისა და პიროვნული განვითარებისთვის? (იმსჯელე მეგობრის მაგალითზე) **(სოციალ.-მკვ.წ.1; დემოკრ.-მკვ.წ.4)**<br>• ადამიანის რომელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობას ქმნის კონსტიტუცია ( იმსჯელე შენი და მეგობრების მაგალითებით)? **(სოციალ.-მკვ.წ.2)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე</u> |

| | | |
|---|---|---|
| **დემოკრატიის პრინციპები)**<br>**(შედეგები: 3, 4, 13)**<br>1) ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2) ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br>3)დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4)დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, | რატომ ფიქრობთ ასე?<br>გ) განხილული სიტუაცია დააკავშირეთ დემოკრატიის სქემაზე ასახულ პრინციპთან/ებთან; ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე?<br>დ) გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები თანაკლასელებს და ერთად იმსჯელეთ: რა განაპირობებს სახელმწიფოში დემოკრატიულობის ხარისხს?<br><br>**აქტივობა - იმუშავეთ ჯგუფებში,** სახელმძღვანელო, გვ. 13<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მოსწავლეებთან ერთად შეაჯამეთ აქტივობა შემდეგი კითხვების გამოყენებით:<br>• რა უნდა იცოდეს პიროვნებამ, რომ ის აქტიური მოქალაქე გახდეს?<br>• სჭირდება თუ არა მას თავისი და სხვათა უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა?<br>• როგორ შეიძლება ამ ცოდნის მიღება? მისი გამოყენების უნარების განვითარება?<br>**შემაჯამებელი დასკვნა:** მოქალაქეს სჭირდება კანონების, უპირველესად, მთავარი კანონის – კონსტიტუციის ცოდნა.<br><br>**რესურსი:**<br>კონსტიტუცია_ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება;<br>სახელმძღვანელო, გვ.14-15<br>ვებგვერდი პროფესიებზე -ვიდეო (4 წთ) კონსტიტუციონალიზმის შესახებ<br>http://myprofession.gov.ge/videos#videos:580a0b6e5895a5a74e292aac<br><br>• ვინ ქმნის კონსტიტუციას?<br>• რა გზას გადის კოსტიტუციური ცვლილებების პროექტი დაკანონებამდე?<br>• რას გულისხმობს კონსტიტუციონალისტობა? | მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.<br><br><br>**სავარაუდო ნიმუში!**<br><br>**,,წერილი მეგობარს**<br>გამარჯობა, ჩემო მეგობარო!<br>შევეცდები, აგიხსნა, რატომ არის კონსტიტუცია ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება. მასში დასაწყისშივე წერია, ,,ჩვენ საქართველოს მოქალაქენიო.“.. ანუ რაც მასში წერია, მოქალაქეების ნებით არის. თავის დროზე, ხალხმა იმსჯელა, სხვადასხვა სფეროს საკითხებზე სხვადასხვა სტრუქტურებმა იმსჯელეს (მაგალითად, გარემოს დაცვაზე – სამინისტრომ, არასამთავრობოებმა, ცალკეულმა ჯგუფებმა). ხალხის არჩეულმა პარლამენტმა დაამტკიცა კონსტიტუცია, რომელსაც თავადაც ემორჩილება;<br>მერე ცხოვრება და გარემოებები ხომ იცვლება? ამ ცვლილებების შესაბამისად იცვლება კონსტიტუციაც.<br>მაგალითად, ძველ კონსტიტუციაში ინტერნეტის გამოყენებაზე ჩანაწერი ვერ იქნებოდა, ახლა არის. |

| | | |
|---|---|---|
| პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | • რა უნდა გაითვალისწინოს კონსტიტუციონალისტმა?<br><br>**რესურსი:**<br>რას უკავშირდება ცვლილებები კონსტიტუციაში? სახელმძღვანელო, გვ.18-19<br>• შესაძლებელია, რომ 1921 ან 1995 წლის კონსტიტუციაში ყოფილიყო ჩანაწერი ინტერნეტის გამოყენების უფლების შესახებ? რატომ?<br>• რამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები კონსტიტუციაში?<br>• როგორია მოქმედი კონსტიტუციის სტრუქტურა?<br>• რას ეხება მისი მეორე თავი?<br><br>**აქტივობა**: იმუშავეთ წყვილებში, სახელმძღვანელო, გვ.19 გაეცანით ინფორმაციას და მიჰყევით დავალების პირობას.<br>**შემაჯამებელი დასკვნა:** ყველა უფლება არის ძალიან მნიშვნელოვანი, ერთმანეთთან დაკავშირებული და ძნელია, გამოარჩიო რომელიმე.<br><br>**აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში,** სახელმძღვანელო, გვ. 20-21<br>**რესურსი:**<br>სახელმძღვანელო, დანართი N1 საქართველოს კონსტიტუცია, თავი მეორე; გვ. 256-262.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** კლასი იყოფა ჯგუფებად, უნაწილებთ სიტუაციებს და იწყებენ მუშაობას პირობის შესაბამისად.<br>პრეზენტაციების შემდეგ მოსწავლეები უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, მასწავლებელი სვამს გეზისმიმცემ კითხვებს:<br>• როგორ უკავშირდება კონსტიტუციაში მოცემული უფლებები ცხოვრებისეულ სიტუაციებს?<br>• რამდენად სჭირდება მოქალაქეს თავისი და სხვისი | რადგან ეს ყველაფერი ვიცით, მომავალში თუ საჭიროებას დავინახავთ, შემოვიკრებთ თანამოაზრეებს (200 000 კაცს), ხელმოწერით დავადასტურებთ და შევიტანთ ცვლილებების ინიციატივას. მას ისევ ფართო საზოგადოება განიხილავს და დაამტკიცებს, ან არ დაამტკიცებს.<br>მეორე საკითხზე გადავიდეთ: როგორ გვიქმნის კონსტიტუცია გარანტიებს განვითარებისთვის? ჩვენს მაგალითებზე აგიხსნი: შენ გაინტერესებდა მუსიკა, მე –სპორტი. კონსტიტუციის მიხედვით (სამუსიკო სკოლები, სპორტული სკოლები), ორივეს მოგვეცა საშუალება ჩვენი ინტერესები დაგვეკმაყოფილებინა. ხომ გიხარია, ასეთ კონკურსზე რომ გამოდიხარ და კიდევ სხვაგანაც გამოხვალ? ესეც კონსტიტუციის სიკეთეა, დაიკმაყოფილო შენი ინტერესი, გადაადგილდე თავისუფლად (კონკურსისთვის);<br><br>დისტანციურ სწავლებაზეც ვთქვათ. კონსტიტუციაში წერია, რომ ადამიანს აქვს განათლების უფლება და ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. სკოლების გაჩერება არ შეიძლება და დისტანციურზე გადავედით. რომელი ერთი ვთქვა? ჩვენი გოგაც |

| | | |
|---|---|---|
| | უფლებების ცოდნა ? რატომ?<br>• გაგიჭირდათ თუ გაგიიოლდათ შესაბამისი მუხლის მიგნება?<br>• როგორ შეიძლება გამოგადგეთ ეს ცოდნა თქვენთვის? სხვებისთვის?<br><br>**აქტივობა:** მუშაობა დოკუმენტთან (შესაძლებელია საშინაოდაც), სახელმძღვანელო, გვ.21<br><br>**რესურსი**:<br>თავისუფლება, თანასწორობა, ადამიანის ღირსება;<br>სახელმძღვანელო, გვ. 22-23<br>• რას გულისხმობს თავისუფლება?<br>• რა გარანტიები არსებობს ამ უფლების უზრუნველყოფისთვის?<br>• რა არის თანასწორობა? რა იგულისხმება ამ უფლებაში?<br>• თქვენი აზრით, როდის ილახება ადამიანის ღირსება?<br>• დაასახელეთ მაგალითი.<br>• რა კავშირშია ადამიანის ღირსება სხვა უფლებებთან?<br><br>**აქტივობა:** იმუშავეთ წყვილებში; სახელმძღვანელო, გვ.22<br><br>**აქტივობა:** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო, გვ.23<br>**აქტივობის შეჯამება:** როცა საჯარო დაწესებულებაში სათანადოდ არ გემსახურებიან, ,,ზემოდან გადმოგყურებენ“, საქმე გვაქვს ადამიანის ღირსების შელახვასთან.<br><br>**აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში,** სახელმძღვანელო, გვ.24<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** გადაანაწილეთ პირველი და მეორე პირობა ჯგუფებში, ან მიეცით არჩევის უფლება. მიეცით | გაიხსენე, როგორ წვალობდა და ჩვენც ვწვალობდით, როცა სკოლის კიბეზე ეტლი აგვყავდა. რადგან ყველას აქვს სწავლის, განვითარების უფლება, პანდუსიც გააკეთეს. ბებია მომიყვა, ადრე ასეთი და სხვა პრობლემის მქონე ბავშვები სკოლაში არ დადიოდნენ, მერე მათმა მშობლებმა აიმაღლეს ხმა, შექმნეს არასამთავრობო ორგანიზაციები და მოითხოვეს ცვლილებები, რასაც საზოგადოებაც დაეთანხმა. მათ პირდაპირ დააფიქსირეს თავიანთი მოთხოვნა. საზოგადოებამ, პარლამენტმა იმსჯელა და მიდგომაც შეიცვალა. ანუ ჰარმონიაში მოვიდა ერთმანეთთან ხალხის მოთხოვნა და სახელმწიფოს ვალდებულება. კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.<br>შენ ევროპაში რომ დაბრძანდები, მაგის ნებაც კონსტიტუციით გაქვს. რამე რომ გაგიჭირდეს, მაშინვე ჩვენს საელჩოს უნდა მიმართო დახმარებისთვის. შენ საქართველოს მოქალაქე ხარ და კონსტიტუციით სახელმწიფო ვალდებულია შენი უფლებები ყველგან დაიცვას. ვეცადე, კარგად ამეხსნა. იმედია, გამომივიდა. თუ კითხვები კიდევ გაქვს მომწერე.“ |

| | | |
|---|---|---|
| | ინსტრუქცია, იმსჯელონ მიღებული ინფორმაციების შესახებ  და შეასრულონ დავალება. ურჩიეთ, წინასწარ შექმნან სტატიის/პოსტის გეგმა და ისე ააგონ ტექსტი.<br>პრეზენტაციების დროს კლასს მიეცით დავალება, მოისმინონ სტატია/პოსტი და ჩაინიშნინ, რა მოეწონათ და რატომ? რა დაამახსოვრდათ?<br>**შეაჯამეთ აქტივობა,** კიდევ ერთხელ მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ ადამიანის ღირსება ყველა ძირითადი უფლების საფუძველია. ადამიანის უფლებათა ბუნებითი წარმოშობის აღიარება სწორედ ადამიანის ღირსების აღიარებას გულისხმობს. ადამიანს რომ ღირსება აქვს, ამიტომაც გააჩნია სიცოცხლის, თავისუფლების, თანასწორობის, ბედნიერების და ღირსეული სიცოცხლის უფლებები. **სწორედ ადამიანის ღირსებაში ძევს უფლებათა ლეგიტიმურობის საფუძველი.**  ადამიანის ღირსების დაცვის გარანტია არის კონსტიტუცია, ხოლო სახალხო დამცველი ის ინსტიტუციაა, რომელიც მოქალაქეებს იცავს ადამიანის უფლებების შელახვისაგან.<br><br>**რესურსი**:<br>სახალხო დამცველი;  სახელმძღვანელო, გვ. 25-27<br>სახალხო დამცველის გვერდი  http://ombudsman.ge/geo/informatsia-bavshvebistvis-vis-mivmartot<br>• რა წარმოადგენს სახალხო დამცველის მოვალეობას?<br>• რა შემთხვევაში მივმართავთ სახალხო დამცველს?<br>• როგორ შეიძლება მივმართოთ სახალხო დამცველს?<br>• როგორ უნდა წარიმართოს განათლება ადამიანის უფლებების შესახებ?<br><br>**აქტივობა:** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო, გვ.27<br><br>**აქტივობა:** მოამზადეთ პრეზენტაცია: ვის მივმართოთ და როგორ, | |

| | | |
|---|---|---|
| | როცა ადამიანის უფლებები ირღვევა? (საშინაოდ)<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მიუთითეთ მოსწავლეებს, რომ ეწვიონ სახალხო დამცველის ვებგვერდს მითითებულ ბმულზე და და მოიძონ ინფორმაცია, რომლის საფუძველზე შექმნიან პრეზენტაციას და წარმოადგენენ.<br><br>**აქტივობა -** სასამართლო პროცესის მოდელირება ( **სასურველია და არა - აუცილებელი**), სახელმძღვანელო, გვ. 28-29<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მოდელირების შესახებ გაწერილია დეტალები, თქვენ შეგიძლიათ გადაანაწილოთ როლები და შემდეგ დააკვირდეთ პროცესს.<br><br>**ამ აქტივობების შემდეგ მოსწავლეები უკვე იქნებიან მზად კომპლექსური დავალების შესასრულებლად.**<br><br>იწყება მოსწავლეების ნამუშევრების პრეზენტაცია, თუმცა შესაძლებელია, რომელიმე მოსწავლემ მეორე, მესამე გაკვეთილზევე მოინდომოს თავისი ნაშრომის წარმოდგენა. მიეცით მას ამის საშუალება. მისი პრეზენტაცია, რეფლექსია და უკუკავშირი დამხმარე აქტივობად იქცევა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ფიქრობენ ან მუშაობენ დავალებაზე.<br><br>**ყურადღება!**<br><br>მარჯვენა სვეტში, კომპლექსური დავალების ქვეშ, მოცემულია დავალების პროდუქტის **ნიმუში**, რომელიც ცხადია, **არ უნდა გახდეს** ტრაფარეტი არც მასწავლებლისათვის და არც მოსწავლისათვის. **თემატურ მატრიცაში მისი ადგილი საერთოდ არ არის,** მაგრამ პირველ დავალებაში თვალსაჩინოებისთვის შემოგთავაზეთ. მოსწავლეებისთვის ეს ნიმუში-წერილი არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი დავალების შესრულებამდე. მასწავლებელს, | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | თუ საჭიროდ მიიჩნევს, სასწავლო ერთეულის შეჯამების დროს შეუძლია მისი მთლიანად გამოყენება, ხოლო კონკრეტული უკუკავშირის მიცემის დროს - ფრაგმენტებად. | | |
| **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br>*(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **საკითხი/ები**<br>ხელისუფლების დანაწილება – სამი შტო | **საკვანძო**<br>**შეკითხვა/შეკითხვები** | **კომპლექსური დავალება** *(შუალედური სასწავლო მიზანი)* |
| | **ქვეცნება/ები**<br>ხელისუფლების დანაწილება; | • რატომ არის აუცილებელი ხელისუფლების დანაწილება? როგორ აბალანსებენ ხელისუფლების შტოები ერთმანეთს?<br>• როგორ ატარებს მთავრობა თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას? | |
| **დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)**<br>**(შედეგები: 3, 4, 13)**<br>1)ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2)ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**1-ლი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**რესურსი:**<br>როგორ შეგიძლიათ განცხადების/საჩივრის შეტანა? სახელმძღვანელო, გვ.26<br>რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სახალხო დამცველისთვის წარსადგენი განცხადება/საჩივარი?<br>http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq?type=112 | | **აირჩიე დავალება**<br>**კომპლექსური დავალება 1. 1/2**<br>**გაეცანი სიტუაციას:**<br>*ქალაქ N-ში 15-მდე ქუჩაში მცხოვრები ბავშვია. ისინი ოჯახებს სხვადასხვა მიზეზის (დაობლების, ძალადობისაგან თავის დაღწევის, სიღარიბის, მშობლების პატიმრობის) გამო მოწყდნენ. თავს მათხოვრობით და წვრილ-წვრილი საქმიანობით ირჩენენ. ისინი ღამეს მიტოვებულ ავარიულ შენობაში ათევენ. მათ რამდენჯერმე მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას თხოვნით, მოეწყო თავშესაფარი, სადაც ბავშვები დაიძინებდნენ, ჰიგიენურ საჭიროებებს მოიგვარებდნენ და რომელიმე სასწავლო* |

| | | |
|---|---|---|
| და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br><br>3)დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br><br>4)დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | • რა იცით ოფიციალური წერილის შესახებ?<br>• სახალხო დამცველისთვის გასაგზავნ დოკუმენტში (საჩივარი, განცხადება, წერილი) რა უნდა იყოს გათვალისწინებული?<br>• რა განსხვავებაა წინა დავალებაში მომზადებულ პირად წერილსა და სახალხო დამცველისთვის გასაგზავნ ოფიციალურ წერილს შორის?<br>• როგორი უნდა იყოს წერილის სტრუქტურა?<br>• საჭიროა თუ არა არგუმენტების მოშველიება?<br><br>**მე-2 კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>• ვის უწოდებენ ექსპერტს?<br>• რა არის დასკვნა?<br>• საჭიროა თუ არა დასკვნაში დასაბუთება?<br>• რა უნდა იყოს განსხვავებული ექსპერტის დასკვნაში? (დასაბუთება, არგუმენტები, დოკუმენტის ამონარიდები)<br>• როგორ წარმოგიდგენიათ მისი სტრუქტურა?<br><br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა** (ეს პროცესი საერთოა ორივე დავალებისთვის)<br><br>**რესურსი:**<br><br>მოსწავლეთა მიერ მოთხრობილი სიტუაციები;<br><br>• ვინ არიან ქუჩაში მცხოვრები ბავშვები?<br>• რა მიზეზების გამო აღმოჩნდნენ ქუჩაში?<br>• სარგებლობენ ისინი იმავე უფლებებით, რომლითაც მისი თანატოლები?<br>• თქვენი აზრით, ვინ უნდა იზრუნოს ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებზე?<br><br>**რესურსი**:<br><br>ხელისუფლების დანაწილება; რას გულისხმობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი? სახელმძღვანელო, გვ. 33-34 | *პროგრამაშიც ჩაერთვებოდნენ. ხელისუფლებისგან დაპირება ბევრჯერ მიიღეს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა_ბავშვები ისევ თავშესაფრის გარეშე არიან. ზამთრის მოახლოვება მათ პრობლემას უფრო ამძაფრებს.*<br><br>წარმოიდგინე, რომ შენ ბავშვის უფლებათა დამცველი აქტივისტი ხარ და ამ ბავშვების ჯგუფმა გთხოვა, დაუწერო **წერილი (200 სიტყვა)** საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე.<br><br>**ნაშრომში /ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br><br>• როგორ ეზღუდებათ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს საცხოვრისის ქონისა და განათლების მიღების უფლება და რომელი სამართლებრივი დოკუმენტი/დოკუმენტები იცავს ამ უფლებებს? **(მკვ.წ.1.2.)**<br>• რა საშუალებები, ბერკეტები აქვს ხელისუფლების თითოეულ შტოს ამ ბავშვების უფლებათა განხორციელებისთვის? **(მკვ.წ.3)**<br>• დემოკრატიის რომელი პრინციპი დაარღვია ამ სიტუაციაში ქალაქის ხელისუფლებამ? **(მკვ.წ.4)** |

| | | |
|---|---|---|
| | • რა არის ხელისუფლება?<br>• რა განსხვავებაა სახელმწიფოსა და ხელისუფლებას შორის?<br>• რას გულისხმობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი?<br>• როგორ ნაწილდება ხელისუფლება?<br>• რატომ მოიაზრება ხელისუფლების დანაწილება ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების გადამეტების ან კორუფციის ბარიერად, პრევენციად?<br>• რა ფუნქციები აქვს ხელისუფლების თითოეულ შტოს?<br>• რა მიმართება არსებობს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის?<br>• როგორ აისახება ამ შტოთა საქმიანობა მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე?<br><br>**რესურსი**:<br>საკანონმდებლო ხელისუფლება, სახელმძღვანელო, გვ.35-36;<br>საქართველოს კონსტიტუცია, თავი 3. სახელმძღვანელო, გვ.263-269<br>• რა იცით საკანონმდებლო ხელისუფლების შესახებ?<br>• ვინ ახდენს მის ფორმირებას? როგორ? რა ვადით?<br>• როგორია პარლამენტის შიდა სტრუქტურა?<br>• რას ნიშნავს საპარლამენტო კონტროლი?<br>• ვის აკონტროლებს პარლამენტი?<br>**აქტივობა - დოკუმენტზე მუშაობა** ინდივიდუალური სამუშაო;<br>**(სახელმძღვანელოში ეს აქტივობა არ არის!)**<br>გაეცანით კონსტიტუციის მესამე თავის მუხლებს,გვ.263-269<br><br>ცალკე მოინიშნეთ პარლამენტის ფუნქციები, ცალკე მისი მიმართება ხელისუფლების სხვა შტოებთან (ვინ არის ანგარიშვალდებული მის წინაშე? ვისი იმპიჩმენტის უფლება აქვს?)<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** ქვემოთ მოცემული აქტივობების | **პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით განსხვავებულად ახლიდან რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u><br>**რჩევები:**<br>**ნაბიჯი 1.** გაეცანი სიტუაციას;<br>**ნაბიჯი 2.** დავალების დაწყებამდე გაეცანი **„ბავშვის უფლებათა კოდექსის“** მუხლი 35; 41; 87; თავი XII<br>https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1<br><br>**ნაბიჯი 3.** განსაზღვრე ხელისუფლების თითოეული შტოს და სამოქალაქო სექტორის როლი ( რა უნდა გაეკეთებინა? რა გააკეთა? ერთმანეთი როგორ გააკონტროლეს?) შექმნილ სიტუაციაში;<br><br>**დავალება 2.** 1/3<br><br>წარმოიდგინე, რომ შენ ხარ დემოკრატიის ექსპერტი და განსახილველად გადმოგცეს კონკრეტული სიტუაცია (ქვემოთ იხილე **სიტუაცია).** მისი შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე დაწერე **დასკვნა** (200-250 სიტყვა), |

<table>
<tr>
<td></td>
<td>

ჯაჭვი ემსახურება **პირველი კომპლექსური დავალების მეორე კრიტერიუმის და მეორე კომპლექსური დავალების მესამე კრიტერიუმის დამუშავებას.**

ხელისუფლების **თითოეულ შტოზე** მუშაობისას მოსწავლეებს შევასრულებინოთ **დოკუმენტზე მუშაობის აქტივობა.** ანუ მოინიშნონ თითოეული შტოს უფლება-მოვალეობები და მიმართება სხვა შტოსთან, მოგვიანებით, სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობის ,,იმუშავეთ ჯგუფებში" (გვ.40) შესრულებისას, ისინი ინდივიდუალურ ნამუშევრებს ჯგუფში შეაჯერებენ და დასკვნების სახით შეიტანენ ხელისუფლების დანაწილების ამსახველ სქემაზე, რომელსაც მე-40 გვერდზე მოცემული სქემის მიხედვით ააგებენ;

**რესურსი**: აღმასრულებელი ხელისუფლება, სახელმძღვანელო, გვ.36

საქართველოს კონსტიტუცია, თავი მეოთხე, საქართველოს პრეზიდენტი; თავი მეხუთე, საქართველოს მთავრობა; სახელმძღვანელო, გვ.269-274

- ვინ წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას საქართველოში?
- რა უფლება-მოვალეობები აქვს მთავრობას? რა უფლება-მოვალეობები აქვს პრეზიდენტს?
- როგორია მთავრობის სტრუქტურა?
- როგორ ნაწილდება ფუნქციები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის?
- რა ურთიერთგავლენა აქვთ პარლამენტსა და მთავრობას? პრეზიდენტსა და მთავრობას და პირიქით? პრეზიდენტსა და პარლამენტს?

**აქტივობა:** იმსჯელეთ, სახელმძღვანელო, გვ.37

მოცემული სქემებისა და ინფორმაციის გამოყენებით მოსწავლეებმა

</td>
<td>

რომელშიც ასახავ, როგორ განხორციელდა **ხელისუფლების დანაწილების პრინციპი** მოცემული სიტუაციის მაგალითზე.

**ანგარიშში/ პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- რამდენად არის დაცული მოცემულ სიტუაციაში ლ.ი.-ს თავისუფლება/ თანასწორობა/ადამიანის ღირსება? **(მკვ.წ.1)**
- ლ.ი.-ის რომელი უფლება/ები დაირღვა და რომელი სამართლებრივი დოკუმენტით არის დაცული ეს უფლება/ები? **(მკვ.წ.2)**
- როგორ იცავს (ან არღვევს) ხელისუფლების თითოეული შტო (მისი სტრუქტურა) ლ.ი.-ს უფლებებს? **(მკვ.წ.3)**
- როგორ დააბალანსა სასამართლო ხელისუფლებამ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურის (ჯანდაცვის) ხარვეზი?**(მკვ.წ.4)**

**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**

- რა სტრატეგიები გამოიყენე/რა

</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | უნდა იმსჯელონ ხელისუფლების ორი შტოს (საკანონმდებლო-აღმასრულებელი) ურთიერთგავლენაზე;<br><br>**აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში,** სახელმძღვანელო, გვ.38<br><br>ჯგუფები ეცნობიან თითო სიტუაციას და მსჯელობენ, როგორ იმოქმედა კონკრეტულმა გადაწყვეტილებამ სიტუაციის გმირებზე;<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** აქტივობის შეჯამებისას მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, თუ როგორია სხვადასხვა სახელისუფლებო გადაწყვეტილების გავლენა მოქალაქეებზე; კითხვების დახმარებით მივდივართ დასკვნამდე, რომ ყველა სახელისუფლებო გადაწყვეტილება აუცილებლად უკავშირდება მოქალაქეებს, ზოგჯერ – ჩვენ და ზოგჯერ – სხვას. მაგრამ ამ გადაწყვეტილებების საბოლოო ადრესატები ყოველთვის მოქალაქეები და საზოგადოება არიან. სწორედ ამიტომ არის მათი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში აუცილებელი და მნიშვნელოვანი. ასევე, ყურადღებას ვამახვილებთ პირიქით პროცესზე, რომ საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ხელისუფლება დროულად და ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს. აქვე, ვახსენებთ ქუჩაში მცხოვრები ბავშვების სიტუაციას, მეორე დავალებაში გამოკვეთილ პრობლემას – შესაბამისი სამედიცინო სერვისების არარსებობას. აქ შეიძლება გავააქტიუროთ კითხვები:<br><br>**რესურსი:** ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მუხლი 69; 89; 90;<br>https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1<br><br>• კანონებით არის თუ არა დაცული ბავშვთა/ პაციენტთა უფლებები?<br>• შესაბამისი კანონების არსებობა ხელისუფლების რომელი შტოს მოვალეობას შეადგენს?<br>• პარლამენტმა კანონების შექმნის გარდა, როგორ უნდა გააკონტროლოს მათი შესრულება?<br>• მხოლოდ კანონები არის საკმარისი, რომ ისინი ამოქმედდეს?<br>• რა უშლის ხელს ამ კანონების აღსრულებას? რესურსები | <u>ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u><br><br>**რჩევა:**<br>**ნაბიჯი1.** გაეცანით სიტუაციას<br>**ნაბიჯი2.** გაეცანით ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მუხლი 69; 89; 90;<br>https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1<br>**ნაბიჯი 3.** განსაზღვრე ხელისუფლების თითოეული შტოს და სამოქალაქო სექტორის როლი ( რა უნდა გაეკეთებინა? რა გააკეთა? ერთმანეთი როგორ გააკონტროლეს?) შექმნილ სიტუაციაში;<br><br>**სიტუაცია**<br><br>***სასამართლომ მთავრობას ბავშვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა დაავალა***<br>ლ.ი. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში სამ თვეზე მეტია იმყოფება. მისი გამოკეტვის ერთადერთი მიზეზი მისთვის საჭირო სერვისის სტაციონარის გარეთ არარსებობა გახდა. ამ სარეაბილიტაციო სერვისის გარეშე მოზარდის ოჯახი ვერ იცავდა მის უსაფრთხოებას და სიცოცხლეს. ამიტომ იძულებული გახდა, ბავშვის |

| | | |
|---|---|---|
| | (ინფრასტრუქტურული, ფინანსური, პროფესიული) ?<br>• საზოგადოების დაბალი ცნობიერება? საზოგადოების დაბალი აქტივობა?<br>• როდის რჩებიან ბავშვები/ავადმყოფები დაუცველ მდგომარეობაში?<br>• აღმასრულებელ ხელისუფლებას რა მოვალეობა აკისრია ქუჩის ბავშვებთან, ბავშვების ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებით?<br><br>**რესურსი** : სასამართლო ხელისუფლება, სახელმძღვანელო, გვ 38-39<br><br>საქართველოს კონსტიტუცია, თავი მეექვსე, სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა;<br><br>https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36<br><br>• რომელი სასამართლოებისგან შედგება სასამართლო ხელისუფლება საქართველოში?<br>• რა ფუნქცია აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს? საერთო სასამართლოებს?<br>• როგორია საერთო სასამართლოს სტრუქტურა?<br>• როგორ ფორმირდება საკონსტიტუციო სასამართლო? საერთო სასამართლოები?<br><br>**აქტივობა:** **„შექმენი მატიანე“**, სახელმძღვანელო, გვ.41<br><br><br>**რეკომენდაციები მასწავლებელს:** ორიენტირებისთვის შეიძლება წარვმართოთ **მცირე დისკუსია,** რომელშიც მასწავლებელი პირდაპირ ან ირიბად მიეხმარება, გაიხსენონ მომხდარი ამბები, როგორ არ იცავდნენ მოქალაქეები ტრანსპორტით გადაადგილების წესებს, როგორ ჯარიმდებოდნენ, როგორ აპროტესტებდნენ ამ ჯარიმების გადახდას, რაზეც სასამართლო მსჯელობდა და ასე შემდეგ.<br><br>სახელმძღვანელოში მე-41 გვერდზე მოცემული სავარჯიშოებიდან | გადასარჩენად სასწრაფო დახმარება გამოეძახა. სასწრაფომ იგი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გადაიყვანა, რადგან მთელ საქართველოში სხვა ალტერნატიული სერვისი არ მოიძებნა. ლ.ი ცენტრში სრულიად იზოლირებული, ოჯახისგან მოწყვეტილი სტრესულ ვითარებაში იყო და უარს ამბობდა დედის გარეშე კვებაზე.<br>დედა ყველა უწყებას სთხოვდა ბავშვის გამოყვანაში დახმარებას და უარის მიღების გამო იძულებული გახდა, მიემართა სასამართლოსთვის. სასამართლომ გაითვალისწინა ოჯახის და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატების მოთხოვნა: ლ.ი.-სთვის ადეკვატური სარეაბილიტაციო სერვისის შექმნამდე, მთავრობას დაავალა, ოჯახისთვის გამოეყოთ ორი პერსონალური ასისტენტი, თერაპიული კვალიფიკაციით, 12 საათის განმავლობაში, უქმე დღეების ჩათვლით. ამ დახმარების საფუძველზე შეძლო ლ.ი.-მ სამედიცინო დაწესებულების დატოვება და ოჯახში დაბრუნება. სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის |

| | | |
|---|---|---|
| | მოსწავლეს არჩევის საშუალება ეძლევა, მაგრამ თუ თქვენ დროის მენეჯმენტი გაძლევთ საშუალებას, შეიძლება, ყველა დავალება შესრულდეს.<br><br>მით უფრო, რომ მესამე დავალებაში შეიძლება ,,შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდი გამოიყენოთ: მოსწავლეებმა ვიდეო შინ ნახონ, ჩანიშვნები გააკეთონ და გაკვეთილი დისკუსიას, ანალიზს დაეთმოს.<br><br>**რესურსი**: ხელისუფლების სამი შტო და ურთიერთმიმართებები (ქეისი+სქემა), სახელმძღვანელო, გვ.40<br><br>• რა ფაქტი მოხდა?<br>• იყო თუ არა ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება? რატომ ფიქრობთ ასე?<br>• როგორ მოიქცა ოჯახი?<br>• რა შეიძლება ყოფილიყო ასეთი ქცევის მიზეზი? (დაბალი ცნობიერება, ტრადიციები, სოციალური მდგომარეობა, დაუსჯელობის სინდრომი...)<br>• როგორ მოიქცა სკოლა? სასამართლო?<br>• ეს შემთხვევა გამონაკლისია, თუ ხშირად მეორდება მსგავსი ფაქტები?<br>• რაა უნდა გაკეთდეს, რომ კანონმა იმოქმედოს?<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ ქეისის განხილვის დროს მოსწავლეებმა უნდა გაიცნობიერონ:<br><br>ა) რა როლი ეკუთვნის ამ/ამგვარ სიტუაციებში ხელისუფლების თითოეულ შტოს?<br><br>ბ) რა გააკეთა თითოეულმა, რა უნდა გაეკეთებინა?<br><br>გ) როგორ გააკონტროლეს/ დააბალანსეს ერთმანეთის ქმედება?<br><br>მაგალითად: ადრეული ქორწინების შემთხვევაში სამართლებრივი მხარე მოგვარებულია, გვაქვს საერთაშორისო ნორმების შესატყვისი კანონმდებლობა. პარლამენტმა, მთავრობამ ეს საკითხები მოაგვარა | მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, სიცოცხლის, უსაფრთხოების და თანასწორობის უფლების, თემში ცხოვრების შესაძლებლობის დაცვის მაგალითს. |

| | | |
|---|---|---|
| | (მოამზადა და დაამტკიცა კანონები), მაგრამ ამოქმედება სრულად ვერ ხერხდება. რა შეიძლება იყოს მიზეზი? აქ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აღმასრულებელი შტოს ზოგიერთი სტრუქტურა ართმევს თავს მოვალეობას (სკოლა დროულად რეაგირებს), სასამართლო ხელისუფლებასაც გამოაქვს მსჯავრი. ყველა შტო თავისი პასუხისმგებლობის ნაწილს ასრულებს, მაგრამ ადრეული ქორწინების შემთხვევები მაინც არის. ანუ კანონი საკმარისი არ აღმოჩნდა და საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება, რაც სამივე შტოს მოვალეობაში შედის.<br><br>მაგალითად სხვა სიტუაციებში, ვთქვათ მეორე კომპლექსური დავალებებისთვის მოცემულ სიტუაციაში, აღმასრულებელი ხელისუფლება_მთავრობა გვევლინება სუსტ რგოლად და მისი ქმედების დაბალანსებას ახდენს სასამართლო, როცა შესაბამისი სერვისების შექმნამდე ლ.ი.-სთვის დამხმარე პერსონალის გამოყოფას აკისრებს. ასეთი განხილვით მოსწავლეებს დავეხმარებით ხელისუფლების დანაწილების არსის გაგებაში და დავალების დამოუკიდებლად გადაწყვეტაში. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთვის მთავარი დაკვირვების საგანი ის სააზროვნო პროცესებია, რომელსაც მოსწავლეები სწავლა-სწავლების დროს გადიან,.<br><br>**აქტივობა:** იმუშავეთ ჯგუფებში, სახელმძღვანელო, გვ.40<br><br>ხელისუფლების ცალკეული შტოების საკითხების გავლის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ მოცემული დავალება.<br><br>**რეკომენდაციები მასწავლებელს:** იქმნება 3 ან 6 ჯგუფი, რომლებიც ინაწილებენ ხელისუფლების შტოებს და აკეთებენ ,,თავისი" შტოს ფუნქციებისა და უფლებების (სხვა შტოების კონტროლის, დაბალანსების) ჩამონათვალს, რაც მათ წინასწარ ინდივიდუალურად უკვე აქვთ ჩანიშნული. მოსწავლეები ჯგუფში ამთლიანებენ ინდივიდუალურ ნამუშევრებს, ჯგუფები წარმოადგენენ პრეზენტაციას და წინასწარ ფლიპჩარტზე გადატანილ სქემაზე (შეიძლება, თქვენ დაახვედროთ სქემის | |

| | | |
|---|---|---|
| | ჩარჩო) გადააქვთ ჩანაწერები. სასურველია, ჯგუფებმა ჩანაწერები სხვადასხვა ფერის მარკერებით გააკეთონ. ყველა ჯგუფს ან ჯგუფების წყვილს (თუ 6 ჯგუფი იყო) გადააქვს შეთანხმებული ტექსტი და საბოლოოდ ივსება სქემა. ეს აქტივობა ,,თოვლის გუნდის" მეთოდს იმეორებს: ჯერ იმუშავა ინდივიდმა, მერე – ჯგუფმა ან ჯგუფებმა და ბოლოს კლასმა გაამთლიანა.<br><br>მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას და სქემის გამოყენებით ერთხელ კიდევ განმარტავენ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის არსს – სხვადასხვა შტო აკონტროლებს და აბალანსებს ერთმანეთს.<br><br>სქემის შესაქმნელად სხვადასხვა ხელისუფლების შენობების რეალური ფოტოების (ჟურნალებიდან ამოღებული) გამოყენებაც შეიძლება.<br><br>ამ სქემის დიზაინზეც თუ იზრუნებთ, ფაქტობრივად ერთი საგნობრივი რესურსიც შეგემატებათ.<br><br>**რესურსი:** ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სახელმძღვანელი, გვ 42-44<br><br>• რას წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?<br>• ვინ არიან ნაფიცი მსაჯულები?<br>• როგორია მისი სტრუქტურა? რა გადაწყვეტილება გამოაქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს?<br>• რატომ ითვლება ის მოქალაქის პირდაპირი მონაწილეობის მაგალითად?<br>• ვინ არ შეიძლება იყოს ნაფიცი მსაჯული?<br><br>**აქტივობა: ზეპირი ვიქტორინა** (წყვილები) (ეს აქტივობა სახელმძღვანელოში არ არის!)<br><br>თქვენ და მეწყვილემ მოიფიქრეთ თითო კითხვა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესის შესახებ და დაუსვით კლასს. ასევე, თავად უპასუხეთ სხვების კითხვებს. | |

**აქტივობა: სიტუაციის ანალიზი;** (ეს აქტივობა სახელმძღვანელოში არ არის!)

**რესურსი:** მოსწავლეთა ნაამბობი ისტორიები

გაიხსენეთ შემთხვევა, როცა ორ მეგობარს შორის კონფლიქტი მოაგვარეთ, ან შეესწარით ასეთ სიტუაციას.

- როგორ მოხერხდა ეს ? იყო თუ არა კარგი გადაწყვეტილება?
- რა შეცვალა ამ ფაქტმა? რა ააცილეთ მეგობრებს! რა განცდა გქონდათ ამის გამო?

**რესურსი:** მედიაცია– დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ინსტრუმენტი, სახელმძღვანელო, გვ.44-45;

- რა არის მედიაცია?
- რა განასხვავებს მას სასამართლოსგან?
- რას ზოგავენ მხარეები კონფლიქტის ამ გზით მოგვარებისას?
- რა ეტაპებს მოიცავს მედიაციის პროცესი?
- შეიძლება თუ არა მისი გამოყენება ყოველდღიურ კონფლიქტებში?

**რესურსი** : ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მუხლი 35; მუხლი 41; მუხლი 87; თავი XII- უფლებამოსილებანი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროებში
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1

- ხელისუფლების რომელ შტოს რა უფლებამოსილებანი აქვს ბავშვებთან მიმართებაში?
- რა ევალება პარლამენტს და როგორი მდგომარეობაა ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან მიმართებით? (იმსჯელეთ თქვენი დავალების სიტუაციის მაგალითზე)
- რა ევალება/შეუძლია  მთავრობას და აკეთებს თუ არა ამას?

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">

<ul>
<li>რა ევალება სასამართლოს და როგორ სრულდება?</li>
<li>როგორ შეიძლება მათ გააკონტროლონ ერთმანეთის მოქმედებები?</li>
</ul>

რეკომენდაციები მასწავლებელს: ამ აქტივობების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ თქვენ ან მათ მიერ შერჩეულ დავალებებს და ისაუბრებენ მათ შესახებ.<br>
საბოლოო შემაჯამებელ აქტივობაში თქვენ შეიძლება დამატებით განუმარტოთ საკითხები, რომელთა გამოკვეთა თავად ვერ შეძლეს. ეს შეიძლება ეხებოდეს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას ხალხთან, ხელისუფლების შტოების ერთმანეთთან მიმართებას, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, მოქალაქეთა მონაწილეობას ხელისუფლების კონტროლს პროცესში.
</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები– საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები;</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება<br>(შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br>არჩევნებში მონაწილეობა<br>მოხალისეობა</td>
<td>• რატომ უნდა მივიღო მონაწილეობა არჩევნებში?</td>
</tr>
<tr>
<td>სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13)<br>1)დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
<ul>
<li>როგორ მზადდება ელექტრონული პრეზენტაცია?</li>
<li>რა რესურსები უნდა მოიმარაგოთ პრეზენტაციის ასაგებად?</li>
<li>რა უნდა გაითვალისწინოთ (აუდიტორია, ტექსტის თანმიმდევრობა, საკვანძო ფრაზები, ვიზუალური მასალა: სქემები, ფოტოები, დიაგრამები)?</li>
</ul>
</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა 1/4<br>(შემაჯამებელი დავალება)<br>თქვენი მიზანია, მოიკვლიოთ, როგორია მოქალაქეთა ცნობიერება საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, რათა დანახულ საჭიროებებზე მორგებით იზრუნოთ</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 2)სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br><br>3)აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br><br>4)სამოქალაქო მონაწილეობის დროს | • როგორ მზადდება ბუკლეტი/ფლაერი?<br>• რა მასალები დაგჭირდებათ?<br>• როგორ გაავრცელებთ?<br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**რესურსი:**<br><br>როგორ ვირჩევთ ხელისუფლებას? სახელმძღვანელო, გვ.48<br><br>• რატომ ტარდება არჩევნები?<br>• არჩევნებში მონაწილეობა ჩვენი უფლებაა თუ მოვალეობა?<br>• ვინ მონაწილეობენ არჩევნებში?<br>• ვინ ირჩევს და ვის ირჩევენ პარლამენტში?<br>• ვის ეზღუდება არჩევნებში მონაწილეობის უფლება?<br>• რა ვადით ვირჩევთ?<br>**რეკომენდაციები მასწავლებელს:** ამ კითხვების გადანაწილებით შეიძლება ვამუშაოთ ჯგუფები და შემდეგ გავამთლიანოთ მიღებული ინფორმაცია. დამატებით რესურსად კი გამოვიყენოთ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები.<br><br>**რესურსი:**<br><br>ვის ირჩევენ პირდაპირი არჩევნების გზით? ვის ირჩევენ არაპირდაპირი გზით? როგორ იღებს არჩევნებში მონაწილეობას პარტია? სახელმძღვანელო, გვ.48-49<br><br>• ვის ვირჩევთ პირდაპირი არჩევნების გზით?<br>• როგორ ვირჩევთ პრეზიდენტს? აქამდე როგორ ვირჩევდით?<br>• რა განსხვავებაა ძველსა და ახალ წესს შორის?<br>• ვინ შეიძლება გახდეს საქართველოს პრეზიდენტი?<br>• კიდევ ვის ვირჩევთ არაპირდაპირი გზით?<br>• როგორ მონაწილეობენ არჩევნებში პოლიტიკური | მათი ცნობიერების ამაღლებაზე. მოამზადეთ კითხვარი (მაქსიმუმ, 10 კითხვით) და გამოკითხეთ 5-7 ამომრჩეველი (ოჯახის წევრი, მეზობელი, ახლობელი). გააანალიზეთ რესპონდენტების პასუხები და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით მოამზადეთ **პრეზენტაცია/ ბუკლეტი/ფლაერი** თემაზე ,,არჩევნები - სამოქალაქო მონაწილეობის პირდაპირი ფორმა;“<br><br>**ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• როგორ მოქმედებენ საარჩევნო პროცესში აქტიური მოქალაქეები? რატომ? **(მკვ.წ.1)**<br>• რატომ წარმოადგენს არჩევნებში მონაწილეობა სამოქალაქო მონაწილეობის გამორჩეულ ფორმას და ქვეყანაზე და საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვის გამოხატულებას? **(მკვ.წ.2)**<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებს შორის _ არჩევნებსა (როგორც სამოქალაქო მონაწილეობის პირდაპირ ფორმასა) და მოხალისეობას ( საარჩევნო ცნობიერების ასამაღლებლად) შორის? ვისთან და რატომ ვთანამშრომლობთ |

| | | |
|---|---|---|
| მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br><br>5)სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | პარტიები?<br><br>**აქტივობა:** იმუშავეთ ჯგუფებში, სახელმძღვანელო, გვ.50<br><br>**რესურსი** რატომ იმართება არჩევნები პერიოდულად? სახელმძღვანელო, გვ.50-52<br>• რატომ იმართება არჩევნები პერიოდულად?<br>• რა მიზეზები განაპირობებს, რომ არჩევნები არ ტარდება ყოველდღიურად?<br>• რა მოხდებოდა, რომ 10 წელიწადში ერთხელ ვირჩევდეთ? ყოველწლიურად ვირჩევდეთ?<br><br>**აქტივობა:** იმსჯელეთ, სახელმძღვანელო, გვ.51-52<br><br>**აქტივობა:** იმუშავეთ წყვილებში, სახელმძღვანელო, გვ.52<br><br>**რეკომენდაციები მასწავლებელს:** ამ აქტივობებს შევაჯამებთ დისკუსიით ,,რა უნდა იცოდეს ამომრჩეველმა არჩევნების შესახებ?" **სასურველია ერთ ან ორ მოსწავლეს ვთხოვოთ, დაიტანონ დაფაზე ან ფლიპჩარტზე საკვანძო ფრაზები. ქვემოთ მოცემული კითხვების გააქტიურების შემდეგ** თქვენი შეხედულებისამებრ გადაწყვიტეთ, კვლევაზე იდივიდუალურად ამუშავებთ მოსწავლეებს, ჯგუფებად თუ ერთობლივად.<br><br>• როგორ ფიქრობთ, იციან ჩვენ გარშემო მყოფმა ამომრჩევლებმა ეს ყველაფერი?<br>• რა შეიძლება გავაკეთოთ ამის დასადგენად?<br>• კვლევა თუ ჩაგიტარებიათ ან მიგიღიათ მონაწილეობა?<br>• როგორ უნდა მოვემზადოთ კვლევისთვის?<br>• როგორ დგება კვლევის კითხვარი?<br>• რას ვაკეთებთ გამოკითხვის შემდეგ?<br>• რა ინფორმაციას გვაძლევს პასუხების ანალიზი? | არჩევნებში მონაწილეობის/მოხალისეობის დროს?**(მკვ.წ.3)**<br>• რატომ არის აუცილებელი სამოქალაქო მონაწილეობის ნებისმიერ ფორმაში, მათ შორის არჩევნებში, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობა? **(მკვ.წ. 5)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u> |

| | | |
|---|---|---|
| | **რესურსი:** საარჩევნო პროცესებისა და მასში მონაწილეობის ამსახველი სქემა; სახელმძღვანელო, გვ.54-55<br>• ვინ არის ჩართული წინასაარჩევნო პროცესებში?<br>• რას აკეთებენ პარტიები, კანდიდატები?<br>• რას აკეთებს საარჩევნო ადმინისტრაცია?<br>• რას აკეთებენ ამომრჩევლები?<br>• რას აკეთებენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები? რას აკეთებს მასმედია?<br>• რა ხდება არჩევნების დღეს, როგორ მოქმედებენ ეს აქტორები?<br>• რა ხდება არჩევნების შემდეგ?<br>• როგორ შეაფასებთ ამომრჩევლის მოქმედებას, რომელიც არ მიდის არჩევნებზე და ამ პროცესის მიღმა რჩება??<br>**რესურსი:** ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, შესავალი<br>http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf<br>• რას გულისხმობს ქალთა დისკრიმინაცია?<br>• როგორ აისახება საარჩევნო პროცესებზე ასეთი მიდგომა?<br>• მონაწილეობენ თუ არა საქართველოში ქალები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში?<br>• რა უშლის ხელს ქალებს არჩეულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე?<br>**აქტივობა: იმსჯელეთ ,** სახელმძღვანელო, გვ. 53<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მოსწავლეები ამავე გვერდზე მოცემულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და წინა რესურსის გათვალისწინებით მსჯელობენ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე.<br>**აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში,** სახელმძღვანელო, გვ.56<br>მოსწავლეებს ვანაწილებთ 4 ჯგუფად და ვაძლევთ თითო სიტუაციას. მათ უნდა გაანალიზონ სიტუაცია და იმსჯელონ, არღვევენ თუ არა საარჩევნო კანონს სიტუაციის პერსონაჟები? | |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა: დავალება,** სახელმძღვანელო, გვ.56<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ დავალებას ვაძლევთ საშინაოდ, ფაქტობრივად, მოსწავლემ მცირე კვლევა უნდა განახორციელოს ახლობლებსა და მეზობლებში. შეიძლება მივცეთ რეკომენდაცია, ამ მიზნით გამოიყენოს მისთვის ხელსაყრელი ელექტრონული გამოკითხვის პლატფორმა. გამოკითხვის შედეგები კი კლასში წარმოადგინოს,<br>სასურველია, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად და ახალ საკითხზე გადასასვლელად გამოვიყენოთ 56-ე გვერდის ბოლოს მოცემული ილუსტრაცია სლოგანით ,,დემოკრატიის წარმატება დამოკიდებულია შენზე და ჩემზე" და ისაუბრონ, როგორ ესმით ამ ილუსტრაციის არსი.<br><br>**რესურსი:** დემოკრატიის ფორმები და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა; სახელმძღვანელო, გვ.57-59<br>• არჩევნების გარდა, როგორ მონაწილეობენ მოქალაქეები ქვეყნის მართვაში?<br>• შეუძლიათ თუ არა უშუალოდ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში?<br>• როგორ და რატომ ტარდება რეფერენდუმი და რა ძალა აქვს მის შედეგებს?<br>• ვინ ნიშნავს პლებისციტს და რა ძალა აქვს მის შედეგებს?<br>• ხელისუფლებასთან თანამშრომლობის რა ფორმებია თქვენთვის ცნობილი?<br>• როგორ შეიძლება ხელისუფლებას მივმართოთ?<br>• რა არის პეტიცია?<br>• როგორ საკითხებს შეიძლება შეეხებოდეს ის?<br>• როგორ შეიძლება მივმართოთ პეტიციით საქართველოს მთავრობას? | |

| | | |
|---|---|---|
| | • რამდენი მოქალაქე უნდა აწერდეს ხელს პეტიციას, რომ ის მთავრობის განხილვის საგნად იქცეს?<br>**აქტივობა: იმუშავეთ ჯგუფებში,** სახელმძღვანელო, გვ.60<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** პეტიციის საკითხებზე მუშაობისას სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება ეწვიონ ამ პორტალს https://ichange.gov.ge/ და გაერკვნენ მისი გამოყენების შესაძლებლობებში, ასევე გადახედონ ღია და დახურულ პეტიციებს, იმსჯელონ მათ აქტუალობაზე.<br><br>**რესურსი:** თქვენი როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში, სახელმძღვანელო, გვ.60-62<br>• არჩევნებიდან არჩევნებამდე მოქალაქეებს რა ფორმით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში?<br>• ეს მონაწილეობა ნებაყოფლობითია თუ სავალდებულო?<br>• რა უნდა ვიცოდეთ, რომ შევძლოთ ვიყოთ აქტიური მოქალაქეები?<br>• რა დაგვჭირდება საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის გზების მოსაძიებლად?<br>• სად უნდა მოვიპოვოთ ინფორმაცია?<br>• როგორ უნდა შევუსაბამოთ პრობლემას გადაჭრის ან შემცირების გზები?<br>• რესურსები ყოველთვის ყოფნის საჭიროებებს?<br><br>**აქტივობა– იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ. 60<br><br>**აქტივობა – დავალება,** სახელმძღვანელო, გვ. 63<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** ,,დავალების" რუბრიკის ქვეშ მოცემულია ორი დავალება და აჯობებს ნახევარმა კლასმა ერთზე იმუშაოს, ნახევარმა–მეორეზე. ეს დავალებები საშინაოდ მივცეთ მოსწავლეებს. შესაძლებელია, თქვენ მიუთითოთ კონკრეტულ | |

პეტიციაზე.
თუ ინტერნეტის პრობლემა არსებობს, შესაძლებელია წინასწარ ამობეჭდოთ პეტიციის ტექსტი და მახასიათებლები და ისე შესთავაზოთ მოსწავლეებს. აქ ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ძალიან კარგი ინიციატივა დარჩეს რეაგირების გარეშე, თუ მხარდამჭერები ვერ შემოვიკრიბეთ. ამიტომაც მოსწავლეებისგან შესაბამისი იდეების მოსმენა და მსჯელობა მართებული იქნება.

**რესურსი:** რატომ და როგორ ვაკონტროლოთ ხელისუფლება, სახელმძღვანელო, გვ.64-65

- დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქაალაქეს აქვს უფლება და საშუალება აკონტროლოს ხელისუფლება?
- როგორ შეიძლება ეს კონტროლი განხორციელდეს?
- გვაინტერესებს თუ არა, რა გაკეთდა ხალხის საკეთილდღეოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში?
- როგორ აკვირდება ხელისუფლება პრობლემებს და როგორ რეაგირებს მასზე?
- რამდენად ზრუნავს ქალთა ჩართულობის პრობლემებზე?
- როგორ მონაწილეობენ მოქალაქეები კონტროლის პროცესში?
- დასწრებიხართ თუ არა რომელიმე საჯარო განხილვას?

**აქტივობა– იმუშავეთ წყვილებში,** სახელმძღვანელო, გვ. 64
**რეკომენდაცია მასწავლებელს:** საკითხის აღძვრისთვის უმჯობესი იქნება ,,წყვილებში მუშაობის“ აქტივობით დავიწყოთ და შემდეგ მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას და შეადარონ თავიანთ მოსაზრებებს იმავე თემაზე.
**აქტივობა– იმუშავეთ ჯგუფებში,** სახელმძღვანელო, გვ. 65

| | | |
|---|---|---|
| | **რესურსი:**<br>აკონტროლებენ მოქალაქეები, სახელმძღვანელო, გვ. 65<br>გამჭვირვალობა და საჯაროობა, სახელმძღვანელო, გვ. 67<br>• სანამ რაიმეს შემოწმებას და დაზუსტებას დავიწყებთ, რა უნდა ვიცოდეთ შემოწმების საგანზე?<br>• სად შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია?<br>• გვაქვს ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება?<br>• ყველანაირი ინფორმაცია არის საჯარო? ვის ეკისრება ვალდებულება, მოქალაქეებს მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია?<br>• რაში გამოგვადგება საჯარო ინფორმაცია?<br>• როგორ შეიძლება მოვითხოვოთ იგი?<br>• დემოკრატიის რომელი პრინციპი გვაძლევს უფლებას ვიყოთ ინფორმირებულები?<br>• საჯაროობის პრინციპი არის თუ არა აბსოლუტური?<br><br>**აქტივობა– მოდელირება-ბრიფინგი ,** სახელმძღვანელო, გვ.66<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** საკლასო სივრცის ორგანიზება მოგიწევთ ბრიფინგის შესაბამისად . კლასი გადანაწილდება სამ ჯგუფში, ,,სამინისტროს“ ჯგუფი დაიკავებს ადგილებს წინ განლაგებულ მერხებთან. ..მოქალაქეთა“ ჯგუფი აუდიტორიად მოწყობილ მერხებთან და ,,არბიტრები“ გვერდით მაგიდებთან. მანამდე ყველას ეძლევა დრო, გადახედოს მითითებულ დოკუმენტს და ჯგუფმა ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია და არგუმენტები. | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>მედია - ,,მეოთხე ხელისუფლება“</td>
<td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება<br>(შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br>გამოხატვის თავისუფლება;<br>დაგეგმვა;</td>
<td>რატომ და როგორ აკონტროლებს<br>მედია ხელისფლებას?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br>(შედეგები: 3, 4, 13)<br>1)ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2)ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>• დაგიწერიათ წერილი, რომელშიც ვინმეს უფლებებს დაიცავდით?<br>• როგორი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს ასეთ წერილს?<br>• როგორ გესმით გამოთქმა ,,საპროტესტო მზაობა“?<br>ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა<br>რესურსი :<br>მედია– ,,მეოთხე ხელისუფლება“, სახელმძღვანელო. გვ. 69-71<br>მედიაწიგნიერების რაობა http://mastsavlebeli.ge/?p=29464<br>• ჩამოთვალეთ თქვენთვის ცნობილი სამი ხელისუფლება;<br>• რომელი დოკუმენტი ადასტურებს ამ შტოების ლეგიტიმურობას/კანონიერებას?<br>• მედია წარმოადგენს ხელისუფლებას?<br>• რატომ უწოდებენ მედიას მეოთხე ხელისუფლებას?<br>• ეს სამართლებრივი ფორმულირებაა, თუ შერქმეული სახელი?<br>• რატომ დაიმსახურა მედიამ ეს სახელი?<br>• რა გავლენა აქვს მედიას ხელისუფლებაზე?<br>• როგორ და რატომ ახორციელებს მედია ხელისუფლების მონიტორინგსა და კონტროლს?</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა 1/5<br>წარმოიდგინე, რომ ჟურნალისტს, რომელმაც თქვენს ქალაქში/დაბაში/სოფელში სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის შესახებ ვიდეორეპორტაჟი მოამზადა, საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემაში სიუჟეტის გაშვებაზე უარი უთხრეს იმ მიზეზით, რომ ეს ხელისუფლებას არ მოეწონებოდა. დაწერეთ წერილი ამ მაუწყებლობის ხელმძღვანელობის მისამართით, რომელშიც დაუსაბუთებთ მათი გადაწყვეტილების არაკანონიერებას და გადაწყვეტილების არშეცვლის შემთხვევაში მოქალაქეთა საპროტესტო მზაობაზეც შეატყობინებთ.<br>წერილში/ წერილის</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| უზრუნველყოფს;<br><br>3)დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br><br>4)დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.<br><br>**ინიციატივა და მეწარმეობა (შედეგები: 5, 6, 7)**<br><br>1)პირადი/ საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;<br><br>2)მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს | • როგორი უნდა იყოს ხარისხიანი მედიაპროდუქტი?<br>• რა შემთხვევაში შეიძლება ხელი შეეშალოს სიტყვის თავისუფლებას?<br>• დემოკრატიულია თუ არა ეს ქმედება?<br>• ვის ინტერესებს იცავს მედია?<br>• რა საშუალებები გააჩნია საამისოდ?<br>• ვინ ქმნის სოციალური მედიის კონტენტს/შინაარსს?<br>• სამოქალაქო ჟურნალისტიკას შეუძლია თუ არა აკონტროლოს ხელისუფლება? კერძოდ, რომელი შტო?<br>• ვინ არიან სოციალურად დაუცველი ადამიანები?<br>• რა პრობლემები აწუხებთ მათ?<br>• როგორ ფიქრობთ, რა განცდა უნდა ჰქონდეთ მათ მიმართ საზოგადოებას, მასმედიას, ხელისუფლებას?<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ კითხვების საშუალებით შეგიძლიათ (როგორც ყველა სხვა შემთხვევაში) აქტივობები წარმართოთ ჯგუფური მუშაობის მეთოდით, დისკუსიით, გონებრივი იერიშით.<br><br>**რესურსი –** რომელიმე საინფორმაციო სააგენტოს ახალი ამბების რუბრიკიდან მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენებზე გამოქვეყნებული 3-4 ინფორმაცია.<br><br>**აქტივობა– ჯგუფური მუშაობა** (ეს აქტივობა სახელმძღვანელოში არ არის!)<br><br>მოსწავლეები ჯგუფდებიან, ურიგდებათ ინფორმაციები და მათ უნდა იმსჯელონ, რამდენად აკმაყოფილებს ისინი სანდო მედიაპროდუქტის კრიტერიუმებს? რატომ?<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მოსწავლეები თავად შეაჩევენ ,,ნიუსს“, თუ ეს არ ხერხდება, შეიძლება ბოლო პერიოდის ჟურნალ-გაზეთებიდან ამოვიღოთ ინფორმაციები. | **პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• ადამიანის რომელი უფლება დაირღვა/შეიზღუდა? რომელი უფლების დარღვევის საფრთხე შეიქმნა?**(დემოკრ.-მკვ.წ.1; ინიც. მკვ.წ. 1;2;)**<br>• რა მიზანს ისახავდა რეპორტაჟის გამოქვეყნება და რა სარგებელს მოუტანდა ქალაქს/სოფელს? რა საფუძვლები და ბერკეტები არსებობს ამ პრობ;ლემის მოსაგვარებლად და ჟურნალისტის უფლების დასაცავად ( დოკუმენტები, ინსტიტუციები)**(დემოკ.-მკვ.წ.3; ინიც.-მკვ.წ.3;)**<br>• საჭიროების შემთხვევაში, რა მოქმედებებს გეგმავს თქვენი საინიციატივო ჯგუფი სოციალურად დაუცველებისა და ჟურნალისტის მხარდასაჭერად, რა რესურსები გაგაჩნიათ. **(ინიც.-მკვ.წ.3;)**<br>• დემოკრატიის იმ კონკრეტული პრინციპების არსი და მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტუაციაში დაირღვა;**(დემოკ.-მკვ.წ. 4)**<br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის</u> |

| | | | |
|---|---|---|---|
| საზოგადოებისთის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br><br>3)მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br><br>4)მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br><br>5)გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო. | **რესურსი:** მედია-,,მეოთხე ხელისუფლება“ მასმედიის გავლენის დამადასტურებელი ინფორმაციები, სახელმძღვანელო, გვ.72<br><br>**აქტივობა-** იმსჯელეთ , სახელმძღვანელო, გვ. 73<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ეს სავარჯიშო დაიწყეთ მოსწავლის წიგნში (გვ. 72) ინფორმაციების განხილვით.<br><br>ა) მოსწავლეები გაეცნობიან მოცემულ ინფორმაციებს, იმსჯელებენ, რა გავლენა იქონია მედიამ ხელისუფლებაზე? საზოგადოებაზე? ინდივიდზე? ვინ მიიღო სარგებელი?<br><br>ბ) თავად გაიხსენებენ ადგილობრივ ან ცენტრალურ დონეზე მედიის გავლენით მოქალაქეების სასარგებლოდ შეცვლილ სიტიაციას.<br><br>გ) მოიფიქრებენ მედიისთვის ერთ საკითხს, თემას, რომელიც მოსახლეობის პრობლემის ადვოკატირებას საჭიროებს.<br><br>**აქტივობა – ,,მოდელირება-ბრიფინგი.“** სახელმძღვანელო, გვ.73<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სახელმძღვანელოში დეტალურად არის აღწერილი აქტივობა, სიტყვიერადაც მიუთითეთ მოსწავლეებს, დაიცვან დროის ლიმიტი და ყურადღება გაამახვილონ იმ საკითხებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს შეეხება, როგორ გარანტიებს ქმნის მათი უფლებების დასაცავად კანონი, რა ხდება აღსრულების თვალსაზრისით?<br><br>**აქტივობა: მუშაობა დოკუმენტებზე (ეს აქტივობა სახელმძღვანელოში არ არის)**<br><br>**რესურსი:** საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17; გვ. 256<br><br>სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ | • | სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">

- რა სამართლებრივი გარანტიები მოქმედებს გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით?
- როდის იზღუდება სიტყვის თავისუფლება?

**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** მასწავლებლის გადასაწყვეტია, ამ აქტივობას კლასში წარმართავს თუ დასახელებულ რესურსებსა და გეზისმიმცემ კითხვებს მოსწავლეს დამოუკიდებელი მუშაობისთვის გაუზიარებს.

</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">

**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br>*(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)*

</td>
<td>

**საკითხი/ები**<br>საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

</td>
<td>

**საკვანძო**<br>**შეკითხვა/შეკითხვები**

</td>
<td rowspan="2">

**კომპლექსური დავალება**<br>*(შუალედური სასწავლო მიზანი)*

</td>
</tr>
<tr>
<td>

**ქვეცნება/ები**<br>ადვოკატირება;<br>საზოგადოებრივი საჭიროებები;

</td>
<td>

- *როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელება?*
- *როგორ და რატომ უნდა ვითანამშრომლოთ ცენტრალურ* ხელისუფლებასთან საზოგადოების სამომავლო პერსპექტივისთვის?

</td>
</tr>
<tr>
<td>

**სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13)**

1)დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური

</td>
<td colspan="2">

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – 1-ელი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

- რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს წერილი?
- როგორი უნდა იყოს წერილის სტრუქტურა?
- კონკრეტულად ხელისუფლების რომელ სტრუქტურას უნდა მიმართოთ მოცემულ შემთხვევაში?
- როგორ უნდა დავასაბუთოთ მასში აღწერილი პრობლემის

</td>
<td>

**აირჩიეთ დავალება!**<br>**დავალება 1.** 1/6

შენს ქალაქში/დაბაში/სოფელში გამავალი საერთაშორისო მაგისტრალი საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულეებსა და მძღოლებს, ასევე ამ გზაზე მოძრავ სატრანზიტო მანქანებს. იმის გამო, რომ დასახლებულ პუნქტში არ არის

</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| მოქალაქეებისგან შედგება;<br><br>2)სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br><br>3)აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; | აქტუალურობა და სარგებელი, რაც მის მოგვარებას მოჰყვება?<br>• როგორ წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება პრობლემის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით?<br>• როგორ გამოვხატოთ ჩვენი მზაობა პრობლემის მოგვარებაში მოხალისეობრივი მონაწილეობისთვის?<br>**მე-2 კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• თქვენს თემში, სოფელში/ქალაქში ხშირად ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები?<br>• თქვენი აზრით, რა განაპირობებს ასეთ შემთხვევებს?<br>• რას ნიშნავს, თქვენი აზრით, ,,შავი წერტლი“?<br>• გზის მონაკვეთის აღწერილობაში რას მოიაზრებთ ( ზედაპირი, სიგანე, ხილვადობა, შესაბამისი საგზაო ნიშნები, მკვეთრი მოსახვევი...)? როგორ აღწერთ?<br>• რუკის ან ადგილის გეგმის შედგენის გამოცდილება თუ გაქვთ?<br>• როგორ დგება სამოქმედო გეგმა ( ქმედებები, რესურსები, პასუხისმგებელი პირები, ვადები)?<br><br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br>**აქტივობა– ,,იმსჯელეთ“,** სახელმძღვანელო, გვ.76 საკითხის აღძვრის მიზნით სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციების მიხედვით, მოსწავლე აფასებს, ვინ არღვევს მოძრაობის წესებს.<br>• რა შეიძლება მოჰყვეს საგზაო უსაფრთხოების წესების არცოდნას მძღოლისთვის? ფეხით მოსიარულეთათვის?<br>• რა ბერკეტები არსებობს ამ წესების დაცვისთვის (კანონები, სტრუქტურები..)?<br>• რომელ გზას ვუწოდებთ საერთაშორისო მაგისტრალს? | მოწყობილი მიწისქვეშა გასასვლელი და მოსახლეობას მაგისტრალის გადაკვეთა უწევს, იქმნება რეალური საფრთხე, ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები, ფერხდება მოძრაობა. მოამზადე **წერილი** ცენტრალური ხელისუფლების სახელზე მიწისქვეშა/მიწისზედა გადასასვლელის მოწყობის თაობაზე.<br>**ნაშრომში/ნაშრომის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რატომ გადაწყვიტეთ მოქალაქეებმა პრობლემის ადვოკატირებაში ჩართვა და რამდენად არის გათვალისწინებული, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე მძღოლების და ტვირთმზიდავი კომპანიების ინტერესები;<br>**(სამოქ.მონაწ._მკვ.წ.1; მდგრ.-მკვ.წ1)**<br>• ვის საჭიროებაზე ზრუნვის გამოხატულებაა თქვენი აქტივობა და რა პრობლემის მოგვარება გაქვთ განზრახული? **(სამოქ.მონაწ._მკვ.წ.2)**<br>• რატომ მიიჩნიეთ ცენტრალური ხელისუფლებისთვის წერილით მიმართვა (ადვოკატირება) პრობლემის მოგვარების რაციონალურ გზად;**(სამოქ.მონაწ._მკვ.წ.3;**<br>• რამდენად განაპირობებს მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა დღეს, მომავალში ადამიანების |

| | | |
|---|---|---|
| 4)სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br><br>5)სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.<br><br>**მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)** | რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე ასეთი მაგისტრალის არსებობას?<br><br>**რესურსი** მეტი სიცოცხლისთვის; სახელმძღვანელო, გვ.76-78<br>• რას განსაზღვრავს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია?<br>• თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა გამკაცრდეს კონტროლი და მოთხოვნა ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის მიმართ?<br>• რას გულისხმობს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების გაუმჯობესება?<br>• საჭიროდ მიგაჩნიათ საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესება?<br>• როგორ ფიქრობთ, მძღოლებისთვის 100-ქულიანი სისტემის შემოღებამ მოძრაობის უსაფრთხოებაზე გავლენა იქონია? | ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოებას; რამდენად ამაღლებს ამ მაგისტრალისადმი მომხმარებლების ნდობას.<br>**(სამოქ.მონაწ._მკვ.წ.4; მდგრ.-მკვ.წ2)**<br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u> |
| 1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).* | **აქტივობა – ჯგუფური მუშაობა ( სახელმძღვანელოში არ არის)**<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** კლასი დაყავით 4 ჯგუფად , გაუნაწილეთ საკითხები:<br>**პირველი ჯგუფი - ,,შავი წერტილები“**<br>**მეორე ჯგუფი – 100-ქულიანი სისტემა**<br>**მესამე ჯგუფი –,,ჭკვიანი კამერები“**<br>**მეოთხე ჯგუფი – ტექნიკური ინსპექტირება;**<br>გააცანით ინსტრუქცია: თითოულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს თავისი საკითხის არსი, გამოთქვას მოსაზრება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს ეს მიდგომა ავტოშემთხვევების შემცირებასა და მძღოლების, მგზავრებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას.<br>ჯგუფს მიეცით თავისუფლება, თავად შეარჩიოს ინფორმაციის გადმოცემის ფორმა (პრეზენტაციით, პოსტერის შექმნით, | **დავალება 2 1/7**<br><br>წარმოიდგინეთ, რომ ხართ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომელი, თქვენმა სამი ნისტრომ გამოსცა ბრძანება, რომელიც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას ეხება. ადგილობრივად იმავე პრობლემის შესწავლისთვის თქვენ დაგევალათ, ადილობრივი შსს სტრუქტურებიდან და მოსახლეობიდან მოიძიოთ ინფორმაცია და მის საფუძველზე მოამზადოთ თქვენივე |

| | | |
|---|---|---|
| | როლური თამაშით, ინფოგრაფიკით)<br>**აქტივობა** ,,იმსჯელეთ" , სახელმძღვანელო, გვ.78-79<br>სახელმძღვანელოში მოცემულ სიტუაციაზე უნდა იმსჯელონ იქვე მოცემული კითხვების მიხედვით.<br>**აქტივობა:** დავალება; შევუერთდეთ კამპანიას მეტი სიცოცხლისთვის, სახელმძღვანელო, გვ.79<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისათვის:** ეს დავალება შეასრულეთ თუ დროის მენეჯმენტი მოგცემთ საშუალებას. მოსწავლეები მოიტანენ ფოტოებს –,,სიცოცხლე ერთ ფოტოში" გამოფენენ და ისაუბრებენ ამ ფოტოს მათეულ აღქმაზე.<br><br>**რესურსი:** შენი უფლებები და მოვალეობები საგზაო მოძრაობისას; სახელმძღვანელო, გვ.80<br>• როდის ირღვევა ქვეითის უფლებები?<br>• ტროტუარზე მანქანის დგომა დასაშვებია?<br>• ,,ზებრაზე" ქვეითისთვის გზის დათმობა სავალდებულოა?<br>• გამონაბოლქვით ილახება ადამიანების უფლებები?<br>• კიდევ როდის ილახება ქვეითის უფლებები?<br>• რა ფუნქციები აქვს ,,ქვეითი SOS!" აპლიკაციას?<br>**აქტივობა- იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.81<br>**რესურსი:** შენ რა შეგიძლია გააკეთო... სახელმძღვანელო, გვ.84<br>• შეიძლება მობილურითა და ყურსასმენებით სარგებლობა გზაზე გადასვლისას?<br>• რომელ სატრანსპორტო საშუალებას უნდა დაუთმო გზა?<br>• ,,სკეიტბორდით" სარგებლობა ყველგან შეიძლება?<br>**აქტივობა** –დისკუსია, სახელმძღვანელო, გვ.83 | ქალაქის/დაბის/სოფლის საგზაო ქსელში არსებული ე.წ. ,,შავი წერტილების" ( ,,შავ წერტილად" მიჩნევისთვის კმარა 3-4 შემთხვევაც, თუ დასახლებაში მოძრაობა ინტენსიური არ არის) **აღწერილობა** (სასურველია დაურთოთ რუკაც) და ამ მონაკვეთის ინფრასტრუქტურის **მოწესრიგების გეგმა** (თქვენეული).<br><br>**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რამდენად მნიშვნელოვანია რეგულაციების მომზადება ,,შავი წერტილების" ადგილობრივ საგზაო ქსელშიც მოწესრიგებისთვის? ამ გზებით მოსარგებლე მძღოლებისა და მგზავრების ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის?**(მდგრ.-მკვ.წ. 1)**<br><br>• რა მნიშვნელობა აქვს ცალკეული რეგიონების ,,შავი წერტილების" გაუვნებლობას, მთელი საქართველოს მასშტაბით, მგზავრთა შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. **(მდგრ.-მკვ.წ. 2)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას |

| | | |
|---|---|---|
| | **1-ელ კომპლექსურ დავალებაზე ორიენტირებული აქტივობები**<br>**რესურსი:** კანონი საგზაო უსაფრთხოების შესახებ, 33-ე და 35 მუხლები.<br>https://matsne.gov.ge/ka/document/view/19198?publication=29<br>**აქტივობა-** დოკუმენტზე მუშაობა;<br>**აქტივობა-** ჯგუფური სამუშაო<br>ინსტრუქცია: კლასში იქმნება 4 ჯგუფი, რომლებიც საპრეზენტაციოდ ამზადებენ საკითხს, რატომ განეკუთვნება საგზაო უსაფრთხოება გლობალურ საკითხს და თითოეული მოქალაქის მიერ მოძრაობის წესების დაცვა რამდენად ქმნის უსაფრთხო ცხოვრების პირობას? ჯგუფმა მოსაზრებები კონკრეტული მაგალითებით უნდა გაამყაროს, რეალური ცხოვრებიდან, ფილმიდან, ლიტერატურული ნაწარმოებიდან;<br>**აქტივობა** –დისკუსია<br>• თქვენი აზრით, წარმოადგენს თუ არა პრობლემას დასახლებულ პუნქტზე გამავალი ავტომაგისტრალი გადასასვლელის გარეშე, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე მძღოლებისთვის?<br>• რეაგირების რა ფორმებს შეიძლება მიმართონ მოქალაქეებმა?<br>• ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა მიმართონ თუ ცენტრალურს (რადგან ცენტრალური მაგისტრალია და არა–შიდა გზა)? | გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.<br><br>**პრაქტიკული რჩევები:**<br>გაეცანით ბრძანების ,,საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ,,შავი წერტილების" აღმოფხვრისა და ამ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დანართი N1;<br>https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5058264?publication=0<br>გაეცანით ვებ გვერდს:,,საქართველოს ალიანსი ,,უსაფრთხო გზებისთვის" |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

**სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)*

- სათემო აქტივობების დაგეგმვისას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმების (ინფორმაციის მოპოვება, მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში) გააზრება **(მოქ.საბ.1,3,4,5,8,9,12,13)**;

**დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)*

- სახელმწიფოს მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და პოლიტიკური პროცესების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების (ადამიანის უფლებები (საარჩევნო უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მიმოსვლის და გამოხატვის თავისუფლება), თანასწორობა, სამართლიანი არჩევნები, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით **(მოქ.საბ.3,4,7,9,10,11,12,13).**

**ინიციატივა და მეწარმეობა**

- სახელმწიფოში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების დაგეგმვა **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- სახელმწიფოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებით მოქალაქის დაინტერესების და მათში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საბ.2,6,8,9);**

**მდგრადი განვითარება**

სახელმწიფოს მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და პოლიტიკური პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა პრინციპების გათვალისწინებით **(მოქ.საბ.3, 7,9,10,11,12,13).**

საათების სავარაუდო გადანაწილება

| N | საკითხის/პარაგრაფის დასახელება | საათების რაოდენობა | მასწავლებლის შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 1 | დემოკრატიული სახელმწიფო | 1 | |
| 2 | კონსტიტუცია– ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება | 2 | |
| 3 | თავისუფლება, თანასწორობა და ადამიანის ღირსება | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 4 | ხელისუფლების დანაწილება | 3 | |
| 5 | ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მედიაცია | 2 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 6 | როგორ ვირჩევთ ხელისუფლებას? | 3 | |
| 7 | დემოკრატიის ფორმები  და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა | 1 | |
| 8 | რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება? | 2 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 9 | მედია - ,,მეოთხე ხელისუფლება“ | 2 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 10 | მეტი სიცოცხლისთვის | 2 | |
| 11 | შენი უფლებები და მოვალეობები საგზაო მოძრაობისას | 1 | |

**საკითხი** -- კონსტიტუცია–ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება

**კომპლექსური დავალების პირობა** --(დავალება 1/1

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - -- - - -- - -- - - -- -- - -- - -- - -- - -- - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** → ↓ | **დემოკრატია** | **სოციალიზაცია** |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **დემოკრატიის** ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მოქალაქის უფლებებსა და მოვალეობებს შორის **(რომ დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით, ფართო საზოგადოება–ხალხი მონაწილეობს კონსტიტუციის შექმნაში/ცვლილებებში და შემდეგ ყველას კონსტიტუციური ნორმების დაცვის ვალდებულება აქვს.)** | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **სოციალიზაციის** ცნების სხვადასხვა ასპექტს *(პიროვნულ მახასიათებლებს, ადამიანის მოთხოვნილებებს, ურთიერთობას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან).* გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში თანმიმდევრულადაა ახსნილი კავშირი პიროვნულ ინტერესებს, მისწრაფებებს, ურთიერთობებსა და აღიარებას შორის. გააზრებულად და მიზეზ-შედეგობრივად არის წარმოდგენილი მიმართება კონსტიტუციასა და ადამიანის განვითარებას შორის **(საუბარია აღიარების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე. წერილში** |

| | | |
|---|---|---|
| | | აღნიშნულია სიკეთესა და სარგებელზე, რომელსაც საზოგადოება კონსტიტუციისგან იღებს.) |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (**ახსენებს დემოკრატიას, კონსტიტუციის განხილვებში მოქალაქეთა მონაწილეობას, ახსენებს ცვლილებების შესაძლებლობას**), მაგრამ ვერ არის თანმიმდევრული, ვერ ხსნის, რატომ არის კონსტიტუცია ფართო საზოგადოებრივი შეთანხმების საგანი და რას ნიშნავს ეს მოქალაქისთვის. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (**ჩამოთვლის პიროვნების ინტერესებს, საჭიროებებს, ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან , მაგრამ ვერ ახდენს ამ ასპექტების სტრუქტურაში გაერთიანებას და წერილსაც და წარდგენასაც უფრო დანაწევრებული, ფრაგმენტული ხასიათი აქვს.**. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს ერთ ასპექტს **(მაგალითად, კონსტიტუციას, ადამიანის ღირსებას, სხვა უფლებებს),** მაგრამ მსჯელობა ფრაგმენტული და არასტრუქტურირებულია. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს ერთ ასპექტს **(მაგალითად, განათლების ან მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას),** მაგრამ ეს მსჯელობა ფრაგმენტული და არასტრუქტურირებულია. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

**საკითხი** -- ხელისუფლების დანაწილება

**კომპლექსური დავალების პირობა** --(დავალება **1/2 და 1/3 _ საერთო ორივე დავალებისთვის)**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - - -- -- - - - -- - - - - - - - -- - - - - - - - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება →** ↓ | **დემოკრატია** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **დემოკრატიის** ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და დემოკრატიას, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების უფლებების გამიჯვნასა და ურთიერთკონტროლს შორის. **(კონკრეტული ქეისების მიხედვით ხსნის, რა პასუხიმგებლობას ატარებს თითოეული სახელისუფლებო შტო კონკრეტულ სიტუაციაში საკუთარ და სხვა შტოს ქმედებაზე. ამბობს, რომ პარლამენტმა კანონები კი შექმნა, მაგრამ უნდა გაეკონტროლებინა აღმასრულებელი ხელისუფლება...) დავალება ეპასუხება ყველა კრიტერიუმს ამომწურავად და თანმიმდევრულად.** |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი ( **სწორად ახსენებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, ცალკე ასახელებს მათ ფუნქციებს, მაგრამ ვერ გამოკვეთს მიმართებებს მათ შორის, ვერც ზოგადად, ვერც კონკრეტულ სიტუაციასთან კავშირში** ), ვერ ხსნის ხელისუფლების დანაწილების პრინციპის არსს კონკრეტული ქეისების მაგალითზე და ვერც ზოგადად. |

| | |
|---|---|
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს ერთ ასპექტს (**მაგალითად, საკანონმდებლო ხელისუფლებას, ჩამოთვლის მის ფუნქციებს, მაგრამ ვერ ამყარებს კავშირს ხელისუფლების სხვა შტოებთან... კონკრეტულ ქეისებთან** ...) მსჯელობა ზედაპირული და არასტრუქტურირებულია. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

| | | |
|---|---|---|
| **კლასი მე-9**<br><br>**მოსწავლის სახელი, გვარი** | | |
| **თემა** ცენტრალური ხელისუფლება – **შემაჯამებელი დავალება 1/4**<br><br>**სამიზნე ცნება –სამოქალაქო მონაწილეობა** | | |
| **დავალების პირობა** თქვენი მიზანია, მოიკვლიოთ, როგორია მოქალაქეთა ცნობიერება საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, რათა დანახულ საჭიროებებზე მორგებით იზრუნოთ მათი ცნობიერების ამაღლებაზე. მოამზადეთ კითხვარი (მაქსიმუმ, 10 კითხვით) და გამოკითხეთ 5-7 ამომრჩეველი (ოჯახის წევრი, მეზობელი, ახლობელი).<br>გააანალიზეთ რესპონდენტების პასუხები და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით მოამზადეთ **პრეზენტაცია/ ბუკლეტი/ფლაერი** თემაზე ,,არჩევნები - სამოქალაქო მონაწილეობის პირდაპირი ფორმა;“ | | |
| **შეფასების კრიტერიუმები** | **ქულები** | **კომენტარი** |
| • როგორ მოქმედებენ საარჩევნო პროცესში აქტიური მოქალაქეები? რატომ? **(მკვ.წ.1**) | 2 | |
| • რატომ წარმოადგენს არჩევნებში მონაწილეობა სამოქალაქო მონაწილეობის გამორჩეულ ფორმას და ქვეყანაზე და საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვის გამოხატულებას? **(მკვ.წ.2)** | 2 | |
| • რა მსგავსება-განსხვავებაა სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებს შორის _ არჩევნებსა (როგორც სამოქალაქო მონაწილეობის პირდაპირ ფორმასა) და მოხალისეობას ( საარჩევნო ცნობიერების ასამაღლებლად) შორის? ვისთან და რატომ ვთანამშრომლობთ არჩევნებში მონაწილეობის/მოხალისეობის დროს? **(მკვ.წ.3)** | 3 | |
| • რატომ არის აუცილებელი სამოქალაქო მონაწილეობის ნებისმიერ ფორმაში, მათ შორის არჩევნებში, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობა? **(მკვ.წ. 5)** | 3 | |

**საკითხი** ----მასმედია ¬- „მეოთხე ხელისუფლება“;-

**კომპლექსური დავალება 1/5**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - - -- -- - - - -- - - - - - - - - -- - - - -- - - - - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** → ↓ | **ინიციატივა და მეწარმეობა** | **დემოკრატია** |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **ინიციატივა და მეწარმეობის** ასპექტებს ( საზოგადოებრივი საჭიროება, იდეა, მიზანი, გზები, რესურსები...) გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>დავალებაში ასახულია არამარტო თემისა და სამიზნე ცნების საკვანძო ასპექტები, არამედ სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი კავშირი მათ შორის. წერილში **საუბარია საინიციატივო ჯგუფის მიზნებზე, მიღწევის გზებსა და საშუალებებზე. წარმოაჩენილია რა შედეგის მოლოდინი აქვთ, რა თანმიმდევრობით გეგმავენ** | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **დემოკრატიის** ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები გამოკვეთილ ასპექტებს – სოციალურად დაუცველთა უფლებების, გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის გავრცელების უფლების რეალიზების შეზღუდვასა და არადემოკრატიულ ქმედებებს |

| | | |
|---|---|---|
| | **ქმედებებს.** აღნიშნულია, რომ მათი ქმედებები კანონისა და ზნეობის ფარგლებშია დაგეგმლი. | შორის. **აღნიშნულია, როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები და რა პოზიციას იკავებენ მოქალაქეები, როცა მედიას ეზღუდება უფლება გაავრცელოს ობიექტური ინფორმაცია.** ამ უფლებების გარანტია არის კონსტიტიტუცია და კანონი მედიის შესახებ. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია მედიის დანიშნულების საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლე ჩამოთვლის რამდენიმე ასპექტს, **საინიციატივო ჯგუფის მიზანებს, ასახელებს აქტივობებს, რესურსებს, მაგრამ გეგმას არ აქვს თანმიმდევრული ხასიათი, ვერ გამოკვეთს მოსალოდნელ შედეგებსა და რისკებს.** ვერ ახდენს ნაშრომის სტრუქტურირებულ წარმოდგენას და მიმართებებს ვერ წარმოაჩენს. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია მედიის დანიშნულებასთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია,რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი ( **სწორად ახსენებს კონსტიტუციის მეორე თავს, ახსენებს კანონის უზენაესობას, გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ მათ შორის კავშირს ვერ გამოკვეთავს. წერილში არ ჩანს საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძვლები.** |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა მედიასთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის ნამუშევარი არის ძალიან მოკლე, **ახსენებს** აქივობის მიზანს, აქტივობებს, მაგრამ კრიტერიუმებს ვერ ეპასუხება. | მოსწავლის მსჯელობა მედიასთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს ერთ ასპექტს **(მაგალითად, კონსტიტუციის შესაბამის მუხლს, ადამიანის ღირსებას)** მაგრამ მსჯელობა ზედაპირულია. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

**საკითხი** -საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

**კომპლექსური დავალება 1/6**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- -- - -- -- - -- -- -- -- - -- -- -- -- - -- -- -- --

| კრიტერიუმი @ საკვანძო ცნება → ↓ | სამოქალაქო მონაწილეობა | მდგრადი განვითარება |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა საკვანძო ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **სამოქალაქო მონაწილეობის** არსს, მიზნებს, გზებსა და საშუალებებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / საკვანძო ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>დავალებაში ასახულია არამარტო თემისა და საკვანძო ცნების საკვანძო ასპექტები, არამედ სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი სამოქალაქო მონაწილეობის აქტიური ფორმის – **ადვოკატირების ეტაპები, ახსნილია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი საჭიროებას, გადაჭრის გზებსა და შედეგებს შორის.** | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / საკვანძო ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები გამოკვეთილ ასპექტებს – ლოკალურ ქმედებებსა და გლობალურ შედეგებს შორის **(საუბარია, საგზაო უსაფრთხოებაზე, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას უქმნის პრობლემას და მასზე ზრუნვა სამომავლო პერსპექტივაზე** |

| | | |
|---|---|---|
| | | ზრუნვას ნიშნავს. ) |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლე ჩამოთვლის რამდენიმე ასპექტს, **ახდენს მათ სწორ იდენტიფიცირებას (გამოკვეთს პრობლემას, საუბრობს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საფრთხეებზე, ადგილობრივ ხელისუფლებაზე,** მაგრამ ვერ ახდენს ნაშრომის სტრუქტურირებულ წარმოდგენას და მოცემულობას ვერ ამთლიანებს. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (**ასახელებს ლოკალურ ქმედებებს, მდგრადი განვითარების მიზნებს, უსაფრთხოებას...**), მაგრამ ვერ ამყარებს მიმართებებს ამ ასპექტებს შორის, არ არის თხრობაში თანმიმდევრული. ვერ გამოკვეთს, როგორ უკავ/შირდება ეს<br>ასპექტები ერთმანეთს და ლოკალური ქმედებები – სამომავლო – პერსპექტივებს |
| **მდგრადუნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის ნამუშევარი არის ძალიან მოკლე, **ახსენებს ადვოკატირებას**, ცდილობს არსის ახსნას, ზედაპირულად და ფრაგმენტულად. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს ერთი ასპექტს **(მაგალითად რა საფრთხეებს ქმნის მაგისტრალი გადასავლელის გარეშე,),** მაგრამ მსჯელობა ზედაპირული და არასტრუქტურირებულია. არ არის ამომწურავი. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

**საკითხი** - საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

**კომპლექსური დავალება 1/7**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- -- - -- -- - -- -- -- - -- -- - -- -- - -- - -- - --

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** → ↓ | **მდგრადი განვითარება** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტებს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მუნიციპალური გზების ,,შავ წერტილებსა“ და მთლიანად საგზაო უსაფრთხოებას შორის. ლოკალურად აღმოფხვრილი საფრთხეები მთლიანობაში შეადგენენ საერთო უსაფრთხოების სამომავლო პერსპექტივას, აღნიშნავს ის თავის ნაშრომში. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(ასახელებს პრობლემას, აღწერს მომხდარ შემთხვევებს, ინფრასტრუქტურას..**), მაგრამ ვერ ამყარებს მიმართებებს ამ ასპექტებს შორის, არ არის თხრობაში თანმიმდევრული. ვერ გამოკვეთს, როგორ უკავშირდება ეს ასპექტები ერთმანეთს და საჭირო ლოკალური ქმედებები –სამომავლო პერსპექტივებს |

| | |
|---|---|
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს  აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს   ერთი ასპექტს **(მაგალითად, ,,შავი წერტილების" მახასიათებლებს ჩამოთვლის, მაგრამ ვერ აღიქვამს კავშირს ადგილობრივ საფრთხეებსა და ხელისუფლების რეაგირებას შორის.** |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შესრულა, ვერ შესრულა;  პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

# თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები

| | |
|---|---|
| **თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო** | საათების სავარაუდო რაოდენობა - 11 (+4) |
| **თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**<br>• შრომის დანაწილება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს; ყველა პროფესია საჭირო და დასაფასებელია;<br>• ჩვენ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს;<br>• სესხის აღებამდე რეალისტურად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები, ყურადღებით გავეცნოთ ხელშეკრულებას და ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა შემოთავაზება;<br>• დაზღვევა გვეხმარება ფინანსური რისკების შემცირებაში ან თავიდან არიდებაში;<br>• პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებები ჩემი მომავალი კეთილდღეობის საფუძველია;<br>გადახდილი გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის და მოსახლეობის კეთილდღეობას ხმარდება. | |
| **ქვეცნებები:თემატური საკვანძო შეკითხვები**<br>• რატომ არსებობს სხვადასხვა პროფესია? რატომ ინაწილებენ ადამიანები შრომას?<br>• რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი სამსახურის დაწყებისას შრომითი ხელშეკრულების გაფორმება?<br>• როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?<br>• რატომ უნდა მოვეპყროთ პასუხისმგებლობით ნასესხებ ფულს? რატომ არის საჭირო გავერკვე სესხის პირობებში გადაწყვეტილების მიღებამდე? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ვალდებულებისთვის თავის არიდებას?<br>• როგორ ვირჩევთ ფინანსურ მომსახურებას/პროდუქტს? როგორ და რატომ ვურთიერთობთ ფინანსურ ორგანიზაციებთან?<br>• რატომ არსებობს ეროვნული ბანკი?<br>• როგორ დაგვეხმარება დაზღვევა ფინანსური რისკების თავიდან არიდებაში?<br>• რატომ ვიხდით გადასახადებს? რაში ხარჯავს სახელმწიფო ჩვენ მიერ გადახდილ გადასახადებს? | |
| **თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:** | |

<table>
<tr><td colspan="4">

1. პროფესიები – როგორ ვაკეთებ არჩევანს?
2. სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები;
3. ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები;
4. მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები–საბანკო სექტორი;
5. რისკები და დაზღვევა.

</td></tr>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მყარი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td><td>საკითხი/ები:<br>პროფესიები – როგორ ვაკეთებ არჩევანს?</td><td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td><td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td></tr>
<tr><td>ქვეცნება/ები<br>სოციალური კონტაქტები<br><br>პიროვნული ინტერესები<br>აღიარების მოთხოვნილება</td><td>• რატომ არსებობს სხვადასხვა პროფესია? როგორ ნაწილდება შრომა?<br>• როგორ ავირჩიოთ პროფესია?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი სამსახურის დაწყებისას შრომითი ხელშეკრულების გაფორმება?</td></tr>
<tr><td>სოციალიზაცია<br>(პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)<br>(შედეგები: 1, 2)<br>1) ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები)</td><td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>• რა არის დღიური? თუ გიწარმოებია დღიური?<br>• რა შეიძლება აღწეროს დღიურში ადამიანმა?<br>• გიფიქრია შენს მომავალ პროფესიაზე?<br>• როცა ოცნებობ, წარმოიდგენ ხოლმე, როგორ მიაღწევ წარმატებას პროფესიაში?<br>• რა მოჰყვება ამ წარმატებას?</td><td>დავალების პირობა 2/1<br><br>წარმოიდგინე, რომ უკვე ზრდასრული ადამიანი ხარ და 10 წელია კონკრეტული პროფესიით/ხელობით მუშაობ. მოამზადე შენი „დღიურის“ 3-4 დღის ამონარიდი, რომელშიც აღწერ: შენს ვინაობას, პროფესიას, თანამდებობას, სამუშაო ადგილს, სამუშაოს</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;<br><br>2) ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;<br><br>3)სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;<br><br>4)ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი | **ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**აქტივობა:** იმსჯელეთ. სახელმძღვანელო, გვ. 87<br><br>**რესურსი:** მოსწავლეთა ნაამბობი ცხოვრებისეული მაგალითები<br>• თქვენი აზრით, რატომ გვაქვს ამდენი განსხვავებული პროფესია?<br>• გახსენდებათ თუ არა ისეთი პროფესიები, რომლებიც აღარ არსებობს?<br>• როგორ ფიქრობთ, რატომ მიეცა ისინი დავიწყებას?<br>• რა კავშირს ხედავთ ადამიანის საჭიროებებსა და პროფესიებს შორის?<br>• პროფესიის არჩევისას უნდა დაფიქრდე თუ არა, რამდენად მოთხოვნადია ან რამდენად მოთხოვნადი იქნება მომავალში ეს პროფესია?<br>• ადამიანის კეთილდღეობა დამოკიდებულია თუ არა მისი პროფესიის აქტუალობაზე? მის პროფესიონალიზმზე?<br>• რამდენად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარება იმ დარგების განვითარებაზე, რომლებზეც მოთხოვნა არსებობს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ?<br><br>**რესურსი:** რა უნდა გაითვალისწინოთ პროფესიის არჩევისას, სახელმძღვანელო, გვ.87-88<br>• რა მახასიათებლები განაპირობებს ადამიანის წარმატებულ დასაქმებას?<br>• რა უნდა გაითვალისწინოს პროფესიის არჩევისას/შეცვლისას ადამიანმა?<br>• სად და როგორ შეიძლება გავიგოთ მეტი ინფორმაცია სასურველი პროფესიის რთულ მხარეებზე?<br>• შეიძლება პიროვნული თვისებების გამო ვერ დაეუფლო რომელიმე პროფესიას?<br>• რა იცით იმ პროფესიის სირთულეებზე, რომელიც თქვენს | მისამართს;<br><br>**რჩევა:** გარდა პირობაში მოცემული ინფორმაციისა, დღიურშივე ასახე კრიტერიუმების შესაბამისი ინფორმაციაც;<br><br>**ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რატომ აირჩიე აღნიშნული პროფესია/ხელობა და რა გზის (სწავლა, მუშაობა) გავლა მოგიხდა მის დასაუფლებლად; როგორ გაამართლა შენმა მოლოდინმა; რა ცვლილებებს გეგმავ და რატომ; (**მკვ.წ.1.2.)**<br>• პიროვნული თვისებები და მახასიათებლები, რომელიც სჭირდება ამ საქმეს პროფესიონალიზმის მისაღწევად; **( მკვ.წ.1)**<br>• როგორ მოგცა პროფესიამ/ხელობამ შენი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალება (დაასახელე მაგალითი/ები)?**( მკვ.წ.2)**<br>• ურთიერთობები კოლეგებთან, მომხმარებლებთან, |

| | | |
|---|---|---|
| შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას. | ინტერესს იწვევს?<br><br>**რესურსი:** განათლების გარდა, რა შეიძლება დაგვეხმაროს სამსახურის მოძებნში? სახელმძღვანელო, გვ.88<br>• როგორ უნდა მოემზადოს დამწყები სპეციალისტი დასაქმებისთვის?<br>• რას მატებს მას სტაჟირება ან მოხალისეობა პროფესიული მიმართულებით?<br>**აქტივობა - დავალება;** სახელმძღვანელო, გვ.89<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** შეიძლება საშინაოდაც მივცეთ.<br><br>**რესურსი: შრომითი ურთიერთობები;** სახელმძღვანელო, გვ.90-91<br>• ვინ არიან შრომითი ურთიერთობის მხარეები?<br>• რა გარანტია არსებობს სახელმწიფოში შრომის თავისუფლების რეალიზებისთვის?<br>• რა სამართლებრივი დოკუმენტები არეგულირებს შრომით ურთიერთობებს?<br>• რა არეგულირებს კონკრეტული დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობას?<br>• რა გაერთიანებები იქმნება დასაქმებულთა შრომითი უფლებების დასაცავად?<br>• როგორ მონაწილეობს არასამთავრობო სექტორი შრომის დაცვის პრობლემების მოგვარებაში?<br>**აქტივობა: იმუშავეთ წყვილებში;** სახელმძღვანელო, გვ. 91<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ სავარჯიშოს შემდეგ მოსწავლეებს გააცანით **შრომითი ხელშეკრულების/კონტრაქტის ფორმა,** ნიმუში მოცემულია ქვემოთ, დანართი 1-ის სახით. სასურველია, თუ რამდენიმე ეგზემპლარს ამობეჭდავთ ან ხელშეკრულების ფაილს პროექტორის საშუალებით გახსნით | ხელმძღვანელებთან, ხელქვეითებთან (დაასახელეთ მაგალითები);**(მკვ.წ.3;4;)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u> |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ეკრანზე , რომ პუნქტობრივად განიხილოთ.<br>**აქტივობა: იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.92<br><br>**აქტივობა - მოდელირება–შრომითი ხელშეკრულება;** სახელმძღვანელო, გვ.93<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ დავალებით<br><br>ერთგვარად შეაჯამებთ კომპლექსურამდე განვლილ პერიოდს.<br>თუ მრავალრიცხოვანი კლასი გყავთ, სჯობს 4 ჯგუფი შექმნათ და ორ წყვილად ამუშაოთ, რადგან მრავალრიცხოვან ჯგუფებში სრული ჩართულობა რთულდება. | | |
| **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br>*(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **საკითხი/ები:**<br>სახელმწიფო ბიუჯეტი; გადასახადები; | **საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები** | **კომპლექსური დავალება** *(შუალედური სასწავლო მიზანი)* |
| | **ქვეცნება/ები**<br>მეწარმე<br>ინიციატივა<br>ზრუნვა | რატომ ვიხდით გადასახადებს?<br>რატომ და როგორ ვაკონტროლოთ, როგორ ხარჯავს სახელმწიფო ჩვენ მიერ გადახდილ გადასახადებს? | |
| **ინიციატივა და მეწარმეობა (შედეგები: 5, 6, 7)**<br>1)პირადი/ საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>**ეტაპი I –**<br>**1-ელი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**რესურსი: სასწავლო ვიდეო ბლოგის შექმნაზე**<br>https://teams.microsoft.com/–#/apps/7729b9d9-42c3-456d-bc05-e59bccad6a52/sections/ EL.GE%20Identifier | | **აირჩიეთ დავალება**<br><br>**კომპლექსური დავალება 1 2/2**<br><br>წარმოიდგინე, რომ შენ და შენი თანამოაზრეები გაერთიანდით საინიციატივო ჯგუფში, რომელმაც შექმნა თემატური ბლოგი; ბლოგი მიზნად ისახავს, აამაღლოს |

| | | |
|---|---|---|
| საფუძველია;<br><br>2)მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br><br>3)მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br><br>4)მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br><br>5)გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო. | • რა არის ბლოგი?<br>• რომელ პლატფორმაზე შეიძლება მისი შექმნა?<br>• რა ფუნქციები აქვს?<br>• როგორ იწერება და ქვეყნდება პოსტები?<br><br>**მე-2 კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**რესურსი:** ვიდეოადვოკატირება_აქტიური მოქალაქის სახელმძღვანელო<br>https://civics.ge/social-media/ თავი მე-3; გვ. 52-57; 73-78;<br>• რა არის პოსტერი?<br>• შეგიქმნიათ პოსტერი?<br>• რა მიზანს ემსახურება პოსტერი?<br>• როგორ ვარჩევთ ტექსტსა და ვიზუალურ მასალას?<br>• რა რის ვიდეო? გადაგიღიათ?<br>• როგორ ვიღებთ?<br>• როგორ ვამონტაჟებთ?<br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br><br>**რესურსი: სახელმწიფო ბიუჯეტი;** სახელმძღვანელო, გვ.96-98<br>• როგორ ვიქცევით, როცა გვინდა განვსაზღვროთ, ფინანსურად შევძლებთ თუ არა რაიმე ჩანაფიქრის განხორციელებას?<br>• როგორ საზღვრავს ოჯახი, დროის გარკვეულ მონაკვეთში (ერთ თვეში, ერთ წელიწადში) შეძლებს თუ არა/ვერ საოჯახო ხარჯებთან გამკლავებას?<br>• როგორ იქცევა ოჯახი, თუ მათი შემოსავალი ნაკლებია ხარჯებზე?<br>• რა არის ბიუჯეტი?<br>• რას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი და ვისზე არის ის დამოკიდებული? | საზოგადოების ცნობიერების დონე სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასთან და მასში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თქვენ გადაწყვიტეთ გაუწიოთ ლობირება ბიუჯეტში ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერას;<br><br>შენ დაგევალა ბლოგზე გამოსაქვეყნებლად მოამზადო ბავშვთა თავშესაფრის მოწყობის **სამოქმედო გეგმა (100-150 სიტყვა),** რომელიც ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართვის დროს თქვენი პოზიციის გასამყარებლად გამოგადგებათ.<br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რატომ არის საჭირო მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის, მისი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში? **(ინიციატ.-მკვ.წ.1.2.; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ. 1)**<br>• რაში მდგომარეობს თქვენი სფეროს (თავშესაფარი) პრიორიტეტულობა (რომელი სფეროების დაფინანსების შემცირების ხარჯზე ვარაუდობთ თანხის გამოთავისუფლებას) და |

| | | |
|---|---|---|
| **სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13)**<br><br>1)დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br><br>2)სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br><br>3)აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივო | • რომელ ბიუჯეტებს აერთიანებს/ მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემა?<br>• საიდან ივსება სახელმწიფო ბიუჯეტი?<br>• ვინ არიან გადამხდელები?<br>• რომელი სტრუქტურა/სტრუქტურებია პასუხისმგებელი ბიუჯეტის შედგენაზე, დამტკიცებასა და მართვაზე?<br>• თუ გადამხდელები მოქალაქეები არიან, აქვთ თუ არა მათ უფლება აკონტროლონ, როგორ ნაწილდება და რამდენად ეფექტურად იხარჯება მათი გადასახადებით შედგენილი ბიუჯეტი?<br>• თუ შემოსავალი და ხარჯები ტოლია, როგორ ბიუჯეტთან გვაქვს საქმე?<br>• როგორი შეიძლება იყოს ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების მეტ-ნაკლებობის მიხედვით? რა არის სეკვესტრი?<br><br>**აქტივობა - იმსჯელეთ,** სახელმძღვანელო, გვ.98<br><br>**რესურსი:** რაში ხარჯავს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს? სახელმძღვანელო, გვ.99<br><br>• თქვენი აზრით, რაში ხარჯავს სახელმწიფო ბიუჯეტს?<br>• იღებს თუ არა ამ ხარჯვიდან სარგებელს ყველა მოქალაქე?<br>• თქვენ რომ ანაწილებდეთ ბიუჯეტს, რომელი მიმართულების დაფინანსებაზე იტყოდით უარს, ან პირიქით, რომელ მიმართულებას დაამატებდით? რატომ?<br>• როგორ შემიძლია მონაწილეობა მივიღო ბიუჯეტის განხილვისა და მონიტორინგის პროცესში?<br><br>**აქტივობა - იმსჯელეთ,** სახელმძღვანელო, გვ.99<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** მოსწავლეები მსჯელობით მიდიან დასკვნამდე, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება აკონტროლონ ბიუჯეტი, რომელიც მათივე გადასახადებით არის შედგენილი. | რა ქმედებებს მოიცავს თქვენი ინიციატივა? **(ინიციატ.-მკვ.წ.2; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.3)**<br>• რა მიზანი აქვს თავშესაფრის მოწყობის პროექტებს, როგორია ქმედებების, რესურსებისა და დროის გადანაწილების გეგმა?**(ინიციატ.-3;)**<br>• რა შედეგების მოლოდინი გაქვთ და ბავშვების რომელ საჭიროებას მოაგვარებს მათი მიღწევა? რა რისკები შეიძლება ახლდეს პროექტის მსვლელობას და როგორია მათი თავიდან აცილების გზები? **(ინიციატ.-მკვ.წ.4; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.4)**<br><br>**რჩევები:**<br>მუშაობის დაწყებამდე:<br>**ნაბიჯი 1. 99 გვერდზე** გაეცანი,,რაში ხარჯავს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს?" ,,ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებებს;"<br>**ნაბიჯი 2. ეწვიე** ,,ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ჩართულობის სისტემის" ვებგვერდის აპლიკაციას ,,მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგები პრიორიტეტების მიხედვით" https://ebtps.mof.ge/ka/BudgetGraphics<br>**ნაბიჯი 3.** გაიხსენე წინა თემაში შესრულებულ დავალებაში (გვ 30 ) აღწერილი ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემები და ასახე გეგმაში მოქმედებები, რომელიც |

| | | |
|---|---|---|
| პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br><br>4)სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br><br>5)სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | **რესურსი:** ,,ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ჩართულობის სისტემის" ვებგვერდის აპლიკაცია ,,მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგები პრიორიტეტების მიხედვით" https://ebtps.mof.ge/ka/BudgetGraphics<br><br>• რა შესაძლებლობას იძლევა ეს პლატფორმა?<br>• რა ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ ბიუჯეტზე?<br>• თქვენ რომელ მიმართულებების დაფინანსებას მიანიჭებდით უპირატესობას?<br><br>**რესურსი: გადასახადები;** სახელმძღვანელო, გვ.101<br><br>• რა სამართლებრივი რეგულაცია არსებობს გადასახადებთან დაკავშირებით?<br>• რა ტიპის გადასახადები არსებობს?<br>• ვინ და რა ოდენობით იხდის საშემოსავლო გადასახადს? მოგების გადასახადს? დამატებული ღირებულების გადასახადს? აქციზს? იმპორტის გადასახადს?<br>• ვინ იხდის ქონების გადასახადს?<br>• ვისზე ვრცელდება შეღავათები გადასახადებზე?<br><br>**აქტივობა -იმუშავეთ წყვილებში;** სახელმძღვანელო, გვ.102<br><br>**აქტივობა - იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.104<br><br>**აქტივობა - დავალება (საშინაოდ);** სახელმძღვანელო, გვ.105<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სასურველია შესრულდეს ორივე დავალება. პასუხებს შეაჯამებთ კლასში; მოსწავლეები თვალნათლივ, საკუთარი ოჯახის მაგალითზე დაინახავენ, რა წვლილი შეაქვთ ბიუჯეტში და რა სარგებელს იღებენ;<br><br>**რესურსი:** ვის ეკისრება გადასახადების ტვირთი? სახელმძღვანელო, გვ.106-109<br><br>• მარგარეტ ტეტჩერის აზრით, რა უნდა გააკეთოს მშობელმა, რომ შვილმა გადასახადის არსი შეიცნოს?<br>• თუ თქვენი მშობელი ზუსტად ასე მოიქცეოდა, უფრო ადრე დაინტერესდებოდით გადასახადების საკითხით? | საჭირო იქნება მათთვის თავშესაფრის მოსაწყობად.<br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u><br><br>**სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა**<br>**კომპლექსური დავალება 2 2/3**<br>წარმოიდგინე, რომ შენ, როგორც მოხალისეს, გსურს მოქალაქეებს აუმაღლო ცნობიერება გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდის მნიშვნელობაზე, დაეხმარო მათ გაიაზრონ, რომ ეს გადასახადები ჩვენი და ჩვენივე თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვას ემსახურება. ამ მიზნით, შენ გადასახადის რომელიმე, ერთ სახეობაზე უნდა შექმნა **პოსტერი** (ხელნაკეთი ან ელექტრონული) **/ვიდეორგოლი**.<br><br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:** |

| | | |
|---|---|---|
| | • რისკენ მოუწოდებს მოქალაქეებს ტეტჩერის ნათქვამი?<br>• თქვენი აზრით, რატომ არიან ვალდებულები მოქალაქეები აკონტროლონ, თუ როგორ ხარჯავენ საჯარო მოხელეები ბიუჯეტს?<br><br>**აქტივობა - იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.106<br><br>**აქტივობა – იმუშავეთ ჯგუფებში;** სახელმძღვანელო, გვ.106-107<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სიტუაციური ამოცანის განხილვისთვის, დროის დაზოგვის მიზნით, ჯგუფური მუშაობა მოხერხებული იქნება.<br><br>**რესურსი:** გადასახადების სახეობები; სახელმძღვანელო, გვ.108-109<br>• რა სახეობის გადასახადები არსებობს და რით განსხვავდება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები ?<br>• რა ბერკეტებს იყენებს სახელმწიფო ურჩი გადამხდელების მიმართ?<br><br>**აქტივობა- იმუშავეთ წყვილებში;** სახელმძღვანელო, გვ.109<br><br>**აქტივობა - დავალება;** სახელმძღვანელო, გვ.109<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** გნებავთ მოსწავლეებს მიეცით კომპლექსური დავალების არჩევანი, გნებავთ თავად შეურჩიეთ ერთ-ერთი.<br><br>**რაც შეეხება პირველი დავალების პროდუქტს,** ცხადია, შეფასების დროს ჩვენ არ უნდა გვქონდეს ზუსტი და დასაბუთებული სამოქმედო გეგმის მოლოდინი. მთავარია, მოსწავლემ სწორად წარმოაჩინოს პრობლემა/საჭიროებები და მათ შეუსაბამოს ქმედებები, რომლებისთვისაც, ასევე სავარაუდოდ, განსაზღვრავს რესურსებს, იმსჯელებს ვადებზე, რისკებზე და მათი არიდების გზებზე; | • საზოგადოების რომელი საჭიროების მოგვარებაზეა ორიენტირებული პოსტერი/ვიდეო და რა მიზანს ისახავს შენი მოხალისეობრივი აქტივობა? **(მკვ.1.2.)**<br>• რატომ არის პირდაპირი კავშირი გადასახადების კეთილსინდისიერ გადახდასა და ჩვენი საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას შორის? **(მკვ.წ.3)**<br>• როგორ აისახება ურჩი გადამხდელის ქცევა სხვა ადამიანების ინტერესებზე? **(მკვ.წ.4)**<br>• რატომ არის გადასახადების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა სამოქალაქო ჩართულობა, ხოლო გადასახადების გადახდა - მოქალაქის მოვალეობა? **(მკვ.წ.2. 3)**<br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | <u>დავალებაზე მუშაობას.</u><br>**რესურსი**<br>ვიდეოადვოკატირება_აქტიური მოქალაქის სახელმძღვანელო https://civics.ge/social-media/ თავი მე-3; გვ. 52-57; 73-78;- ვიდეოს მომზადების წესები; |
| **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **საკითხი/ები:**<br>ფინანსური ორგანიზაციები მომსახურებები;<br>**ქვეცნება/ები**<br>სოციალური პროექტები;<br>ზრუნვა | **საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**<br>• როგორ ვირჩევთ ფინანსურ მომსახურებას/პროდუქტს? როგორ და რატომ ვურთიერთობთ ფინანსურ ორგანიზაციებთან?<br>• როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?<br>• რატომ უნდა მოვეპყროთ პასუხისმგებლობით ნასესხებ ფულს? | **კომპლექსური დავალება** *(შუალედური სასწავლო მიზანი)* |
| **სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13)**<br>1)დემოკრატიული | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• ბუკლეტის დამზადების გამოცდილება თუ გაქვთ? | | **კომპლექსური დავალების პირობა 2/4**<br>**(შემაჯამებელი დავალება)**<br>გამოკითხე შენ გარშემო 5-6 ზრდასრული ადამიანი იმის |

| | | |
|---|---|---|
| საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br><br>2)სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br><br>3)აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი | • როგორ უნდა იყოს ტექსტი შედგენილი (სტრუქტურირებული)?<br>• ვიზუალური მასალა დაგჭირდებათ?<br>• რა საშუალება (ფერები, რუბრიკები, სხვადასხვა ზომის შრიფტი...) გამოიყენება ინფორმაციის გამოსაყოფად?<br>• როგორ უნდა მოემზადო გამოკითხვის ჩასატარებლად?<br>• როგორ კითხვარს მოამზადებ?<br><br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**აქტივობა–იმუშავეთ წყვილებში;** სახელმძღვანელო, გვ.111<br><br>**რესურსი**: ფინანსური ორგანიზაციების მომსახურება; სახელმძღვანელო, გვ.111-113<br><br>• თუ წინა სიტუაციიდან ვიმსჯელებთ, როგორ მიდგომას ვხვდებით ფულთან მიმართებაში?<br>• სად ინახავენ ფულს ადამიანები, რომლებსაც დანაზოგი თანხის მოგროვება სურთ?<br>• რას აკეთებენ ადამიანები, რომლებსაც რაიმე საკითხის მოსაგვარებლად თანხა არ ჰყოფნით?<br>• სად სესხულობენ ფულს?<br>• როგორ მოძრაობს ფული ბანკში?<br>• რას იღებს მეანაბრე და რას იხდის მსესხებელი?<br>• რა საბანკო პროდუქტები არსებობს?<br>• რა იცით მათ შესახებ?<br>• რა შესაძლებლობებს ქმნის ინტერნეტი საბანკო სერვისების მისაღებად?<br>• თქვენი აზრით, ახლავს რისკები ამ სერვისების გამოყენებას? | დასადგენად, თუ რამდენად ერკვევა ფინანსური ორგანიზაციების ( ბანკების, მიკროსაფინანსოების) პროდუქტებში და მათი შერჩევის წესებში, რისკებში, რომელიც ახლავს ფინანსური ვალდებულებების აღებას. გააანალიზე მათი პასუხები და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, მოამზადე და გაავრცელე **საინფორმაციო ბუკლეტი. ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რომელი საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად ფინანსური ორგანიზაციების პროდუქტებზე და მათ თანამდევ რისკებზე საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება? **(მკვ.წ.2)**<br>• ვისთან და რატომ ითანამშრომლეთ მოხალისეობრივი აქტივობების (გამოკითხვის, ბუკლეტის მომზადება-გავრცელების) დროს? **(მკვ.წ. 3)**<br>• რა გავლენას იქონიებს ბუკლეტის გაცნობა გარშემომყოფთა ფინანსური რისკების არიდებაზე/შემცირებაზე? **(მკვ.წ.3)** |

| | | |
|---|---|---|
| თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br><br>4)სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br><br>5)სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | **რესურსი**: როგორ შევარჩიოთ ბანკი? სახელმძღვანელო, გვ.116-118<br>• როგორ შეიძლება განვსაზღვროთ, არის თუ არა ბანკი სანდო?<br>• რა მახასიათებლის მიხედვით განისაზღვრება ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთი?<br>• როგორია ბანკის პირობები გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში? როგორ შეგვიძლია დავაფიქსიროთ ჩვენი პრეტენზიები?<br>• რას ამოწმებენ, სანამ სესხზე დაგთანხმდებოდნენ?<br>• რატომ გვჭირდება ხელშეკრულების გულდასმით წაკითხვა?<br>• რა რისკები ახლავს თავდებობას?<br>• სად იყრის თავს მოქალაქის საკრედიტო ისტორია?<br>• რა მნიშვნელობა აქვს ბანკებს ქვეყნის ეკონომიკისათვის?<br><br>**აქტივობა - იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.117<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** აქტივობა **იმსჯელეს** შეჯამებისას უკუკავშირის სახით გააცანით **სესხის ხელშეკრულების ნიმუში,** რომელიც მატრიცის ბოლოს, დანართი 3-ის სახითაა წარმოდგეილი.<br><br>118-ე გვერდზე მოცემული სტატისტიკის საფუძველზე შეიძლება მოაწყოთ **მცირე დისკუსია:**<br>• რა რისკები ახლავს იპოთეკური სესხების 70%-ს?<br>• თავის დროზე ინფორმირებულობას შეეძლო თუ არა შეემცირებინა ეს პროცენტი?<br><br>**აქტივობა- გონებრივი იერიში კითხვაზე:**<br>• სწორად მიგაჩნიათ თუ არა, რომ 18 წლამდე ახალგაზრდას არ აქვს სესხის აღების, ან თავდებობის უფლება? რატომ?<br><br>**აქტივობა :** იმუშავეთ ჯგუფში, სახელმძღვანელო, გვ.121 | • ხომ არ შეიცავს ბუკლეტის შინაარსი საფინანსო ორგანიზაციების, მათი პროდუქტების ანტირეკლამას? **(მკვ.წ.4)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები:<br>მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები–<br>საბანკო სექტორი</td>
<td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br>მომხმარებლის უფლებები;<br>მომხმარებლის<br>პასუხისმგებლობები;</td>
<td>• რა ფუნქცია- მოვალეობები აქვს ეროვნულ ბანკს?<br>• რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ,<br>როგორც მომხმარებლებს?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br>(შედეგები: 3, 4, 13)<br>1)ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2)ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>• როგორ იწერება ანგარიში შესწავლილი ქეისის შესახებ?<br>• თქვენი აზრით, რა უნდა აისახოს დავალებით გათვალისწინებულ ნაშრომში – იქნება ის ანგარიში თუ დასკვნა?<br>• რა ცოდნა გჭირდება ასეთი პროდუქტის შესაქმნელად?<br><br>ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა<br>რესურსი: მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები; სახელმძღვანელო, გვ.125<br>• რა წარმოადგენს ეროვნული ბანკის მთავარ მიზანს?<br>• რა კავშირია ეროვნული ბანკის ფუნქციასა და მოსახლეობის ინტერესებს შორის?<br>• რა ბერკეტები შეუძლია აამოქმედოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური ორგანიზაციების მიერ დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში?<br>• როგორ იცავს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის</td>
<td>კომპლექსური დავალება 2/5<br>წარმოიდგინე, რომ ეროვნულ ბანკში ხარ სტაჟირებაზე და ექსპერტის დამხმარის ფუნქციას ასრულებ. შენმა ხელმძღვანელმა გადმოგცა ქეისი (იხილეთ ქვემოთ), რომელიც ერთ-ერთი ბანკისა და მისი მომხმარებლის - თეონას ურთიერთობაში წამოჭრილ პრობლემებს ასახავს. შენ უნდა დაწერო ანგარიში/დასკვნა როდის და ვისი უფლებები და პასუხისმგებლობები არის დარღვეული ამ ისტორიაში.<br><br>ნაშრომში/ ნაშრომის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:<br><br>• რამდენად არის ამ სიტუაციაში დაცული მომხმარებლის</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br><br>3)დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br><br>4)დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | მომხმარებელთა უფლებებს?<br>• როგორ შეიძლება იქნეს თავიდან აცილებული მომხმარებლის უფლებების შელახვა?<br>• როგორი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ საფინანსო ორგანიზაციებმა მომხმარებელს?<br><br>**რესურსი:**<br><br>**ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი** [https://www.nbg.gov.ge/cp/uploads/legal–acts/etikis–principebi/etikis–principebi.pdf](https://www.nbg.gov.ge/cp/uploads/legal–acts/etikis–principebi/etikis–principebi.pdf)<br><br>**აქტივობა:** ჯგუფური მუშაობა (სახელმძღვანელოში არ არის!)<br><br>გაეცანით კოდექსის ამ განაკვეთს და მოამზადეთ ბანკის თანამშრომლის სამახსოვრო;<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სასურველია, მოსწავლეებს ჰქონდეთ ინტერნეტზე წვდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგიწევთ მოამზადოთ ამონარიდის იმდენი ეგზემპლარი, რამდენი ჯგუფიც გეყოლებათ.<br>**რესურსი**: მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები; სახელმძღვანელო, გვ.126<br><br>• ეკისრება თუ არა მომხმარებელს პასუხისმგებლობა ფინანსური ორგანიზაციის წინაშე?<br>• რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა თავისი უფლებების შესახებ, როცა ფინანსურ ორგანიზაციაში მიდის?<br>• რა შეადგენს მომხმარებლის მოვალეობებს?<br>• არის თუ არა მისი მოვალეობა შესარჩევი პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოკითხვა?<br>• შედის თუ არა მომხმარებლის მოვალეობაში ხელშეკრულების პირობების გაცნობა-გააზრება,?<br>• არის თუ არა მომხმარებელი ვალდებული დაიცვას | თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება? სხვა უფლებები? (დაასახელეთ კონკრეტული არგუმენტები);**(მკვ.წ.1)**<br><br>• რომელი უფლებები დაირღვა ამ შემთხვევაში და რომელი სამართლებრივი დოკუმენტებით არის ეს უფლებები დაცული? **(მკვ.წ.2)**<br><br>• როგორ იცავს (ან არღვევს) კონკრეტული ბანკი/თანამშრომელი მომხმარებლის უფლებებს; განმარტე უფლებების დაცვის საშუალებები/მექანიზმები; **(მკვ.წ.2.3.)**<br><br>• რამდენად არის დაცული კანონის უზენაესობა, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი და რაში მდგომარეობს ამ პრინციპის არსი და მნიშვნელობა? **(მკვ.წ.4)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე</u> |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">ხელშეკრულებაში დადასტურებული პირობები?<br>• თუ პრეტენზია გაუჩნდა თავისი უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, შეუძლია განაცხადოს ბანკის ხელმძღვანელობასთან , ეროვნული ბანკის შესაბამის სამსახურთან?<br><br>რესურსი: რას აკეთებს სახელმწიფო მომხმარებლის უფლებების დასაცავად; სახელმძღვანელო, გვ.126-127<br>• შეადგენს თუ არა მომხმარებლის უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობას?<br>• რა სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს სახელმწიფო მომხმარებლის უფლებების დაცვას?<br>• როდის არის დასჯადი მომხმარებლის მოტყუება?<br>• რა უფლებები აქვთ მომხმარებლებს?<br>• შესაძლებელია თუ არა მოქალაქემ იქონიოს გავლენა მომხმარებლის უფლებების დაცვის პროცესებზე? როგორ?<br><br>აქტივობა-იმუშავეთ წყვილებში; სახელმძღვანელო, გვ 127<br>აქტივობა: იმსჯელეთ. სახელმძღვანელო, გვ.128-129<br>რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: ამის შემდეგ იწყება კომპლექსური დავალებების წარდგენა. დავალების პასუხებზე უკუკავშირისთვის ამ თემატური მატრიცის ბოლოში გთავაზობთ დანართი 2._ ,,თეონას ისტორია“ სწორი პასუხებით (მასწავლებლისთვის).</td>
<td>მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები:<br>რისკები და დაზღვევა</td>
<td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები</td>
<td>• როგორ დაგვეხმარება დაზღვევა ფინანსური</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოქალაქეთა უსაფრთხოება (ჯანმრთელობის, ფინანსური ) | რისკების თავიდან არიდებაში? | |
| **მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)**<br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).* | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>**ეტაპი I**<br>**1-ელი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• როგორი უნდა იყოს მიმართვის ტექსტი?<br>• უნდა გაითვალისწინო თუ არა, ვის უნდა მიმართო, სად უნდა შედგეს შეხვედრა?<br>• გამოგადგება თუ არა ხანგრძლივი, სალექციო ტექსტი?<br>• რაზე მოგიწევთ ყურადღების მიპყრობა?<br>**მე-2 კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• რა საქმიანობას ეწევა სარეკლამო ბიურო?<br>• რა არის რეკლამის მიზანი?<br>• შეიძლება თუ არა რეკლამამ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი? რა შეიძლება მოჰყვეს ამას?<br>• შეგიქმნია კომიქსი? სარეკლამო კომიქსი?<br>• კომიქსს ჰყავს პერსონაჟები?<br>• როგორ უნდა შეარჩიო ფრაზები, რომლებსაც ფიქრობენ ან ამბობენ ისინი?<br>• როგორ ფიქრობ, კომიქსში სიტყვას მეტი მნიშვნელობა აქვს თუ ვიზუალურ მხარეს, მაგალითად, გარემოს, პერსონაჟის გარეგნობას? თუ ორივეს ერთად?<br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br>**რესურსი**: დაზღვევა; სახელმძღვანელო, გვ.132-137<br>• გიფიქრიათ, რომ ხანდახან მოულოდნელი ცვლილებები ხდება | | **კომპლექსური დავალება** 1<br>2/6<br>წარმოიდგინე, რომ შენ სადაზღვევო აგენტი ხარ და ამჯერად აგროდაზღვევის მიმართულებით მუშაობ. მოამზადე **მიმართვის ტექსტი (150+ სიტყვა),** რომლითაც გლეხებს/ფერმერებს (აირჩიე, რომელიმე სამიზნე ჯგუფი – მევენახეები, მეხილეები, მეციტრუსეები და ასე შემდეგ) მიმართავ, რომ ისინი, მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რისკების დაზღვევის სიკეთეში დაარწმუნო,<br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რა ხარჯები და რისკები ახლავს გლეხების/ფერმერების საქმიანობას? როგორია რესურსების დაზოგვის სამომავლო პერსპექტივა? **(მკვ.წ.1)**<br>• როგორ შეიძლება დღეს გაღებული მცირე დანახარჯებით დიდი ზარალის საფრთხის თავიდან აცილება/შემცირება? **(მკვ.წ.1.2.)** |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
ცხოვრებაში?
<ul>
<li>რა რისკები ახლავს ცხოვრებას? პანდემიის რისკებზე წინასწარ იყო საუბარი?</li>
<li>არსებობს მოსალოდნელი და მოულოდნელი რისკები?</li>
<li>უმკლავდება თუ არა ადამიანი ყოველთვის ამ რისკებს და მისგან მიღებულ ზიანს, ზარალს?</li>
<li>რა სისტემა შექმნეს ადამიანებმა ზარალის შესამცირებლად?</li>
<li>გისარგებლიათ სადაზღვევო სისტემით?</li>
<li>რაში და როგორ გვეხმარება დაზღვევა?</li>
<li>გვიქმნის თუ არა დაზღვევა მეტ გარანტიას სამომავლო პერსპექტივისთვის?</li>
<li>რა ტიპის დაზღვევა არსებობს?</li>
<li>რას იტყვით დაზღვევის სახეებისა და თითოეულის მახასიათებლების შესახებ?</li>
<li>რას გულისხმობს ჯანმრთელობის დაზღვევა?</li>
<li>რას და როგორ აზღვევს აგროდაზღვევა?</li>
<li>რას მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება?</li>
</ul>
რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: თემასთან დაკავშირებული მასალა საკმაოდ მოცულობითი და მოზაიკურია, ამიტომ ასარჩევად გთავაზობთ ალტერნატიულ ვარიანტებს:
ა)მოცემული კითხვების გარშემო შეგიძლიათ წარმართოთ აქტივობები თქვენთვის სასურველი მეთოდებით: კითხვების ნაწილი გონებრივი იერიშით გაააქტიუროთ, ნაწილი დისკუსიით, სხვადასხვა დიაგრამით და ასე შემდეგ. ბ) შეგიძლიათ შექმნათ ,,სადაზღვევო აგენტების“ მცირე ჯგუფები, რომლებიც დაზღვევის სხვადასხვა სახეს გაეცნობიან, გაიაზრებენ ინფორმაციას და მომხმარებლის მოსაზიდად მიმართვას მოამზადებენ. პრეზენტაციას კი როლური თამაშის მეთოდით წარმოადგენენ: რეკლამირებას გაუწევენ დაზღვევის იმ სახეს, რომელზედაც იმუშავეს.
გ) (აუცილებელი!) შექმენით 4 ჯგუფი, 2 იმუშავებს ჯანმრთელობის
</td>
<td>
პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:
<ul>
<li>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</li>
</ul>
კომპლექსური დავალება 2<br>2/7
წარმოიდგინე, რომ სარეკლამო ბიურო გაქვს და სადაზღვევო კომპანიამ ჯანმრთელობის დაზღვევის პოპულარიზაციისათვის 4-5-სცენიანი კომიქსი შეგიკვეთა. შენ შეგიძლია აირჩიო: ხელით შექმნი კომიქსს თუ რომელიმე ციფრული რესურსის (ვთქვათ, ,,ვსწავლობთ თამაშით“ ან Minecraft-is გამოყენებით. შენ შეგიძლია გადადგა უფრო თამამი ნაბიჯიც და ანიმაცია მოამზადო. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ შენმა პროდუქტმა მომხმარებელს ჯანმრთელობის და მისი დაზღვევის სამომავლო სარგებლიანობა დაანახოს.<br>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას
</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td></td>
<td>
დაზღვევაზე, 2 – აგროდაზღვევაზე. მოამზადებენ პრეზენტაციებს: რატომ არის ეს დაზღვევა მნიშვნელოვანი, დაასახელებენ მაგალითებს; განიხილავენ საკითხს მომავლის პერსპექტივაში; ეს დავალება იქნება კომპლექსურისთვის მზადების კიდევ ერთი აქტივობა;
დ) (ინდივიდუალური) შინაური ცხოველების ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თემაზე შექმენით კომიქსი.
აქტივობა - იმუშავეთ ჯგუფებში; სახელმძღვანელო, გვ. 136
რესურსი: დაზღვევა საქართველოში; სახელმძღვანელო, გვ.138-139
<ul>
<li>როგორია საქართველოში სადაზღვევო კომპანიების სპექტრი?</li>
<li>არსებობს თუ არა, გარდა კერძო კომპანიებისა, სახელმწიფო დაზღვევაც?</li>
<li>რას გულისხმობს საყოველთაო დაზღვევა?</li>
<li>ვინ არიან საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლეები (ბენეფიციარები)?</li>
<li>ვინ ვერ ისარგებლებს საყოველთაო დაზღვევით?</li>
</ul>
აქტივობა - დავალება (საშინაოდ); სახელმძღვანელო, გვ.139
რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: ყველა ამ აქტივობით მოსწავლეებს ამზადებთ კომპლექსური დავალებისათვის და ისინი პარალელურად მუშაობენ კიდეც დავალებაზე, რადგან ეს სასწავლო ერთეული არ არის ხანგრძლივი და პროცესი არ შეყოვნდეს.
როგორც სხვა შემთხვევაში, სადაც ასარჩევი დავალება გვქონდა, აქაც, სჯობს ვიმოქმედოთ დემოკრატიული მიდგომებით და მოსწავლეებს მივცეთ არჩევანის საშუალება თუ, რა თქმა უნდა, რაიმე პედაგოგიური განზრახვით არ მიგაჩნიათ საჭიროდ, რომ თავად მიუთითოთ, თუ რომელ დავალებას შეასრულებს.
</td>
<td>
ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
<ul>
<li>რატომ უნდა იზრუნოს ადამიანმა საკუთარ ჯანმრთელობაზე, მის დაზღვევაზე პირადი და საზოგადოებრივ ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით? (მკვ.წ.1)</li>
<li>დღეს გაღებული მცირე ფინანსები როგორ აგვარიდებს/ შეგვიმცირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს და დანახარჯებს სამომავლოდ?(მკვ.წ.2)</li>
</ul>
პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:
<ul>
<li><u>რა სტრატეგიები გამოიყენე ნაბიჯები გადადგი დავალება მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რ გააკეთებდი განსხვავებულა ხელახლა რომ იწყებდე კომპლექს დავალებაზე მუშაობას.</u></li>
<li></li>
</ul>
</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="3">
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები<br><br>
მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>
სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)<br>
• ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება (მოქ.საბ.1,3,4,5,6, 7,8,9,12,13);<br>
დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br>
• მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების (შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება, საკუთრების უფლება) დაცვის მექანიზმების გაანალიზება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);<br>
ინიციატივა<br>
• გააანალიზოს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით იკვეთება პრიორიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას (მოქ.საბ. 2, 4, 5, 6, 7, 10, 11, 12, 13);<br>
სამოქალაქო მონაწილეობა<br>
• სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);<br>
მდგრადი განვითარება<br>
• ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ.5,6, 7, 8, 10, 11, 13).
</td></tr>
</table>

საათების სავარაუდო გადანაწილება

| N | საკითხის/პარაგრაფის დასახელება | საათების რაოდენობა | მასწავლებლის შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 1 | პროფესიები–როგორ ვაკეთებ არჩევანს? | 1 | |
| 2 | შრომითი ურთიერთობები | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 3 | სახელმწიფო ბიუჯეტი | 2 | |
| 4 | გადასახადები | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 5 | ფინანსური ორგანიზაციების მომსახურება | 1 | |
| 6 | როგორ შევარჩიო ბანკი? | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 7 | მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 8 | დაზღვევა | 1 | |

დანართი 1

## შრომითი ხელშეკრულება

ქ. თბილისი --------------- წელი

ერთის მხრივ, დამსაქმლების დასახელება (მისამართი - -------, საიდენტიფიკაციო კოდი -------- ) მისი ხელმძღვანელის (სახელი, გვარი) სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორეს მხრივ, სახელი, გვარი (შემდგომში „დასაქმებული“), მცხოვრები ________-

პირადი № ---

ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

„დამსაქმებელი“ იღებს «დასაქმებულს“ მენეჯერის თანამდებობაზე, ხოლო „დასაქმებული“ კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული სამუშაო იმ მოცულობითა და წესით, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით, შრომის შინაგანაწესით და თანამდებობრივი ინსტრუქციით.

**მუხლი 2. „დასაქმებულის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები)**

2.1. „დასაქმებულს“ ევალება პირადად შეასრულოს სამუშაო

2.2. „დასაქმებულის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოების (ფუნქციების) ჩამონათვალი განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით.

**მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

**3.1. თანამდებობაზე ყოფნის დროს „დასაქმებულს“ უფლება აქვს:**

ა) დამსაქმებლისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, შრომის შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;

ბ) დამსაქმებლისაგან მოითხოვოს შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა და დაცვა;

გ) ისარგებლოს შვებულებით, დასვენებით, შესვენებით და უქმე დღეებით ამ ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მისი ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საკუთრებას.

**3.2. თანამდებობაზე ყოფნის დროს „დასაქმებული" ვალდებულია:**

ა) შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები კეთილსინდისიერად, დროულად და მაღალ პროფესიულ დონეზე;

ბ) განუხრელად დაიცვას დამსაქმებლის წესდება, შრომის შინაგანაწესი და დამსაქმებლის სხვა აქტები;

გ) განუხრელად დაიცვას შრომის შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქცია;

დ) არ გაავრცელოს დამსაქმებლის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამუშაოს შესრულებისას.

**3.3. „დამსაქმებელს"უფლება აქვს:**

ა) მოითხოვოს „დასაქმებულისგან" დაკისრებული ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება;

ბ) დაადგინოს შრომის შინაგანაწესი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) „დასაქმებულისაგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოითხოვოს „დასაქმებულისაგან" ზეგანაკვეთური სამუშაოსშესრულება შესაბამისი ანაზღაურებით.

ე) გამოიყენოს შრომის შინაგანაწესითა და მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებები.

ვ) საკუთარი შეხედულებით შრომის შედეგების მიხედვით მისცეს „დასაქმებულს" დანამატი, ჯილდო ან პრემია.

**3.4. „დამსაქმებელი" ვალდებულია:**

ა) დაიცვას ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები;

ბ) თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, „დასაქმებულს" შეუქმნას ნორმალური მუშაობისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

გ) „დასაქმებულს" შეუქმნას შრომის უსაფრთხო პირობები;

დ) დროულად და სრულად უზრუნველყოს «დასაქმებულისთვის" შრომის ანაზღაურების მიცემა.

**მუხლი 4. შრომის ანაზღაურება (ხელფასი)**

4.1. შესრულებული სამუშაოსათვის „დასაქმებულს" ეძლევა შრომის ანაზღაურება (ხელფასი), რომლის ოდენობა შეადგენს ———— ლარს.

4.2. შრომის ანაზღაურება (ხელფასი) გაიცემა ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

4.3. შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გაცემა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.4. „დამსაქმებელი" დაუკავებს „დასაქმებულს" საშემოსავლო გადასახადს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 5. სამუშაო დრო, შესვენების დრო, შვებულება**

5.1. „დასაქმებულის“ ძირითადი სამუშაო დრო განისაზღვრება 8 საათიანი სამუშაო დღით, 5 დღიანი სამუშაო კვირით. დასვენების დღეებია შაბათი და კვირა.

5.2. „დასაქმებულს“ უფლება აქვს ისარგებლოს 1 საათიანი შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. „დასაქმებულს“ უფლება აქვს არ იმუშაოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში.

5.4. „დასაქმებულს“ უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში 24 სამუშაო დღის ოდენობით.

5.5. „დასაქმებულს“ უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში 15 სამუშაო დღის ოდენობით. ამ უფლების გამოსაყენებლად «დასაქმებულმა“ 2 (ორი) კვირით ადრე უნდა გააფრთხილოს «დამსაქმებელი“;

**მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა**

მხარეები პასუხისმგებელი არიან ერთმანეთის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანისთვის, თუ იგი დაუძლეველი ძალის მოქმედებით არ იყო გამოწვეული.

**მუხლი 7. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა**

წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობითა და შრომის შინაგანაწესით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

**მუხლი 8. დავა**

მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. ცვლილებები და დამატებები**

ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით.

**მუხლი 10. დასკვნითი დებულებები**

10.1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობითა და დამსაქმებლის შრომის შინაგანაწესით.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

**მხარეთა ხელმოწერები**

„დამსაქმებელი“ „დასაქმებული“

________________ ________________

*დანართი 2*

**თეონას ისტორია**

როდესაც თეონა 16 წლის გახდა, კომპიუტერის საყიდლად ფულის შეგროვება გადაწყვიტა. თეონამ დაიწყო შაბათ-კვირას სანაყინეში ნახევარ განაკვეთზე მუშაობა და ამ გზით ფულის გამომუშავება. სანამ მუშაობას დაიწყებდა, თეონას საკუთარი ფული არასოდეს ჰქონია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯიბის ფულს მშობლები აძლევდნენ, ან ახლობლები ჩუქნიდნენ მცირე თანხას დაბადების დღეზე. შესაბამისად, აქამდე თეონა ფულს ყოველთვის სახლში ინახავდა. მაგრამ ახლა, რადგანაც თეონამ მუშაობა დაიწყო, მას რეგულარული შემოსავალი გაუჩნდა და გაიაზრა, რომ ფულის სახლში შენახვას სჯობს მისი უფრო უსაფრთხო ადგილას დაგროვება და სარგებლის მიღება. სწორედ ამიტომ თეონამ დეპოზიტის გახსნა გადაწყვიტა და სთხოვა დედას, ბანკში გაჰყოლოდა.

თეონამ და დედამ გაისეირნეს ქალაქში და პირველივე ბანკში შევიდნენ, რომელიც გზად შემოხვდათ. „რა აზრი აქვს სხვა ბანკების მოძებნას?"- გაიფიქრა თეონამ, „ეს ბანკიც ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ნებისმიერი სხვა ბანკი." *არასწორია: თეონას პასუხისმგებლობაა არჩევანის გაკეთებამდე ესტუმროს რამდენიმე ბანკს და ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა შემოთავაზება.*

თეონა ერთ–ერთ ოპერატორთან (კონსულტანტთან) მივიდა და უთხრა, რომ დეპოზიტის გახსნა სურდა. წარბშეკრულმა კონსულტანტმა ჯერ თეონას შეხედა, შემდეგ – თეონას დედას. „თუ დეპოზიტის გახსნა გინდოდა, შეგეძლო თავად არ მოსულიყავი და მარტო დედა გამოგეშვა. ასე ყველანი ნაკლებ დროს დავკარგავდით!" – ამოიხვნეშა კონსულტანტმა და თეონას საჩვენებელი თითით სკამისაკენ მიუთითა: „აქ დაჯექი და არ იხმაურო. როდესაც რომელიმე თანამშრომელი გათავისუფლდება, დაგეხმარება." თეონა ისე მოიქცა, როგორც კონსულტანტმა უთხრა. *არასწორია: ბანკის კონსულტანტი თეონას არაეთიკურად ეპყრობა.*

ერთი საათის შემდეგ მეორე კონსულტანტი მივიდა თეონასთან და თეონას დედასთან და მათ ხელით ანიშნა, კაბინეტში გამომყევითო. კაბინეტში, კვლავაც უსიტყვოდ, კონსულტანტმა თეონას და თეონას დედას სკამზე მიანიშნა, დასხედითო. ამის შემდეგ კონსულტანტმა ამოიღო უჯრიდან უამრავი ფორმა, თეონას დედას გახედა, და უთხრა: როგორც გავიგე, გოგონასთვის დეპოზიტის გახსნა გსურთ. ძალიან კარგი. მოდი, თეონას სახელზე 1–წლიანი დეპოზიტი გავხსნათ. მე თქვენგან თეონას შესახებ გარკვეული ინფორმაცია დამჭირდება. გთხოვთ, სწრაფ–სწრაფად მიპასუხოთ, ძალიან დაკავებული ვარ. *არასწორია: ბანკის კონსულტანტი არღვევს თეონას უფლებას, გამოხატოს საკუთარი აზრი და თავად აირჩიოს პროდუქტი.*

კონსულტანტმა ფორმები მაგიდაზე დაალაგა და მათი შევსება დაიწყო. პერიოდულად იგი მარტივ შეკითხვებს უსვამდა თეონას დედას – გოგონას სახელი? ასაკი? მისამართი? რა თანხით გსურთ გოგონას დეპოზიტის გახსნა? ტელეფონის ნომერი?

მიუხედავად იმისა, რომ თეონა ძალიან დაბნეული და მორიდებული იყო, მაინც მოუხმო სიმამაცეს და ჰკითხა კონსულტანტს: „უკაცრავად, ჩემს დეპოზიტზე რა საპროცენტო განაკვეთი მეკუთვნის? ყოველ კვირას შემიძლია დავამატო დეპოზიტზე თანხა თუ ყოველ თვე?" ამ შეკითხვებზე კონსულტანტმა უპასუხა: „გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ. ვიცი, რასაც ვაკეთებ; ზუსტად ისეთივე დეპოზიტს გაგიხსნი, როგორსაც სხვა არასრულწლოვანს ვუხსნი. თანაც, შენ რა იცი საპროცენტო განაკვეთის და თანხის დამატების შესახებ? დეტალებს დედასთან გავივლი."

*არასწორია: ბანკის კონსულტანტი არღვევს თეონას უფლებას, მიიღოს სრული, ზუსტი, ადვილად გასაგები და თავისდროული ინფორმაცია და ამასთან, თავად აირჩიოს პროდუქტი.*

თეონას აინტერესებდა, ბანკი აპირებდა  თუ არა თეონას პერსონალური მონაცემების დაცვას, თუმცა მოერიდა კითხვის დასმა. *არასწორია: თეონას პასუხისმგებლობაა, თავად იზრუნოს პერსონალური მონაცემების დაცვაზე. ამრიგად, მან ბანკს უნდა ჰკითხოს, თუ როგორ დაიცავს ბანკი მის პერსონალურ მონაცემებს.*

როგორც იქნა, თეონამ მოიკრიბა მთელი თავისი გამბედაობა და იკითხა: „უკაცრავად, ჩემს დეპოზიტზე რა საპროცენტო განაკვეთი მეკუთვნის? ყოველ კვირას შემიძლია დავამატო დეპოზიტზე თანხა თუ ყოველ თვე?“ ამ შეკითხვებზე კონსულტანტმა უპასუხა: „გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ. ვიცი რასაც ვაკეთებ; ზუსტად ისეთივე დეპოზიტს გაგიხსნი, როგორსაც სხვა არასრულწლოვანს ვუხსნი. თანაც, შენ რა იცი საპროცენტო განაკვეთის და თანხის დამატების შესახებ? დეტალებს დედასთან გავივლი.“ ამაზე თეონას არაფერი უთქვამს. *არასწორია: მისი პასუხისმგებლობაა, დასვას რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, გაეცნოს შემოთავაზებული პროდუქტის ყველა პირობას და შეადაროს ეს პროდუქტი სხვა პროდუქტებს. მომავალში თეონას მოუწევს შეძენილი პროდუქტის ყველა პირობის შესრულება. ამრიგად, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე აუცილებელია, რომ მან მიიღოს ამომწურავი პასუხები.*

ამის შემდეგ, კონსულტანტმა თეონას დედას ძალიან მოკლედ და რთული ტერმინებით აუხსნა დეპოზიტის რამდენიმე პირობა. როდესაც თეონას დედა მას კითხვებს უსვამდა, კონსულტანტი უკმაყოფილო სახით ძალიან მოკლე პასუხებს სცემდა. ბოლოს, კონსულტანტმა თეონას დედას უთხრა: „ყველა საბუთი შევსებულია. აქ მომიწერეთ ხელი, შემდეგ კი შეგიძლიათ მოლარესთან მიხვიდეთ და გადასცეთ თანხა, რომლის  შეტანაც გსურთ დეპოზიტზე.“ თეონას დედისთვის, და მით უმეტეს თეონასთვის, ბევრი რამ კვლავაც ბუნდოვანი იყო; გოგონას სურდა კონსულტანტისთვის ეკითხა, თუ შეეძლო წაეკითხა იმ დოკუმენტი, რომელსაც დედა ხელს აწერდა, მაგრამ კონსულტანტმა ხელით ანიშნა, ამისთვის არ მცალიაო და დასძინა, მთავარია, დედას ძირითადი პირობები ესმისო. *არასწორია: ბანკის კონსულტანტი არღვევს თეონას უფლებას, მიიღოს სრული, უტყუარი, დროული და გასაგები ინფორმაცია და ამასთან, უპატივცემულოდ ეპყრობა გოგონას.*

სალაროში თანხის გადახდის შემდეგ თეონა და თეონას დედა კონსულტანტთან დაბრუნდნენ, რომელმაც თეონას დედას უთხრა: „ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ და იცოდეთ, რომ სანამ 1 წელი არ გავა, თანხა არ გამოიტანოთ ბავშვის დეპოზიტიდან!“ *არასწორია: ბანკის კონსულტანტმა დაარღვია თეონას უფლება მიიღოს სრული, ზუსტი, ადვილად გასაგები და თავისდროული ინფორმაცია.*

ბანკიდან გასვლისას თეონას და თეონას დედას ფილიალის მმართველი შეხვდათ. ფილიალის მმართველი თავაზიანად მიესალმა მომხმარებლებს და მიმართა: „ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა მომხმარებლებს ვხედავ. იმედია, დღეს ჩვენს ბანკში კარგი მომსახურება მიიღეთ!“ „დიახ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა,“ – უპასუხა თეონამ. გოგონას არ სურდა საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვა *არასწორია: თეონას პასუხისმგებლობაა ბანკს გულწრფელი შეფასება დროულად მიაწოდოს და ამ გზით დაიცვას თავისი უფლებები.*

თეონა და თეონას დედა სახლში წავიდნენ. რამდენიმე თვეში თეონას უფროს დას, რომელიც 20 წლის არის, დაურეკეს და მოახსენეს, თუ რა თანხა დაგროვადა თეონას დეპოზიტზე. *არასწორია: ბანკმა სათანადოდ არ დაიცვა თეონას პერსონალური მონაცემები და მის დას შეატყობინა თეონას ფინანსური ინფორმაცია.*

დანართი 3.

**სესხის ხელშეკრულება**

თბილისი, —— ————————, ---------- წ.

**მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები**

ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის:

--------------------------------ს, დაბ. -------------- პირადი/პასპორტის №-------------, მისამართი: ------------------------------------,

შემდეგში: „გამსესხებელი“-

და

--------------------------------ს, დაბ. -------------- პირადი/პასპორტის №-------------, მისამართი: -------------------------------------,

შემდეგში: „მსესხებელი“-

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

გამსესხებელი გასცემს სესხს ფულადი სახით მსესხებელზე.

**მუხლი 3. სესხის გაცემის პირობები**

(1) გამსესხებლის მიერ მსესხებელზე გაცემული სესხის პირობები:

1. ოდენობა – ————— (————————————) ლარი;
2. ვადა – -------------;
3. სარგებელი – წლიური ----%;
4. დაბრუნების ვადა – ეტაპობრივად, თანდართული გრაფიკის მიხედვით;
5. მიზნობრიობა – უძრავი ნივთის შეძენის თანადაფინანსება (მდებარე ------------ ქუჩა, ბ.---- -------კვ.მ.);

(2) სესხი გაიცემა ამ ხელშეკრულების დადებისთანავე, მთლიანად.

**მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

(1) **გამსესხებელი ვალდებულია:**

- გადასცეს მსესხებელს სესხი ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობებით;
- მსესხებელზე სესხის გაცემის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდოს მესამე პირებს;
- მიიღოს სესხის თანხა, გადახდილი ამ ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით.

(2) **მსესხებელი ვალდებულია:**

- გამოიყენოს სესხი დანიშნულებით (მიზნობრივად);
- ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად დაუბრუნოს გამსესხებელს იგივე რაოდენობის ფულადი ერთეული, თანდართული გრაფიკის შესაბამისად;
- გადაუხადოს გამსესხებელს შეთანხმებული სესხით სარგებლობის სარგებელი;
- გაცემული სესხის თანხის თანამონაწილეობით შეძენილი უძრავი ნივთი გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად, რაც ნიშნავს შეძენილი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვას გამსესხებლის სასარგებლოდ, არაუგვიანეს სესხის გაცემიდან ერთი კვირის ვადაში. იპოთეკის ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვა რაიმე ფორმით უზრუნველყოფის გამოყენებაზე თავის არიდება მიიჩნევა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევად და გამსესხებელი უფლებამოსილი იქნება მაშინვე მოითხოვოს სესხის თანხის ერთიანად დაბრუნება.

(3) მსესხებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე დააბრუნოს სესხი და მას სესხის ვადაზე ადრე დაბრუნებისათვის არ დაეკისრება საჯარიმო თანხის გადახდა, ხოლო სარგებელს (პროცენტს) იხდის სარგებლობის ვადის მიხედვით.

(4) გამსესხებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მოითხოვის სესხის დაბრუნება თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა უარესდება, ამ ხელშეკრულების მუხლი 7 დადგენილი წესით.

(5) თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონფიდენციალური ინფორმაცია.

(6) სესხის გაცემა დასტურდება ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ხოლო მისი დაბრუნება მხარეების მიერ უნდა დადასტურდეს წერილობითი დოკუმენტით.

### მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

(1) თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

(2) მსესხებელი ვალდებულია სესხის შესაბამისი ეტაპის გადახდის ვადის გადაცილებისათვის გადაუხადოს გამსესხებელს პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადასახდელი თანხის 0,01%-ს ოდენობით.

(3) თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

(4) დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

- ხანძარი და აფეთქება, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურება;
- სამხედრო აჯანყება, ომი.

(5) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

### მუხლი 6. სახელშეკრულებო ვადა

(1) ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

(2) სესხი გაცემულია ----- წლის ვადით, ხოლო მისი დაბრუნება ეტაპობრივად განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების დანართით.

### მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

1. მხარეთა შეთანხმებით;
2. სესხისა და სარგებლის ვადაზე ადრე დაფარვით;

3. თუ მსესხებელი თავს არიდებს იპოთეკის ხელშეკრულების დადებას;
4. გამსესხებლის მოთხოვნით, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა უარესდება. ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებად მიიჩნევა, თუ მსესხებელი არ იხდის შესაბამი ეტაპით, გრაფიკით გათვალისწინებულ გადასახდელს (სესხის ნაწილსა და სარგებელს).

(2) თუ გამსესხებელი არ გასცემს მსესხებელზე სესხს ან გადააცილებს გაცემის ვადას ან გასცემს შეთანხმებულზე მცირე ოდენობით, მაშინ მსესხებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება სესხის გაცემის ვადის დადგომიდან 1 თვის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში მსესხებელს არ ეკისრება პროცენტის გადახდა მიღებულ სესხზე. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ მსესხებელმა წერილობით უნდა აცნობოს გამსესხებელს შეწყვეტის საფუძვლის მითითებით და სრულად დააბრუნოს სესხის ის ნაწილი, რაც მან უკვე მიიღო.

## მუხლი 8. დამატებითი პირობები

(1) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, რომელიც გადაეცემათ მხარეებს.

(2) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით ახალი ხელშეკრულების დადებით.

## მუხლი 9. მხარეთა ხელმოწერა

**(1) გამსესხებელი:** **(2) მსესხებელი:**

---------------------------- ________________________________ ______________________________________

________________________________________

სესხის გადახდის გრაფიკი

| № | გადახდის თარიღი | გადასახდელი თანხა |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

___________________________ _______________________________

## შეფასების ინსტრუმენტები

**საკითხი** -- პროფესიები _ როგორ ვაკეთებ არჩევანს?
**კომპლექსური დავალება 2/1**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - - -- -- - - -- - - - -- - - - -- - -- -- - - - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** → ↓ | **სოციალიზაცია** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.<br>მოსწავლის დავალება და პასუხები შესაბამისობაშია არამარტო დავალების კრიტერიუმებთან, არამედ სცდება მას და საკითხი სხვა სამიზნე ცნებებთან, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან კავშირში განიხილება: ეხება ახალ პროფესიებს, რომელიც მოსდევს ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას, გამოთქვამს ორიგინალურ ვარაუდებს მომავლის სამუშაო სივრცის ორგანიზების, დამსაქმებლსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობის, ანაზღაურების სისტემის შესახებ.( **იყენებს ფრაზებს, ,,თუ საკითხს მომავლის პერსპექტივიდან შევხედავთ, ყველაფერი იცვლება, მათ შორის, ადამიანის და საზოგადოების ურთიერთმიმართებაც, ის უფრო ჰარმონიული და მზრუნველი გახდება“)** |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **სოციალიზაციის** ცნების სხვადასხვა ასპექტს *(პიროვნულ მახასიათებლებს, ადამიანის მოთხოვნილებებს, ურთიერთობას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან).* გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში თანმიმდევრულადაა ახსნილი კავშირი პიროვნულ ინტერესებს, მისწრაფებებს, პროფესიულ არჩევანსა და აღიარებას შორის. გააზრებულად და მიზეზ-შედეგობრივად არის წარმოდგენილი მიმართება შრომითი ურთიერთობების განსაზღვრულობასა და სტაბილურ და ჰარმონიზებულ სამუშაო გარემოს შორის. **(საუბარია აღიარების საჭიროებაზე და ჯილდო-წახალისების მნიშვნელობაზე. დღიურში აღნიშნულია სიკეთესა და სარგებელზე, რომელსაც საზოგადოება პროფესიონალებისგან იღებს.)** |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(ჩამოთვლის პიროვნების ინტერესებს, საჭიროებებს, ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან , მიკუთვნებულობის საჭიროებას, კეთილდღეობას, მაგრამ ვერ ახდენს ამ ასპექტების სტრუქტურაში გაერთიანებას და დღიურსაც და წარდგენასაც უფრო დანაწევრებული, ფრაგმენტული ხასიათი აქვს..** |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს ერთ ასპექტს (მაგალითად, სწავლას პროფესიის მისაღებად, ყურადღებას ამახვილებს მის ხარისხზე) მაგრამ ეს სასურველი შინაარსისგან მოწყვეტილი რჩება, არ ვითარდება. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე სწორად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა/ვერ შეასრულა;<br>პირობას აცდენილია, ადექვატურად ვერ აღიქვა... |

**საკითხი** - სახელმწიფო ბიუჯეტი

**კომპლექსური დავალება 2/2**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- -- - -- -- - -- -- - -- -- - -- -- - -- -- - -- --

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** → ↓ | **სამოქალაქო მონაწილეობა** | **ინიციატივა და მეწარმეობა** |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **სამოქალაქო მონაწილეობის** არსს, მიზნებს, გზებსა და საშუალებებს.<br>გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>დავალებაში ასახული თემისა და სამიზნე ცნების საკვანძო ასპექტები სტრუქტურირებულად და ურთიერთმიმათებაშია წარმოდგენილი; ხსნის სამოქალაქო მონაწილეობის **მნიშვნელობას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხელისუფლების კონტროლს, პრიორიტეტებზე დაფუძნებულ ბიუჯეტს და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის.** | მკაფიოდ გამოავლენს **სამეწარმეო** უნარ-ჩვევებს (განსაზღვრავს საჭიროებებს, აყალიბებს მოქმედების/პროექტის იდეას, მიზანს, მისი მიღწევის დროში გაწერილ გეგმას და საჭირო რესურსების ჩამონათვალს, ასევე მონიტორინგის მექანიზმს). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები **ინიციატივის მიზანს, განხორციელების ეტაპებს და რესურსებს შორის. წარმოჩენილია რისკები და მათი არიდების გზები.** ნაშრომი თანმიმდევრულია, კარგად ჩანს მიმართებები. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან | აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს <u>არ აქვს</u> მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლე ჩამოთვლის რამდენიმე ასპექტს, **ახდენს მათ სწორ იდენტიფიცირებას (გამოკვეთს პრობლემას,** | აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს <u>არ აქვს</u> მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(აღწერს პრობლემას, ასახელებს** |

| | | |
|---|---|---|
| დაკავშირებით. | **ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯებზე,** სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობაზე, მაგრამ ვერ ახდენს ნაშრომის სტრუქტურირებულ წარმოდგენას და მოცემულობას ვერ ამთლიანებს. | **ქმედებებს, ასახელებს მოლოდინებს,..**), მაგრამ ვერ ამყარებს მიმართებებს ამ ასპექტებს შორის. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის ნამუშევარი არის ძალიან მოკლე, **ახსენებს** მოქალაქის როლს, ცდილობს არსის ახსნას, ზედაპირულად და ფრაგმენტულად. | მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში წარმოაჩენს ერთი ასპექტს **(მაგალითად სამოქმედო გეგმას, მის ჩამონათვალსა და ვადებს, მაგრამ არ ჩანს სხვა კომპონენტები...) .** მსჯელობა ზედაპირული და არასტრუქტურირებულია. არ არის ამომწურავი. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

საკითხი -- **გადასახადები**

კომპლექსური დავალება 2/3

მოსწავლის სახელი და გვარი - -- -- - -- - -- - - -- -- - -- -- - -- - -- - - -

| კრიტერიუმი @ საშიზნე ცნება | სამოქალაქო მონაწილეობა |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.<br>მოსწავლის დავალებაში ასახულია არამარტო კრიტერიუმებთან სრულად შესაბამისი, თანმიმდევრული და გააზრებული პასუხები, არამედ საკითხი უფრო ფართო პერსპექტივაშია წარმოდგენილი: **მოსწავლე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გადასახადები მომავალში ნებაყოფლობითი იქნება, რადგან ადამიანები გახდებიან სოლიდარულები და იზრუნებენ ერთმანეთზე, სახელმწიფოზე.** |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **სამოქალაქო მონაწილეობის** არსს, მიზნებს, გზებსა და საშუალებებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>დავალებაში ასახული თემისა და სამიზნე ცნების საკვანძო ასპექტები სტრუქტურირებულად და ურთიერთმიმათებაშია წარმოდგენილი; ხსნის სამოქალაქო მონაწილეობის **მნიშვნელობას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ბიუჯეტსა და გადასახადებს, ბიუჯეტსა და სოციალურ სერვისებს, სახელმწიფოს, ხელისუფლების ფუნქციონირების პროცესს შორის.** |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს <u>არ აქვს</u> მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლე ჩამოთვლის რამდენიმე ასპექტს, **ახდენს მათ სწორ იდენტიფიცირებას (გამოკვეთს პრობლემას, საუბრობს სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა ფორმებზე,** მაგრამ ვერ ახდენს ნაშრომის სტრუქტურირებულ წარმოდგენას და მოცემულობას ვერ ამთლიანებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის ნამუშევარი არის ძალიან მოკლე, **ახსენებს** სამოქალაქო კონტროლს, ცდილობს არსის ახსნას, ზედაპირულად და ფრაგმენტულად. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა/ვერ შეასრულა; აცდენილია, პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

| | | |
|---|---|---|
| **თემა** ეკონომიკა და სახელმწიფო – **შემაჯამებელი დავალება 2/4** | | |
| **სამიზნე ცნება= სამოქალაქო მონაწილეობა**<br><br>**დავალების პირობა:** გამოკითხე შენს გარშემო 5-6 ზრდასრული ადამიანი იმის დასადგენად, თუ რამდენად ერკვევა ფინანსური ორგანიზაციების ( ბანკებთან, საფინანსო ორგანიზაციებთან) პროდუქტებში და მათი შერჩევის წესებში, რისკებში, რომელიც ახლავს ფინანსური ვალდებულებების აღებას. გააანალიზე მათი პასუხები და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, მოამზადე **საინფორმაციო ბუკლეტი;** | | |
| **შეფასების კრიტერიუმები** | **ქულები** | **კომენტარი** |
| • რომელი საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად ფინანსური ორგანიზაციების პროდუქტებზე და მათ თანამდევ რისკებზე საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება? **(მკვ.წ.2)** | 3 | |
| • ვისთან და რატომ ითანამშრომლეთ მოხალისეობრივი აქტივობების (გამოკითხვის, ბუკლეტის მომზადება-გავრცელების) დროს? **(მკვ.წ. 3)** | 3 | |
| • რა გავლენას იქონიებს ბუკლეტის გაცნობა გარშემომყოფთა ფინანსური რისკების არიდებაზე/შემცირებაზე? **(მკვ.წ.3)** | 2 | |
| • ხომ არ შეიცავს ბუკლეტის შინაარსი საფინანსო ორგანიზაციების, მათი პროდუქტების ანტირეკლამას? **(მკვ.წ.4)** | 2 | |

**საკითხი** -- მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები

**კომპლექსური დავალება 2/5**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - -- - - -- - - -- -- - -- -- - -- -- -- - - - - -

| კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება → ↓ | დემოკრატია |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების პროდუქტში გამოკვეთილ დასკვნებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში არსებულ სხვა სამიზნე ცნებებზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.<br><br>დავალებაში ასახულია არამარტო კრიტერიუმებთან სრულად შესაბამისი, თანმიმდევრული და გააზრებული პასუხები, არამედ ეს საკითხი უფრო ფართო პერსპექტივაში მდგრად განვითარებასთან, სამომავლო პერსპექტივებთან კავშირში განიხილება (**იყენებს ფრაზებს, ,,თუ საკითხს მომავლის პერსპექტივიდან შევხედავთ, მომხმარებლის უფლებას ვეღარავინ დაარღვევს, რადგან თავად ,,თეონა" იქნება ინფორმირებული და მომთხოვნი, ამას მომწოდებლები, იმავე საფინანსო ორგანიზაციებშიც მიხვდებიან...".)** |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **დემოკრატიის** ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი **მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მომხმარებლის უფლებებსა და მოვალეობებს შორის, გამოკვეთილია საფინანსო ორგანიზაციის მხრიდან მომხმარებლის უფლებების დარღვევის მომენტები და მისი წინაპირობები; გამოკვეთილია ორმხრივი პასუხიმგებლობის საჭიროება; ყურადღებას ამახვილებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებაზე, როგორც საკონსტიტუციო ნორმაზე.** |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი ( **სწორად ახსენებს, მომხმარებლის უფლებებს, ახსენებს მის მოვალეობებს, პერსონალურ ინფორმაციას, არჩევანის უფლებას...** ), მაგრამ არ არის თანმიმდევრული, ვერ ამთლიანებს საკითხს. |
| **უნისტრუქტურული დონე** | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე |

| | |
|---|---|
| მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს ერთ ასპექტს **(მაგალითად, მომხმარებლის უფლებებს),** მაგრამ მსჯელობა ფრაგმენტული და არასტრუქტურირებულია. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა/ვერ შეასრულა; აცდენილია, პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

**საკითხი** - რისკები და დაზღვევა
**კომპლექსური დავალება 2/6**
**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - - -- - - - -- - - -- - - - -- - -- - - - - -

| კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება → ↓ | მდგრადი განვითარება |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>უკავშირებს კომპლექსური დავალების მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.<br>მოსწავლის დავალებაში ასახულია არამარტო კრიტერიუმებთან სრულად შესაბამისი, თანმიმდევრული და გააზრებული პასუხები, არამედ საკითხი უფრო ფართო პერსპექტივაშია გააზრებული: **მოსწავლე აღნიშნავს, რომ ,,როგორც შემიძლია ვივარაუდო“ გამოთქვამს თავის ვარაუდს, ვთქვათ, რომ მომავალში ადამიანები ყველაფერს დააზღვევენ, რომ ფუჭი შრომა და უმიზნო დანახარჯები არ გასწიონ.** |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტებს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები **არსებულ რისკებს, მათ დაზღვევასა და ადამიანის მშვიდ, უშფოთველ სამომავლო პერსპექტივას, ეკონომიკურ მდგრადობას შორის.** ლოკალურად აღმოფხვრილი საფრთხეები მთლიანობაში შეადგენენ საერთო უსაფრთხოების სამომავლო პერსპექტივას, აღნიშნავს ის თავის ნაშრომში. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს <u>არ აქვს</u> მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(ასახელებს ბუნებრივ რისკებს, სოფლის მეურნეობის თავისებურებას, დაზღვევას**, მაგრამ ვერ ამყარებს მიმართებებს ამ ასპექტებს შორის, არ არის თხრობაში თანმიმდევრული. ვერ გამოკვეთს, როგორ უკავ/შირდება ეს ასპექტები ერთმანეთს და საჭირო ლოკალური ქმედებები –სამომავლო – პერსპექტივებს |

| | |
|---|---|
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს  აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს   ერთი ასპექტს **(მაგალითად, დაზღვევას, რომელიც მუდამ სასარგებლოა სოფლის მეურნეობაში), მაგრამ ვერ გამოკვეთს  წინაპირობას, ვერ აკავშირებს ერთმანეთთან.** |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს; დავალება არ შეასრულა/ვერ შეასრულა; აცდენილია, პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

**საკითხი** - რისკები და დაზღვევა
**კომპლექსური დავალება 2/7**
**მოსწავლის სახელი და გვარი** - - -- -- - - - -- - - - -- - - - - -- - - - -- -- - - - - - --

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** ↓ | **მდგრადი განვითარება** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br><br>უკავშირებს კომპლექსური დავალების მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მოსწავლის დავალებაში ასახულია არამარტო კრიტერიუმებთან სრულად შესაბამისი, თანმიმდევრული და გააზრებული პასუხები, არამედ საკითხი უფრო ფართო პერსპექტივაშია გააზრებული: კომიქსებში ასახულია მოსაზრება, რომ **მომავალში ადამიანები ყველაფერს დააზღვევენ, რომ ჯანმრთელობის პრობლემის არსებობისას გარანტირებული სამედიცინო მომსახურება მიიღონ.** |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტებს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>ნაშრომში ნათლად და თანმიმდევრულად არის ახსნილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ჯანმრთელობის გარანტირებულ დაცვასა და ბედნიერების , მდგრადობის განცდას შორის. **კომიქსის პერსონაჟებიც და პრეზენტატორიც ჯანმრთელობას ყველაზე მაღალ ღირებულებად წარმოაჩენენ, რაც კავშირშია, რისკების დაღვევასთან და უშფოთველი მომავლის პერსპექტივასთან.** |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს <u>არ აქვს</u> მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის ნაშრომში დასახელებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(ჯანმრთელობის მნიშვნელობა, დაზღვევის მნიშვნელობა, მდგრადი კეთილდღეობა ..**), მაგრამ ვერ იკვეთება მიმართებები ამ ასპექტებს შორის, არ არის თანმიმდევრული არც სლაიდის სცენები და არც წარდგენა. |

| | |
|---|---|
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს  აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>დავალებაში სწორად ასახელებს   ერთ ასპექტს **(მაგალითად, წარმოდგენილია სცენა ჯანმრთელობის რისკებზე, მაგრამ ეს ფრაგმენტულობა სათქმელამდე ვერ მიდის;** |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა/ვერ შეასრულა; აცდენილია, პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

# თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები

**თემა:** სამშვიდობო პროცესები                                        საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 (+4)

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანის უფლებების დაცვა და სამშვიდობო პროცესების უზრუნველყოფა საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., გაერო, სტრასბურგის სასამართლო) მთავარი ამოცანაა;
- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია;
  თავდასხმითი ომის გამოცხადებით სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების უფლებებსაც არღვევს;
- ომსაც აქვს შეზღუდვები;
- საერთაშორისო საფრთხეების (ტერორიზმი. ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი) წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ადამიანების, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი;
- პასიურობა და ნიჰილიზმი ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს;
- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში ბავშვს უფროსებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია განცხადების გაგზავნა.

**თემატური საკვანძო შეკითხვები**

- რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში? რატომ არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები?
- რატომ შეუძლიათ ქალებს სამშვიდობო პროცესებში პოზიტიური როლის შესრულება?
- რატომ აქცევს ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ადამიანს/საზოგადოებას/ საერთაშორისო საზოგადოებას მოძალადედ? რატომ არის აუცილებელი მოვლენებისთვის (აგრესია/ძალადობა) საკუთარი სახელის დარქმევა?
- რატომ არის მართლმსაჯულება (სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე) მშვიდობის წინაპირობა?
- რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას?
- რატომ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიული/მილიტარისტული პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევა?
- რატომ აგებს სახელმწიფო პასუხს მისი, თუნდაც ერთი თავისი მოქალაქის უფლებების დარღვევის შემთხვევაში?
- რატომ ხდება არაეფექტური ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქის პასიურობის შემთხვევაში?

<table>
<tr><td colspan="4">• როგორ შემიძლია მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში?</td></tr>
<tr><td colspan="4">თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:<br>1. გაერო;<br>2. საქართველო და ევროპის კავშირი;<br>3. საერთაშორისო საფრთხეები;<br>4. მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები;<br>5. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;<br>6. საქართველო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში;</td></tr>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td><td>საკითხი/ები<br>გაერო;<br>მდგრადი განვითარების მიზნები;</td><td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td><td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td></tr>
<tr><td>ქვეცნება/ები<br>ინიციატივა მდგრადი განვითარების კუთხით;<br><br>ინკლუზიურობა-გენდერი;</td><td>• რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?<br>• რატომ შეუძლიათ ქალებს სამშვიდობო პროცესებში პოზიტიური როლის შესრულება?</td></tr>
<tr><td>ინიციატივა და მეწარმეობა (შედეგები: 5, 6, 7)<br>1)პირადი/ საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;<br>2)მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს</td><td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>ეტაპი I –<br>1-ლი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>• გამოსულხართ სადმე სიტყვით?<br>• კარგად გამოგივიდათ?<br>• როგორ ფიქრობთ, საჭიროა წინასწარ დაწერო შენი გამოსვლა?<br>• რა უნდა გაითვალისწინო, რომ დააინტერესო მსმენელები?<br>• პრობლემა, რომელზეც ელაპარაკები, უნდა იყოს თუ არა მნიშვნელოვანი მათთვისაც?</td><td>აირჩიეთ დავალება<br>დავალება 1 3/1<br>წარმოიდგინე, რომ შენ გაეროს კეთილი ნების ელჩი ხარ და გაეროს წარმომადგენლობაში უნდა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანთან (5;16;17–აირჩიე ერთი) იქნება დაკავშირებული და თანამოაზრეების შემოკრებაზე ორიენტირებული; თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, გააგონოთ მსოფლიოს</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br>3) მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br>4) მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br>5) გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო.<br><br>**მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)**<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის | • საჭიროა თუ არა ემოციების გამოწვევა?<br>• საჭიროა, თავი აგრძნობინო მიმართვის ადრესატებად?<br><br>**მე-2 კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• ხატვა თუ გიყვარს?<br>• როგორ არის შესაძლებელი სათქმელის ნახატში გადმოცემა?<br>• როგორი ნახატები მოგწონდათ პატარაობაში?<br>• ბავშვებისთვის მიმზიდველი ნახატების შესაქმნელად აუცილებელია გამორჩეული სამხატვრო უნარები?<br>• განსხვავების ადვილად აღქმისთვის შეიძლება თუ არა ერთ ბარათზე ასახო სასურველი და არასასურველი სიტუაცია?<br>• რა დაგჭირდება მარტივი მოთხრობის შესაქმნელად?<br>• რაში დაგეხმარება ბავშვებისთვის საყვარელი პერსონაჟები და ცოტა ფანტაზია?<br>• როგორი სიტყვები უნდა გამოიყენო საბავშვო მოთხრობაში?<br>**რეკომენდაციები მასწავლებლისთვის:** თუ საჭიროებას დაინახავთ, შეიძლება მარტივი მინიშნება:,,ბასტი“ და ,,ბუბუ“ არიან მოთხრობის პერსონაჟები და ხშირად კამათობენ, წყლის მოფრთხილება-დაზოგვა უფრო მნიშვნელოვანია თუ ენერგიის? ბოლოს თანხმდებიან, რომ ორივე მნიშვნელოვანია და ჯილდოებს უწესებენ ერთმანეთს სწორი ქმედებისთვის;<br><br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**აქტივობა: იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.144<br><br>**რესურსი: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;** სახელმძღვანელო, გვ. 144-145<br>• რა იცით გაეროს შესახებ, რას ნიშნავს ეს სახელი?<br>• როდის და რატომ წარმოიშვა ამ ორგანიზაციის შექმნის იდეა?<br>• მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა რა გავლენა იქონია საერთაშორისო საზოგადოებაზე? | თქვენი ხმა და შეცვალოთ იგი!<br>მოამზადეთ **გამოსვლის ტექსტი** (150-200 სიტყვა)<br><br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რომელი კონკრეტული საჭიროება დაედო საფუძვლად თქვენს გამოსვლას? **(ინიც._მკვ.წ.1)**<br>• საზოგადოებისთვის სასარგებლო რა იდეას ახმოვანებთ და როგორ მოაგვარებს ის პრობლემას? **(ინიც.-მკვ.წ.2)**<br>• რა რესურსები (ადამიანური, ფინანსური, დროითი) მიგაჩნიათ საჭიროდ; როგორია მოსალოდნელი შედეგები, რისკები; **(ინიც.3.4.)**<br>• რამდენად შეესაბამება თქვენი იდეა გაეროს სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, მდგრადი განვითარების მიზნებს (კონკრეტულად) **(ინიც.-მკვ.წ.5.) (მდგრად.2)**<br>• რამდენად გათვალისწინებულია საზოგადოების ინტერესები და სამომავლო პერსპექტივა; **(მდგრად.-მკვ.წ.1)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად,</u> |

| | | |
|---|---|---|
| გათვალისწინება;<br><br>2) ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)). | • რა წარმოადგენს გაეროს მისიას?<br>• როგორ არის გათვალისწინებული გაეროს პრინციპებში თანასწორობის, მშვიდობიანი თანამშრომლობის, ძალისმიერი ქმედებებისგან თავშეკავების, მაგრამ მოძალადეთა მიმართ მშვიდობიანი პრევენციული და იძულებითი მეთოდების გამოყენება?<br>• ვინ არის გაერთიანებული ამ ორგანიზაციაში?<br>• ერევა თუ არა გაერო ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივ საქმეებში? როდიდან და როგორ თანამშრომლობენ საქართველო და გაერო?<br>• რა გსმენიათ გაეროს მიმართ კრიტიკული განწყობების შესახებ?<br>• თქვენ რას ფიქრობთ ამ მიმართებით?<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ კითხვებით წარმართულ სხვა აქტივობებთან ერთად მოსწავლეებს სთხოვეთ, უპასუხონ კითხვას: გაეროს მისიაში გამოყოფილ მიმართულებებს შორის, პირადად მისთვის რომელია უფრო მნიშვნელოვანი და რატომ?<br><br>**რესურსი: მშვიდობის გზა ადამიანის უფლებების დაცვაზე გადის;** სახელმძღვანელო, გვ. 145<br>• როგორ ახსნით ამ ნათქვამს, რომ მშვიდობის გზა ადამიანის უფლებების დაცვაზე გადის?<br>• როგორ აისახება ომი და მასშტაბური კონფლიქტი ადამიანის უფლებებზე? მათი უსაფრთხოებისა და მდგრადობის განცდაზე?<br>• რა წინააღმდეგობაა ადამიანის უფლებებსა და მშვიდობას შორის?<br>• რატომ შემუშავდა ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?<br>• მიგაჩნიათ, რომ ომის დროს შეიძლება დაცული იყოს ადამიანის უფლებები?<br>• რომელი ფილმი ან ნაწარმოები გახსენდებათ, როცა ომის დროს | <u>ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u><br><br>**დავალება 2** **3/2**<br><br>წარმოიდგინე, რომ შენ და შენი მეგობრები ახორციელებთ პროექტს ,,რჩევები უმცროს მეგობრებს“, რომლის მიზანსაც საბავშო ბაღის 5-6 წლის ჯგუფის აღსაზრდელებისთვის მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი უნარების განვითარება წარმოადგენს. შეარჩიე მდგრადი განვითარების ერთი მიზანი, მოიფიქრე, როგორ შეგიძლია მუყაოს ბარათებზე შესრულებული მარტივი **ნახატებით** ან პატარა **მოთხრობით** ბავშვებს აუხსნა, რა უნდა გააკეთოს ან არ გააკეთოს, რომ მას და მის შვილებს უსაფრთხო მომავალი ჰქონდეთ.<br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რომელი კონკრეტული საჭიროება დაედო საფუძვლად შენს პროდუქტს; **(ინიც.-მკვ.წ.1.)**<br>• რამდენად სასარგებლოა საზოგადოებისთვის შენი იდეა და როგორ შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარების ეს ლოკალური მცდელობა გლობალურ შედეგებს? **(ინიც.-მკვ.წ.2. მდგრ.-მკვ.წ.2)**<br><br>• რა რესურსები (მატერიალური, |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
დაირღვა ადამიანის უფლებები?
<ul>
<li>როგორი დოკუმენტია ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“?</li>
<li>იცავს თუ არა დეკლარაცია ადამიანის უფლებებს თავისი მოქალაქეობის ქვეყნის საზღვრებს მიღმაც?</li>
<li>რა განაპირობებს, რომ ეს დოკუმენტი დღესაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც აქტუალურია?</li>
<li>რა დარღვევები ხდება დღესაც და რატომ ჭირს ამ საერთაშორისო შეთანხმების პირობების დაცვა, თუმცა მას 200-მდე ქვეყანა იზიარებს?</li>
</ul>
აქტივობა–იმუშავეთ წყვილებში; სახელმძღვანელო. გვ.147
<br><br>
რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: სიტუაციების გაანალიზების და მსჯელობის დროს მოსწავლეები უნდა დავაფიქროთ იმაზე, რომ ხშირად ადამიანებს ახსოვთ თავიანთი უფლებები, მაგრამ ნაკლებად ახსოვთ თავიანთი მოვალეობები, რომ ,,ჩვენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვისი უფლება იწყება“.
<br><br>
აქვე გთავაზობთ სწორი პასუხების ვარიანტს:
<br><br>
სიტუაცია 1. გიას შეეზღუდა ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების უფლება, მისთვის კოლეჯს წინასწარ უნდა ეცნობებინა ჩათვლის თარიღი; კოლეჯის ადმინისტრაცია ვალდებულია, განცხადებით მიმართვის შემთხვევაში სტუდენტს ჩათვლის ახალი თარიღი დაუნიშნოს.
<br><br>
სიტუაცია 2. უფროსკლასელების უფლება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით დარღვეულად ჩაითვლებოდა, რომ არა მათი მხრიდან სხვათა უფლებების დარღვევა. ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 29 მუხლის მეორე პუნქტი: ,, უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებებისას შეზღუდვის ქვეშ მოიაზრება ის საზღვრები,
</td>
<td>
დროითი) დაგჭირდა და კიდევ დაგჭირდება (თუ რეალურად მიხვალ ბავშვებთან); როგორია მოსალოდნელი შედეგები, რისკები; როგორ დააკვირდები შედეგებს? (ინიც.-მკვ.წ.3.4)
<ul>
<li>რამდენად შეესაბამება შენი იდეა სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, (ბავშვებისთვის, თქვენთვის) ხომ არ არის ზიანის მომტანი; როგორ შეესაბამება მათ სამომავლო პერსპექტივას; (ინიც.-მკვ.წ.5. მდგრ.-1)</li>
</ul>
პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:
<ul>
<li>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</li>
</ul>
</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს **სხვების უფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა** და დაკმაყოფილდეს ზნეობის, **საზოგადოებრივი წესრიგისა** და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.“<br><br>**სიტუაცია 3.** აღმსარებლობის თავისუფლება შელახულად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამ ჯგუფის წევრები სხვა ადამიანებისთვის საზიანო ქმედებებს არ განახორციელებდნენ, რაც ამ ინფორმაციის მიხედვით დადასტურებულია.<br><br>**სიტუაცია 4**. ამ შემთხვევაში დაცვის ქმედება იყო მართებული, რადგან არავის აქვს უფლება შეიჭრას კერძო სივრცეში და ჩაერიოს სხვა ადამიანის პირად ცხოვრებაში. თუმცა საჯარო პირის პერსონალური მონაცემები საჯარო შეიძლება იყოს, მაგრამ არის პირადი ცხოვრების მხარე (და ეს ჯანმრთელობის პრობლემებსაც ეხება), რომელთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება მათი სურვილის გაუთვალისწინებლად არაკანონიერია.<br><br>**რესურსი: რატომ ინარჩუნებს დეკლარაცია მნიშვნელობას? (მეორე ნაწილი);** სახელმძღვანელო, გვ. 146<br>• ცნობილია თუ არა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადამიანების უმრავლესობისათვის?<br>• საკმარისია თუ არა, რომ ადამიანებმა წაიკითხონ დეკლარაცია?<br>• ხომ არ ფიქრობთ, რომ თითოეული ჩვენგანის აქტივობა ამ მიმართებით უკეთეს გარემოს შექმნის?<br>• როგორ შეიძლება დაგვეხმაროს მოქალაქეებს ეს დეკლარაცია?<br>• რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ?<br>• რა შეუძლია გააკეთოს სამოქალაქო საზოგადოებამ?<br>• როგორ იცავს გაერო ბავშვთა უფლებებს?<br>• შეუძლია თუ არა ბავშვს უფროსებისაგან დამოუკიდებლად | |

| | | |
|---|---|---|
| | მიმართოს გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტს?<br>**აქტივობა–დავალება 2; ( საშინაოდ!)** სახელმძღვანელო, გვ.149<br><br>**რესურსი: მდგრადი განვითარების მიზნები;** სახელმძღვანელო, გვ. 150<br>• როგორ ფიქრობთ, მსოფლიოში რამდენი ადამიანია, მათ შორის ბავშვიც, რომელთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის ომები, ტერორიზმი, შიმშილი, წყურვილი, უსახლკარობა?<br>• კიდევ რა პრობლემები აწუხებს კაცობრიობას?<br>• რა იცი მდგრადი განვითარების მიზნებზე?<br>• რატომ უწოდებენ მის მიზნებს ,,უნივერსალურ დღის წესრიგს“?<br>• რა პერიოდზეა გათვლილი იგი და რა მიზნებს მოიცავს?<br>• იზიარებს თუ არა საქართველო ამ დღის წესრიგს?<br><br>**რესურსი: შენ რის გაკეთება შეგიძლია მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად?** სახელმძღვანელო, გვ. 151<br>• არსებობს თუ არა ჩვენ გარშემოც ის პრობლემები, რომელთა მოგვარება მდგრადი განვითარების მიზნებშია ასახული?<br>• დაასახელეთ მაგალითები.<br>• შესაძლებელია თუ არა ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ კანონების მიღებით, ხელისუფლების მცდელობით?<br>• შესაძლებელია თუ არა ამ მიზნების მიღწევა მოქალაქეების მონაწილეობის, თითოეული ადამიანის მცდელობისა და ზრუნვის გარეშე,?<br>• რა შემიძლია გავაკეთო მე? თუ დაფიქრებულხართ ამაზე?<br><br>**აქტივობა– იმსჯელეთ**; სახელმძღვანელო. გვ.152<br>**აქტივობა–იმუშავეთ წყვილებში (ან ინდივიდუალურად!);** სახელმძღვანელო. გვ.152 | |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: დავალების შესრულებამდე მოსწავლეებს სთხოვეთ გაეცნონ ,,ეს საინტერესოა“-ს რუბრიკის ქვეშ მოცემულ გაეროს კეთილი ნების ელჩის მსახიობ ემა უოთსონის ემოციურ გამოსვლას გაეროში, რომელიც გენდერული სტერეოტიპების დაძლევის აუცილებლობაზე და ამ პროცესში ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობაზე საუბრობს. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ გამოიყენოთ ერთგვარ ნიმუშადაც N1 დავალების პროდუქტის შესაქმნელად. ყურადღება გაუმახვილეთ რიტორიკულ შეკითხვაზე ,,თუ არა მე, მაშინ ვინ? თუ არა ახლა, მაშინ როდის?“ რომელიც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განცდის გაღვივებას ემსახურება.<br><br>აქტივობა: დისკუსია, სახელმძღვანელო, გვ.154-155</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>საქართველო და<br>ევროპის კავშირი</td>
<td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br><br>სამოქალაქო უსაფრთხოება;<br>მომავლის პერსპექტივა;</td>
<td>• რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?<br>• რატომ არის მართლმსაჯულება (სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე) უსაფრთხოების წინაპირობა?</td>
</tr>
<tr>
<td>მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>• წაგიკითხავთ ინტერვიუ-გამოკითხვა?<br>• რა განასხვავებს მას ინტერვიუსგან?<br>• როცა ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხს ორი ან რამდენიმე</td>
<td>დავალების პირობა 3/3<br><br>თქვენმა კლასმა დაგეგმა კედლის/ელექტრონული გაზეთის მომზადება თემაზე ,,საქართველოს ევროპული არჩევანი“. შეთანხმებული</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).* | რესპონდენტი სცემს, როგორ ინფორმაციას იღებს მკითხველი?<br>• ეძლევა მას შედარების საშუალება?<br>• როგორ იწერება სტატია?<br>• როგორია მისი სტრუქტურა?<br>• წერილი სხვა დროსაც დაგიწერიათ?<br>• რა ფუნქცია აქვს გზამკვლევს?<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** თქვენთვის გიზიარებთ რესურსს, რომელიც სტატიის მომზადების წესებს ეხება და თავად წარმოადგენს სტატიის ნიმუშს.<br>http://mastsavlebeli.ge/?p=171<br>ასევე შეგიძლიათ, მოსწავლეებს გაუზიაროთ გამარტივებული რჩევები სტატიის მოსამზადებლად:<br>http://www.rogor.ge/article_1103_rogor-davwerot-kargi-statia.html<br>რაც შეეხება წერილს, განსხვავებით სტატიისაგან წერილი არ ითხოვს ანალიზს, ჩაღრმავებას, არგუმენტებს, მოსაზრებებს. მასში  წარმოდგენილი საკითხის შესახებ ინფორმაცია ზუსტად და თანმიმდევრულად უნდა იყოს მოწოდებული. არსებითად იგივე მახასიათებლები აქვს ,,წერილი-გზამკვლევსაც“.<br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br>**რესურსი: ევროპის კავშირი;** სახელმძღვანელო, გვ. 157<br>**საქართველო-**ევროკავშირის შეთანხმება ასოცირების შესახებ, სახელმძღვანელო, გვ.159-160<br>• რა იცით ევროპის კავშირის შესახებ?<br>• როგორი გაერთიანებაა და რა ღირებულებებს აღიარებს?<br>• რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო, რომ ევროკავშირის კანდიდატად მიიღონ?<br>• რა იცით ,,ასოცირების შეთანხმების შესახებ“?<br>• როგორ განიხილავს ეს ხელშეკრულება საქართველოს არსებულ კონფლიქტებს? | გეგმის მიხედვით, გაზეთში უნდა განთავსდეს:<br>• **ინტერვიუ-გამოკითხვა**_,,რა ვიცით ევროპულ ღირებულებებზე“ (წინასწარ მოამზადეთ 2 კითხვა და გამოკითხეთ 4-5 თანაკლასელი, თანასკოლელი);<br>• **სტატია** - ,,საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება ასოცირების შესახებ“ (რა სარგებელს მიიღებს საქართველო მდგრადი განვითარებისა და სტაბილურობის გაზრდის კუთხით);<br>• **წერილი-გზამკვლევი** – ,,როდის და როგორ მივმართავთ სტრასბურგის სასამართლოს?“<br>• **წერილი** - ,,ევროპული განათლებისთვის“ – (რჩევები ევროპაში სწავლის მსურველებს ან ავტორის გეგმები ამ მიმართებით)<br><br>აირჩიე, რომელიმე მათგანი. გაითვალისწინე, რომ საგაზეთო მასალის მოცულობა დაახლოებით, 200 სიტყვა უნდა იყოს, სასურველია იზრუნო მის ვიზუალურ მხარეზეც (ფოტო, სქემა, ნახატი...)<br><br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რამდენად არის გათვალისწინებული საზოგადოების ინტერესები და სამომავლო პერსპექტივა?**(მკვ.წ.1)**<br>• საკითხი/პროცესი, რომელზეც წერთ, როგორ გავლენას იქონიებს მოქალაქეების სტაბილურობასა   და |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა– იმუშავეთ წყვილებში;** სახელმძღვანელო. გვ.157<br><br>**აქტივობა_ იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ158<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ეს აქტივობა შესაძლებელია გამოვიყენოთ წინარე ცოდნის შემოწმების და მოსწავლის ცოდნის ტრანსფერის უნარის შემოწმებისთვისაც, რადგან საკითხები, რომლებიც წინა ორ თემაში ისწავლებოდა, მოიცავდა ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ასპექტებსაც. ამავე დროს, შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორ აისახება საერთაშორისო ვალდებულებები ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაზე და როგორ ინერგება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. საბოლოოდ კი ეს შედეგები/შეუსრულებლობა ეხება პიროვნებას. მაგალითად, სურსათის, მედიკამენტების ხარისხზე ზრუნვის ვალდებულება, რომელიც სახელმწიფომ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, მომხმარებლის უფლებების კონტექსტში გააქტიურა, ეხება ყველა მომხმარებელს. აქედან გამომდინარე, ჩვენ, როგორც მოქალაქეები, უნდა ვგრძნობდეთ ვალდებულებას, დარღვევის შემთხვევაში, მოვახდინოთ რეაგირება, მივცეთ მსვლელობა;<br><br>**რესურსი: მიგრაციის და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია;** სახელმძღვანელო, გვ.160-161<br><br>• ევროპის კავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია რა შესაძლებლობას ქმნის საქართველოს მოქალაქეებისთვის?<br>• რომელ ქვეყნებში შეუძლიათ უვიზოდ შესვლა საქართველოს მოქალაქეებს?<br>• რა ვადებია ამისთვის განსაზღვრული?<br>• უვიზო რეჟიმით შესვლა იძლევა დასაქმების უფლებასაც?<br>**აქტივობა– იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო. გვ.161<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** მოსწავლეები გაავლებენ პარალელებს მათთვის ცნობილ ისტორიებთან, რაც საჭიროა | უსაფრთხოებაზე? **(მკვ.წ.2)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. |

| | | |
|---|---|---|
| | ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირების თვალსაზრისით,<br><br>**რესურსი: ასოცირების შეთანხმების სხვადასხვა სფეროები**; სახელმძღვანელო, გვ. 162-163<br>• რა სფეროების რეფორმირებას გულისხმობს ასოცირების ხელშეკრულება?<br>• რა იცვლება ეკონომიკის მიმართულებით?<br>• შეუძლია თუ არა ქართველ მეწარმეს თავისი პროდუქტის გატანა ევროკავშირის შიდა ბაზარზე?<br>• როგორ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ეს პროდუქტი?<br>**აქტივობა–** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ. 162<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სასურველია მოსწავლეები დამატებით გაეცნონ იმ ელექტრონულ რესურსებს, რომელიც მითითებულია სახელმძღვანელოში და მიიღონ დამატებითი ინფორმაცია მათთვის საინტერესო მიმართულებებზე.<br><br>**აქტივობა–** დავალება; სახელმძღვანელო. გვ. 163<br><br>**რესურსი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სტრასბურგის სასამართლო);** სახელმძღვანელო, გვ. 164- 166<br>• ყოველდღიურ საუბრებში მოგისმენიათ გამოთქმა ,,სტრასბურგში გიჩივლებო...“?<br>• რა იცით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე? სტრასბურგის სასამართლოზე?<br>• სინამდვილეში, ვინ შეიძლება მიმართოს სტრასბურგის სასამართლოს?<br>• რა შემთხვევაში შეიძლება მიმართონ?<br>• რომელი კონვენციის საფუძველზე მოქმედებს სტრასბურგის სასამართლო? | |

| | | |
|---|---|---|
| | • ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია რომელ უფლებებს იცავს და რა აკრძალვებს აწესებს?<br>• როგორია საჩივრის მიღების პირობები და პროცედურა?<br>• ვინ არის პასუხისმგებელი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე?<br>• რა იცით ევროპის საბჭოს შესახებ?<br>• დაასახელეთ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ეხება.<br>• როგორ მიგაჩნიათ, ჩადენილი დანაშაულის რეაგირების გარეშე დატოვება, ქმნის თუ არა წინაპირობას ასეთივე ქმედებების გამეორებისთვის?<br>• მართლმსაჯულება, სახელმწიფო თუ საერთაშორისო დონეზე, რატომ ქმნის მშვიდობის წინაპირობას?<br>**აქტივობა –** იმუშავეთ ჯგუფებში; სახელმძღვანელო. გვ. 167<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სტრასბურგის სასამართლოს სწავლებისას ვახსენებთ ევროპის საბჭოს, რომელმაც შეიმუშავა ,,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ (,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“) და რომელზეც ხელმომწერია 47 ქვეყანა. ამ კონვენციის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო და ის ასოცირდება ევროპის საბჭოსთან და არა ევროპის კავშირთან. ზოგჯერ, მოსწავლეებს მინიშნება სჭირდებათ, რომ ორივე მათგანი აღიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებს, მაგრამ სხვადასხვა საერთაშორისო (ევროპულ) გაერთიანებას წარმოადგენს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **საკითხი/ები**<br>საერთაშორისო საფრთხეები - ტრეფიკინგი; | **საკვანძო**<br>**შეკითხვა/შეკითხვები** | **კომპლექსური დავალება** *(შუალედური სასწავლო მიზანი)* |
| | **ქვეცნება/ები:**<br>რისკები, რესურსები;<br>მოხალისეობა,<br>ცნობიერების ამაღლება; | • რატომ არის აუცილებელი მოვლენებისთვის (აგრესია/ძალადობა) საკუთარი სახელის დარქმევა?<br>• როგორ შემიძლია მონაწილეო სამშვიდობო პროცესებში? | |
| **ინიციატივა და მეწარმეობა (შედეგები: 5, 6, 7)**<br>1)პირადი/ საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;<br>2)მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br>3)მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br>4)მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• მოგიმზადებიათ ბუკლეტი სხვა დავალების შესრულებისას, საერთოდ?<br>• რა გამოგივიდათ კარგად? რა გაგიჭირდათ?<br>• მიზნის, შინაარსის, ფორმის მიხედვით შეიძლება თუ არა განსხვავდებოდეს ბუკლეტები?<br>• თქვენი აზრით, რა განასხვავებს საინფორმაციო ბუკლეტსა და სარეკლამო ბუკლეტს?<br>• ზუსტ, გადამოწმებულ ინფორმაციას აქვს თუ არა დიდი მნიშვნელობა?<br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br>**რესურსი: საერთაშორისო საფრთხეები;** სახელმძღვანელო, გვ. 169<br>• რატომ შეიქმნა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები იმ ფონზე, როცა გლობალურად მოაზროვნე ადამიანები მეორე მსოფლიო ომის სასტიკი შედეგებით შეშფოთდნენ? | | **დავალების პირობა: 3/4 (შემაჯამებელი დავალება)**<br>დაგეგმე საერთაშორისო საფრთხეების, კერძოდ, ტრეფიკინგის და მისი პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებითი პროექტი.<br>მოხალისეობრივად ჩაატარე კვლევა, მოამზადე და თემში გაავრცელე **საინფორმაციო ბუკლეტი,** რომელშიც ასახული იქნება ტრეფიკინგის რისკები და ფორმები, პრევენციის და სამართლებრივი რეგულაციის გზები და მექანიზმები; ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესაძლებლობები;<br>**პროექტში/ პროექტის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რა მიზანს ემსახურება შენი ინიციატივა და რატომ გადაწყვიტე მისი ქცევა მოხალისეობრივ სათემო პროექტად? **(ინიც.მკვ.წ.2; სამოქ.მონაწ.-** |

| | | |
|---|---|---|
| გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br>5)გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო.<br>**სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13)**<br>1)დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>2)სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br>3)აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი | • შემცირდა თუ არა მას შემდეგ ძალადობა, კონფლიქტები, სისასტიკე და მსხვერპლი?<br>• რა მდგომარეობაა დღეს, 21-ე საუკუნის მსოფლიოში?<br>• რა ახალმა საფრთხეებმა იჩინა თავი?<br>• შეეხო თუ არა გლობალიზაცია ორგანიზებული დანაშაულის ფორმებსაც?<br>• რა რისკები წარმოშვა ტექნოლოგიურმა პროგრესმა დანაშაულის ძველი და ახალი ფორმების საერთაშორისო საფრთხეებად ქცევის თვალსაზრისით?<br>• რომელ საერთაშორისო საფრთხეებს დაასახელებდით?<br>• რომელი ტერორისტული აქტი გახსენდებათ?<br>• ძირითადად რის საფუძველზე ვითარდება ტერორიზმი?<br>• რა კავშირია ტერორიზმსა და ფუნდამენტალიზმს შორის? ექსტრემიზმს შორის?<br>• როგორ რეაგირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამ ტიპის დანაშაულებზე?<br>• მიგაჩნიათ, რომ ეს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია?<br>**აქტივობა –** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ.169<br>**აქტივობა –** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ.170<br>**აქტივობა –** დავალება (1;2;3); სახელმძღვანელო. გვ.171<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სახელმძღვანელოში 171-ე გვერდზე მოცემული სამი დავალებიდან არჩევანი თქვენ გეკუთვნით, მაგრამ სასურველია, თუ მესამე დავალებას არ შეარჩევთ, მისი კითხვები სხვა ტიპის აქტივობისთვის–კითხვა-პასუხი, დისკუსია... გამოიყენოთ, რომ მოსწავლეებს ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის საფრთხეებზეც მოუწიოთ დაფიქრება. | **მკვ.წ.1;2)**<br>• როგორ დაგეგმე კვლევა და ბუკლეტი, რა რესურსები და ვადები შეუსაბამე დაგეგმილ ქმედებებს?**(ინიც.მკვ.წ.3)**<br>• ტრეფიკინგის პრევენციისთვის რომელი საკითხები და რა თანმიმდევრობით წარმოადგინე ბუკლეტში? რა შედეგს ელოდები მისი გავრცელების შემდეგ? **(ინიც.მკვ.წ.4;)**<br>• ვისთან ითანამშრომლეთ (დირექციასთან, სკოლის თვითმმართველობასთან, თემთან...)? რატომ იყო მნიშვნელოვანი ეს თანამშრომლობა?**(სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.3)**<br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. |

| | | |
|---|---|---|
| თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br><br>4)სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br><br>5)სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | **რესურსი: რა უნდა ვიცოდეთ ადამიანით ვაჭრობის შესახებ;** სახელმძღვანელო, გვ. 172<br>• რა გსმენიათ ადამიანით ვაჭრობის შესახებ?<br>• დღეს თუ ვაჭრობენ ადამიანებით?<br>• ადამიანით ვაჭრობის რა სახეები არსებობს მსოფლიოში?<br>• საქართველოს მოქალაქეებს თუ ეხებათ ეს პრობლემა?<br>• ტრეფიკინგს თუ ზღუდავს სახელმწიფოებს შორის საზღვრები?<br>**აქტივობა– იმუშავეთ ჯგუფებში;** სახელმძღვანელო. გვ.173<br><br>**რესურსი: რა უნდა ვიცოდეთ ადამიანით ვაჭრობის შესახებ;;** სახელმძღვანელო, გვ. 174-178<br>• რატომ არის ხშირი ტრეფიკინგი (შრომითი და სექსუალური ექსპლოატაციის ფორმით) სამოდელო ინდუსტრიაში?<br>• როგორ ახერხებენ ამ სფეროში დასაქმების მსურველთა მოტყუებას დამნაშავეები?<br>• შეიძლება თუ არა ადამიანი იქცეს საკუთარი დაუფიქრებლად ხელმოწერილი ხელშეკრულების მსხვერპლად?<br>• თქვენი აზრით, ვინ უნდა დაიცვას მათი უფლებები?<br>• არ ფიქრობთ, რომ პირველ რიგში, თავად კეთილსინდისიერი სამოდელო ბიზნესი და მოქალაქეები უნდა ამხელდნენ ასეთ დანაშაულს?<br>• რომელი საერთაშორისო დოკუმენტები ავალდებულებს სახელმწიფოებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას?<br>• რა საფრთხეების შემცველია ინტერნეტი, განსაკუთრებით ბავშვებისთვის?<br>• იღებს თუ არა საქართველო საერთაშორისო მიდგომათა გაზიარების პასუხისმგებლობას?<br>• რა სერვისებია შეთავაზებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის? | |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">

- ისჯება თუ არა კანონით ქვეყნის შიგნით შრომითი ექსპლუატაცია?
- ვინ და რატომ განეკუთვნება ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის მაღალი რისკის ჯგუფს?
- რა შეიძლება გააკეთოს საზოგადოებამ, მოქალაქემ ტრეფიკინგის პრევენციისა და საჭიროების შემთხვევაში დამნაშავეთა მხილებისთვის?

**აქტივობა–** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ.174

**აქტივობა** -იმსჯელეთ; სახელმძღვანელო, გვ.177

**აქტივობა–** იმუშავეთ ჯგუფებში; სახელმძღვანელო. გვ.178

**აქტივობა–** იმუშავეთ ჯგუფებში; სახელმძღვანელო. გვ.179

**აქტივობა–** დავალება 2 (საშინაოდ); სახელმძღვანელო. გვ.177
</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">საამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>მიგრაციის<br>თანამედროვე გამოწვევები;</td>
<td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br>ადამიანის მოთხოვნილებები, საჭიროებები;</td>
<td>როგორ და რატომ ქმნის არალეგალური მიგრაცია საფრთხეს პიროვნების, საზოგადოების განვითარებისთვის?</td>
</tr>
<tr>
<td>სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)<br><br>(შედეგები: 1, 2)<br><br>1) ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>რესურსი: როგორ შევქმნათ კომიქსი (წერილი) http://mastsavlebeli.ge/?p=26391 ვიდეოგაკვეთილი</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა: 3/5<br><br>შენს მეგობარს ძალიან სურს, რომ ოჯახს ფინანსური პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმაროს და ევროპაში სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტა. შენ იცი, რა რისკების შემცველია არალეგალური მიგრანტობა.</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;<br><br>2) ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;<br><br>3)სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;<br><br>4)ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას. | https://www.youtube.com/watch?v=KiqvGiG5mJc<br>• რა არის კომიქსი? გაინტერესებს?<br>• თუ შეგიქმნია?<br>• როგორ ფიქრობ, კარგი საშუალებაა შენი აზრის თვალსაჩინოდ (ვიზუალურად) გამოხატვისთთვის?<br>• რა საშუალებები არსებობს კომიქსის შესაქმნელად?<br>• ფურცელი და ფანქარი/ები გირჩევნია, თუ ელექტრონული?<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** წერილთან დაკავშირებით შეახსენეთ მოსწავლეებს 1/1 დავალებაში მეგობრისათვის მიწერილი წერილი.<br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**რესურსი:** მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები; სახელმძღვანელო, გვ. 181-185<br>• რამდენად გააქტიურდა მიგრაციის პროცესი მსოფლიოში?<br>• როგორი ტენდენციაა საქართველოში: მატების? კლების?<br>• რა განაპირობებს მიგრაციის ზრდას? რა მიზეზები არსებობს?<br>• რა საფრთხეებს წარმოშობს მიგრაცია, როცა ის არალეგალურია?<br>• რა შესაძლებლობები არსებობს ლეგალური მიგრაციისთვის?<br>• როგორი პრობლემები შეიძლება შეექმნას სამუშაოს მაძიებელ არალეგალურ მიგრანტს?<br>• როგორია განათლების მიზნით მიგრაციის შესაძლებლობები?<br>• რა უნდა გაითვალისწინოს ახალგაზრდამ განათლების მიზნით გამგზავრებამდე ?<br>• როგორ ზრუნავს სახელმწიფო დაბრუნებულ მოქალაქეებზე?<br>**აქტივობა–** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ.182<br>**აქტივობა–**დებატები; სახელმძღვანელო. გვ.186<br>**აქტივობა –** დავალება (საშინაოდ) სახელმძღვანელო, გვ,186<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** დისკუსიის შეჯამებისას | ახსნამ და კამათმა მას აზრი ვერ შეაცვლევინა, მაგრამ შენთან შეხვედრებს თავს არიდებს.<br>შეიცვალე სტრატეგია, მოამზადე **წერილი/ /რამდენიმე სცენიანი კომიქსი**, რომელშიც სათქმელს მშვიდად და დამაჯერებლად აუხსნი.<br><br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული არალეგალის ყოფნა, როცა პრობლემების პირისპირ (ენის ბარიერი, ახლობლებისგან მოწყვეტა, შფოთვა, მძიმე სამუშაო...) აღმოჩნდება? **(მკვ.წ. 2)**<br>• რა რისკები შეიძლება შეექმნას მის ღირსებას, ღირებულებებს უკანონო მიგრაციაში და როგორ იმოქმედებს ეს მასზე, მის ოჯახზე? **(მკვ.წ. 1)**<br>• კანონიერ ინსტიტუციებთან (მიგრაციის თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა, როგორც შესაძლებლობის გაზრდისა და რისკების შემცირების გზა. **(მკვ.წ. 3)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად,</u> |

| | | |
|---|---|---|
| | ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ არალეგალური მიგრაციის დროს მიგრანტს ექმნება დიდი რისკი, აღმოჩნდეს დაუცველ სიტუაციაში, რადგან ცნობილია, რომ მიგრანტები სამართალდამცველებს ერიდებიან და ამით სარგებლობენ ბოროტმოქმედები. საბოლოოდ უწევს დეპორტაცია და დაბრუნებულიც მსხვერპლად რჩება, რადგან სტერეოტიპების გავლენით, მის მიმართ საზოგადოება არ არის შემწყნარებლური. ამიტომაც არ ამხელს, რა მოხდა, არ ამხელს დამნაშავეებს და ჩნდება ახალი მსხვერპლი. მაშინ, როცა საჭიროა ხმის ამაღლება, დამნაშავის მხილება. საზოგადოებაც მისი განკითხვის ნაცვლად, დამნაშავის გამოვლენით და დანაშაულის აღკვეთით უნდა დაინტერესდეს.<br><br>**რესურსი:** იძულებით გადაადგილებული პირები; სახელმძღვანელო, გვ. 187-190<br>• ვინ არიან დევნილები?<br>• საცხოვრებელი ადგილი სურვილით შეიცვალეს თუ იძულებით?<br>• როგორ ზრუნავს მათზე სახელმწიფო?<br>• რას ადასტურებს კვლევები: სურთ უკან დაბრუნება?<br>• რა განცდებს იწვევს დევნილთა ჩანაწერები?<br>• რა აქვთ მათ საერთო?<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ თემასთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოსწავლეებს სთხოვოთ დაწერონ ესე ,,დევნილთა სევდა“<br>**რესურსი:** საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში; სახელმძღვანელო, გვ. 188-191<br>• ვინ არიან საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები?<br>• რა იცით მათ შესახებ?<br>• ვინ არიან ლტოლვილები?ჰუმანიტარული სტატუსის მქონენი? | ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირები?<br>
• რომელი საერთასორისო დოკუმენტი იცავს მათ უფლებებს?<br>
• რა უფლებებით სარგებლობენ ისინი ჩვენს ქვეყანაში?<br>
• აქვთ თუ არა დღეს საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა, მიიღონ ლტოლვილის სტატუსი ევროპაში?<br><br>
აქტივობა– იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ. 189<br><br>
აქტივობა– დისკუსია; სახელმძღვანელო. გვ. 191<br><br>
რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: დევნილობისა და ლტოლვილობის საკითხი სენსიტიური თემებია და თუ თქვენს საკლასო ოთახში არიან ამ სტატუსის მოსწავლეები, მოგიწევთ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა, რომ სასწავლო პროცესი ზრუნვისა და სოლიდარობის განცდით წარიმართოს .</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები:<br><br>საერთაშორისო<br><br>ჰუმანიტარული სამართალი;</td>
<td>საკვანძო<br><br>შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები:<br><br>საერთაშორისო სამართალი</td>
<td>რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?<br><br>
• რატომ არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br><br>(შედეგები: 3, 4, 13)</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>
• გაიხსენეთ, როგორ დაწერეთ წინა წერილი პიანისტი მეგობარისათვის? რა გაგიჭირდათ? რა გაგიიოლდათ?</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა 3/6<br>
წარმოიდგინეთ, რომ ოცდამეერთე საუკუნიდან წერილი ( 200სიტყვა +) უნდა მისწეროთ ანრი დიუნანს, უამბეთ, რა ხდება იმ პრობლემების მიმართულებით,</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 1)ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br><br>2)ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br><br>3)დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br><br>4)დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | • დაფიქრდით, გარდა შინაარსისა, რით იქნება თქვენი წერილი განსხვავებული იმ ეპოქის წერილებისაგან? (წერის საშუალება, ფურცელი, ლექსიკა, სტილი...)<br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**აქტივობა:** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო, გვ.193<br><br>**რესურსი: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;** ; სახელმძღვანელო, გვ. 194-195; 196-197<br>• რა იცით უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში მომხდარი საომარი მოქმედებების შესახებ?<br>• შეეხო თუ არა ეს ომები მშვიდობიან მოსახლეობას?<br>• ვისთვის ადგენს წესებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?<br>• ვის იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?<br>• საიდან იღებს სათავეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?<br>• როგორია შეფარდება სამხედროებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის, ომის დროს დაღუპულთა საერთო რაოდენობაში?<br>• ვინ არიან ჟენევის კონვენციების დაცვის ობიექტები?<br>• იცვლება/ვითარდება თუ არა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ?<br>• ვის იცავს ის განსაკუთრებულად?<br>• ვინ ისჯება ამ ნორმების დარღვევისთვის: ბრძანების გამცემი თუ შემსრულებელი?<br><br>**აქტივობა–** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ. 194<br><br>**რესურსი:** ეს საინტერესოა; სახელმძღვანელო, გვ.196<br>• რა იცით ანრი დიუნანის შესახებ? როდის ცხოვრობდა? | რისთვისაც მან წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობას დაუდო სათავე. რა დარჩა უცვლელი, რა შეიცვალა. კიდევ რის შეცვლას ისურვებდით სამომავლოდ?<br>**ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რას დაუდო სათავე დიუნანმა ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის, დაჭრილებისა და ტყვეების ღირსებისა და უფლებების დაცვის მიმართულებით და როგორ არიან დაცული ეს ჯგუფები დღეს; **(მკვ.წ.1)**<br>• ვის და რომელ უფლებებს იცავს ჟენევის კონვენციები და რა მექანიზმები არსებობს მათი დაცვისთვის საერთაშორისო და სახელმწიფო დონეზე **(მკვ.წ. 2.3)**<br>• დემოკრატიის რომელი პრინციპის/ების დაცვას ემსახურება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ამ პრიციპის არსი და მნიშვნელობა ომის დროსაც. **(მკვ.წ.4)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">

- რა ჰუმანიტარული ქმედებების ორგანიზატორად იქცა ის?
- სად და რა მიზნით შეიქმნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი?
- როგორია დღეს ამ ორგანიზაციის როლი და ფუნქცია?
- ფასდება თუ არა ანრი დუნანის ქმედება, როგორც სამოქალაქო აქტივიზმი?

</td>
<td>მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br>(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>საქართველო სამშვიდობო ჰუმანიტარულ მისიებში;</td>
<td>საკვანძო<br>შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნებები<br>საერთაშორისო სამართალი;<br>ადამიანის უფლებები.</td>
<td>

- რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას?

</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br><br>(შედეგები: 3, 4, 13)<br><br>1)ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br><br>2)ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- რესპონდენტი თუ ყოფილხართ?
- თქვენ თუ ჩაგიწერიათ ინტერვიუ?
- სანამ კითხვას უპასუხებ, რა უნდა გააკეთო?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა<br><br>

- რესურსი: ნატოს ძირითადი ამოცანები; ნატო და საქართველო; გვ. 199-200
- რა მიზნით შეიქმნა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია–ნატო?
- როდის გახდა მნიშვნელოვანი საქართველოსთვის

</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა 3/7<br>წარმოიდგინე, შენ სამშვიდობო მისიის ჯარისკაცი ხარ და ჟურნალისტმა გადმოგიგზავნა კითხვები (დავალების ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები მიიჩნიე კითხვებად) ინტერვიუსთვის. პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობა-არმონაწილეობის თემაზე საზოგადოებაში ტრიალებს. იმედია, საინტერესო და საქმიან ინტერვიუს წარმოადგენ.<br>დაწერე მხოლოდ პასუხები –სულ, 200 სიტყვა.</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| უზრუნველყოფს;<br><br>3)დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br><br>4)დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.<br><br>**მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)**<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე* | უსაფრთხოების უზრუნველყოფა?<br>• რატომ გამოხატა საქართველომ ნატოსთან თანამშრომლობის სურვილი?<br>• როგორ არის დაცული პარტნიორთა თანასწორობის პრინციპი ალიანსის საქმიანობაში?<br>• ნატოში მუდმივი სამხედრო ძალების არ ყოლის პირობებში რა ვალდებულება ეკისრება ყოველ წევრ სახელმწიფოს?<br>• რა წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოებისთვის უპირველეს ამოცანას?<br>• რომელი მიმართულებით შეუქმნის გარანტიებს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანება?<br>• როგორ აღიქმება ნატოს მიერ მის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა?<br>**აქტივობა–** იმსჯელეთ; სახელმძღვანელო. გვ. 200<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** საკითხის შეჯამების დროს ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ 2008 წლის პლებისციტით, ნატოში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა მონაწილეთა 77%-მა, რადგან ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ეს შექმნის გარანტიებს. პარტნიორობა კი არის ორმხრივი და საქართველოც ასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე აუცილებელია.<br><br>**რესურსი:** მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში; სახელმძღვანელო, გვ. 201-202<br>• რა წარმოადგენს ნატოს სამშვიდობო მისიების მიზანს?<br>• როგორ და როდის იყენებს ნატო სამხედრო ტექნიკას?<br>• როგორ ფიქრობთ, ლახავს თუ არა აგრესიის ობიექტების გარდა საკუთარი მოქალაქეების უფლებებს სახელმწიფო, რომელიც აგრესიულ/მილიტარისტურ პოლიტიკას ეწევა?<br>• ექმნება თუ არა საფრთხე მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას, განვითარებას, იზღუდება თუ არა თავისუფალი | **ინტერვიუში/ინტერვიუს წარდგენისას ხაზგასმით ისაუბრე:**<br>• რა პირადი და საზოგადოებრივი საჭიროების გამო გადაწყვიტე მისიაში მონაწილეობა; **(დემოკ.-მკვ.წ.1)**<br><br>• რომელი გრძელვადიანი მიზნებით ახსნი შენს რისკიან გადაწყვეტილებას? **(დემოკ.-მკვ.წ.2. მდგრ.-მკვ.წ.1)**<br><br>• როგორ დაგეგმე მისიაში წამოსვლა და რა დაგჭირდა საამისოდ ( წვრთნა, ჯანმრთელობის პრევენცია, ოჯახის წევრების თანამოაზრეებად ქცევა, ემოციების მართვა)?**(დემოკრ.-მკვ.წ. 22მდგრ.-მკვ.წ.2)**<br><br>• როგორ ზრუნავ პირად და თანამებრძოლების უსაფრთხოებაზე, რა განსაკუთრებული მოქმედებები დაგეგმე? (**მდგრ.-მკვ.წ.1)**<br><br>• რამდენად კანონიერი და ზნეობრივია თქვენი სამშვიდობო მისია და შეგაქვთ თუ არა წვლილი საერთაშორისო საფრთხეების შემცირებაში ?(დაასახელე არგუმენტები) **(დემოკ.-მკვ.წ.2.** |

| | | |
|---|---|---|
| *უარის თქმა)).* | გადაადგილების უფლება და ასე შემდეგ ?<br>• რას ფიქრობთ სამშვიდობო მისიებში ქართული მხარის მონაწილეობაზე?<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ამ საკითხის შესწავლისას აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ შეიარაღებული კონფლიქტები არღვევს მოქალაქეების უფლებებს, იმ მოქალაქეებისაც, რომლებიც აგრესიის წამომწყებ ქვეყანაში ცხოვრობენ. ამიტომაც მათ ინტერესებშიც შედის, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით და დროულად დარეგულირდეს კონფლიქტი. სამშვიდობო და ჰუმანიტარული მისიები თავიანთ ამოცანებს ამ ჭრილში ასრულებენ.<br><br>**რესურსი:** რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას?; სახელმძღვანელო, გვ. 201-204<br>• როგორ არის ჩართული საქართველო ამ მისიებში?<br>• რა სარგებელს იღებს ქვეყანა ამ მისიებში მონაწილეობით, ახლო და სამომავლო პერსპექტივაში?<br>• მიზანშეწონილია თუ არა აღმკვეთი ღონისძიებების ჩატარება დღევანდელი საერთაშორისო საფრთხეების, ტერორიზმის პირობებში? ტერორიზმს აქვს საზღვრები? რატომ?<br>• შესაძლებელია თუ არა იმ ქვეყნებში დაზარალდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები?<br>• უნდა აიღოს თუ არა პასუხისმგებლობა საერთაშორისო საზოგადოებამ ამგვარი პრობლემების დარეგულირებაზე?<br>**აქტივობა–დისკუსია**; სახელმძღვანელო. გვ.204<br><br>**აქტივობა – ზეპირი ინტერვიუ** (სახელმძღვანელოში(არ არის!) მოსწავლეებს ვაძლევთ ინსტრუქციას, მოიფიქრონ და | **მდგრ.-მკვ.წ.2)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u> |

| | | |
|---|---|---|
| | თანაკლასელებს დაუსვან ერთი კითხვა, რომელიც საკითხის გავლის შემდეგ მათთვის გაუგებარი ან ბუნდოვანი დარჩა.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** ვაჯამებთ იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის ახლოვადიან პერსპექტივაში სამხედრო ძალების პროფესიონალიზმის ამაღლებას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპაში ინტეგრაციის დაჩქარების უკავშირდება. მთლიანობაში კი ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. | |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

**სოციალიზაცია** *(პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)*
- მიგრაციის თანამედროვე გამოწვევებზე (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) მსჯელობისას ემპათიისა და შემწყნარებლობის გამოვლენა **(მოქ.საბ.1,2,3,4)**;

**დემოკრატია** *(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)*
- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების (ადამიანის უფლებები, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით **(მოქ.საბ.1,2,3,4,10,11,13).**

**ინიციატივა და მეწარმეობა**
- საერთაშორისო საფრთხეებისა (ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი) და მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) იდენტიფიცირება; მათი გადაჭრის შესაძლო გზებსა და ამისთვის საჭირო რესურსებზე მსჯელობა **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7, 8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**
- სამშვიდობო პროცესებში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საბ.2,6,8,9);**

**მდგრადი განვითარება**
- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით **(მოქ.საბ.1,2,3,10,11,13).**

საათების სავარაუდო გადანაწილება

| N | საკითხის/პარაგრაფის დასახელება | საათების რაოდენობა | მასწავლებლის შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 1 | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია | 1 | |
| 2 | მდგრადი განვითარების მიზნები | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 3 | ევროპის კავშირი | 2 | |
| 4 | ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 5 | საერთაშორისო საფრთხეები | 1 | |
| 6 | რა უნდა ვიცოდეთ ადამიანით ვაჭრობის შესახებ | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 7 | მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები | 1 | |
| | იძულებით გადაადგილებული პირები | 1 | |
| 8 | კომპლექსური დავალება | 1 | |
| | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი | 1 | |
| 9 | კომპლექსური დავალება | 1 | |
| | საქართველო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში | 1 | |

## შეფასების რუბრიკები

| | | |
|---|---|---|
| საკითხი - გაერო<br><br>**კომპლექსური დავალება 3/1**<br><br>**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - - -- - - - -- - - - -- - - - -- - -- - - - - - - | | |
| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** | **მდგრადი განვითარება** | **ინიციატივა და მეწარმეობა** |
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა).<br>გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, გენდერის თემაზე საუბრისას ერთმანეთს უკავშირებს ქალთა და გოგნათა არათანაბარ შესაძლებლობებს** | მოსწავლე მკაფიოდ გამოავლენს **სამეწარმეო** უნარ-ჩვევებს (განსაზღვრავს საჭიროებებს, აყალიბებს მოქმედების/პროექტის იდეას, მიზანს, მისი მიღწევის დროში გაწერილ გეგმას და საჭირო რესურსების ჩამონათვალს, ასევე მონიტორინგის მექანიზმს).<br>გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, საუბრობს, რომ მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის შესაბამისად მსოფლიო თანამეგობრობის მიზნად ქცეული გენდერული თანასწორობის მისაღწევად, საჭიროა დაბალგანვითარებად** |

| | | |
|---|---|---|
| | **განათლების თვალსაზრისით და შემდგომში მათ ეკონომიკურ არამდგრადობას, რაც ქალს სამსახურის არქონის გამო ქმარზე დამოკიდებულს ხდის, ეს კი , სამწუხაროდ, ხშირად მოძალადის მძევლად აქცევს და მომავლის პერსპექტივას უკარგავს...** ) ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. | **ქვეყნებში შეიქმნას ქალთა განათლების მხარდამჭერი პროგრამები, გაცვლითი პროგრამები, გამოკვეთს შემდგომ ეტაპს, როცა მათ დასაქმება დასჭირდებათ, ასახელებს რესურსებს.** ) ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, ქალთა განათლების საკითხი, ეკონომიკური პრობლემები, ძალადობა, ადრეული ქორწინება)),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, ქალების დასაქმების საჭიროება , მათი ეკონომიკური გაძლიერება, განათლება ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, ეკონომიკურ სიდუხჭირეს ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, რესურსების საჭიროებას... ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

საკითხი - გაერო

კომპლექსური დავალება 3/2

მოსწავლის სახელი და გვარი - - -- -- - -- - -- - - -- - -- -- - -- - -- - -- - -- -

| კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება → ↓ | მდგრადი | ინიციატივა და მეწარმეობა |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, მე-6 მიზნიდან გამომდინარე, წყლის რესურსთან დაკავშირებით, დაზოგვის მიზნით სამომხმარებლო ჩვევების შეძენა და პატარების ყურადღების მიპყრობა მათ სამომავლო პერსპექტივაზე. მათთის გასაგებად** | მოსწავლე მკაფიოდ გამოავლენს **სამეწარმეო** უნარ-ჩვევებს (განსაზღვრავს საჭიროებებს, აყალიბებს მოქმედების/პროექტის იდეას, მიზანს, მისი მიღწევის დროში გაწერილ გეგმას და საჭირო რესურსების ჩამონათვალს, ასევე მონიტორინგის მექანიზმს). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, გამოკვეთს საჭიროებას-პატარების ცნობიერების ამაღლებას წყლის რესურსის გამოყენებასთან მიმართებით, საუბრობს სამოქმედო გეგმაზე, გამოყოფს ეტაპებს, ჩამოთვლის საჭირო რესურსებს, თანამონაწილეებს; ასახელებს ვისთან ითანაშრომლებს. )** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, |

| | | |
|---|---|---|
| | **ნახატებით ჩვენება, როგორია უდაბნო და როგორია ოაზისი, რა პრობლემა იჩენს თავს და რა უნდა გააკეთონ წყლის მოსაფრთხილებლად– ლოკალური ქმედებები-გლობალური /შედეგები)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. | გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, წყლის ხარჯის შემცირება, წყლის კრიზისი; მდინარეების დაბინძურება... ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, ასახელებს იდეას, რესურსებს, აქტივობებს, .. ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, საუბრობს დაბინძურებულ მდინარეებზე, ბავშვების მიერ ნარჩენების გადაყრაზე... ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, ასახელებს ილუსტრაციების შექმნას, მაგრამ არ ჩანს რატომ, როგორ და რისთვის ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

საკითხი -საქართველო და ევროპის კავშირი

**კომპლექსური დავალება 3/3**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - - -- -- - - -- - - -- - - - - -- - - - - -- - - -- - - - - - --

| კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება ↓ | მდგრადი განვითარება |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, თუ ირჩევს წერილ-გზამკვლევს ,,როდის და როგორ უნდა მივმართოთ სტრასბურგის სასამართლოს?“ მასში გამოკვეთს, რა გავლენა აქვს ამ ინსტიტუციას საზოგადოებისთვი, რომ ეს არის მოქალაქეთა და სახელმწიფოთა სამართლიანი სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა, რაც დაკავშირებულია სამომავლო პერსპექტივის მიმართ იმედიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებათან, რომ საერთაშორისო დონეზე სამართლის აღდგენის ყველა შემთხვევა არის ლოკალური ქმედება მდგრადი უსაფრთხოებისთვის.)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(სასამართლოში მიმართვის წესი, ვის შეუძლია მიმართოს, ნახსენებია სამართლიანი სასამართლოც... ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ |

| | |
|---|---|
| ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, სასამართლოს თვის მიმართვის წესი) , მაგრამ** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც **(ჩამოთვლის ,,ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე ხელმომწერ სახელმწიფოებს)** |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა;  პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

| |
|---|
| **კლასი მე-9**<br><br>**მოსწავლის სახელი, გვარი** |
| **თემა:** სამშვიდობო პროცესები – **შემაჯამებელი დავალება 3/4** |
| **სამიზნე ცნება** -ინიციატივა და მეწარმეობა, სამოქალაქო მონაწილეობა<br><br>**დავალების პირობა:** დაგეგმე საერთაშორისო საფრთხეების, კერძოდ, ტრეფიკინგის და მისი პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებითი პროექტი. მოხალისეობრივად ჩაატარე კვლევა, მოამზადე და თემში გაავრცელე **საინფორმაციო ბუკლეტი,** რომელშიც ასახული იქნება ტრეფიკინგის რისკები და ფორმები, პრევენციის და სამართლებრივი რეგულაციის გზები და მექანიზმები; ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესაძლებლობები; |

| **შეფასების კრიტერიუმები** | **ქულები** | **კომენტარი** |
|---|---|---|
| • რა მიზანს ემსახურება შენი ინიციატივა და რატომ გადაწყვიტე მისი ქცევა მოხალისეობრივ სათემო პროექტად?**(ინიც.მკვ.წ.2; სამოქ.მონაწ.-მკვ.წ.1;2)** | 3 | |
| • როგორ დაგეგმე კვლევა და ბუკლეტი, რა რესურსები და ვადები შეუსაბამე დაგეგმილ ქმედებებს?**(ინიც.მკვ.წ.3)** | 2 | |
| • ტრეფიკინგის პრევენციისთვის რომელი საკითხები და რა თანმიმდევრობით წარმოადგინე ბუკლეტში? რა შედეგს ელოდები მისი გავრცელების შემდეგ? **(ინიც.მკვ.წ.4;)** | 2 | |
| • ვისთან ითანამშრომლეთ (დირექციასთან, სკოლის თვითმმართველობასთან, თემთან...)? რატომ იყო მნიშვნელოვანი ეს თანამშრომლობა?**(სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.3)** | 3 | |

**საკითხი** -- მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები

**კომპლექსური დავალება 3/5**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - - -- -- - - -- - -- - -- - -- -- - - -- -- - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** ↓ | **სოციალიზაცია** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **სოციალიზაციის** ცნების სხვადასხვა ასპექტს *(პიროვნულ მახასიათებლებს, ადამიანის მოთხოვნილებებს, ურთიერთობას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან).* გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, კომიქსის ერთ სცენაში ასახავს, როგორი მოწყენილია მისი მეგობარი და როგორ ფიქრობს, რომ ყველა მოენატრა და ახსენდება მისი რჩევები, როგორ ნატრობს, იცოდეს ენა, რომ იქაც გაიჩინოს მეგობრები და იზოლაციაში არ იყოს, მეორე სცენაში ასახულია, როგორ ცდილობს მისი პასპორტის ხელში ჩაგდებას ვიღაც მატყუარა, ხოლო ბოლო სცენაში_ მეგობარს გახარებული სახე აქვს, რადგან დაბრუნდა, სამსახურიც იშოვა და ოჯახსაც ეხმარება. წარდგენის დროს კომიქსის ავტორი განმარტავს ურთიერთობების მნიშვნელობას, მეგობრისადმი ზრუნვის აუცილებლობას, რომ მას საფრთხე აარიდოს))** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, მეგობრის პრობლემა, მატროობით გამოწვეული განცდები, ტრფიკიორთა ტიპური ქცევები...),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, ტრეფიკინგის საფრთხეებს ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. |

| | |
|---|---|
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

საკითხი -- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

**კომპლექსური დავალება 3/6**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - - -- -- - - -- - - - -- - - -- - - -- - - - -- -- - - - - -

| კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება ↓ | დემოკრატია |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **დემოკრატიის** ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, წერილში წერს, როგორ რეგულირდება დღეს (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით) ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის, ტყვეებისა და დაჭრილების უსაფრთხოება, რომ კანონით ისინი დაცულნი არიან, მაგრამ მაინც ირღვევა მათი უფლებები, ახსენებს ჟენევის განახლებულ დოკუმენტებს, უყვება თამედროვე საქართველოს ომების ამბავს...ამ პერიოდს ადარებს დიუნანის პერიოდს და აღწერს, რომ მსხვერპლი გაიზარდა მშვიდობიან მოსახლეობაში, მიუხედავად უამრავი მწარე გაკვეთილისა, კაცობრიობას ხშირად ავიწყდება ომის წესების დაცვა, საერთოდ კი ოცნებობს დროზე, როცა ომები საერთოდ აღარ იქნება.)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს <u>არ აქვს</u> მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის** |

| | |
|---|---|
| რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **საქმიანობა, ომის მსხვერპლთა ამბავი, სამშვიდობო პროცესები მსოფლიოში, ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, ასახელებს ომის დროს დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის სტატისტიკას),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. (ჩამოთვალოს მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები...) |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

საკითხი -- საქართველო საერთაშორისო და ჰუმანიტარულ მისიებში

**კომპლექსური დავალება 3/7**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - - -- - - - -- - - - - -- - - - -- -- - - - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** → <br> ↓ | **მდგრადი განვითარება** | **დემოკრატია** |
| --- | --- | --- |
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **დემოკრატიის** ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, აღნიშნავს, რომ მისთვის არავის დაუძალებია მისიაში წამოსვლა და ეს მისი გააზრებული არჩევანი იყო და ამის უფლება ჰქონდა. რაც** |

| | | |
|---|---|---|
| | (**მაგალითად, არგუმენტირებულად საუბრობს რა კავშირი აქვს სამშვიდობო მისიებს მშვიდობის მდგრადობასთან, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ამ გზას განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავს ტერორიზმისა და ომების აღსაკვეთად და საქართველოს თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში, რაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიებს ამყარებს; უკავშირებს თავის გადაწყვეტილებას, რომ პროფესიული წინსვლისთვის და ეკონომიური თვალსაზრისითაც მას სამომავლო პერსპექტივას უქმნის ეს არჩევანი,)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. | **შეეხება სამშვიდობო მისიების კანონიერებასა და ზნეობრიობას, ეს მისიები ბევრად მეტ მსხვერპლს არიდებს კაცობრიობას, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, ის შესაბამისობაშია საერთაშორისო დოკუმენტებთან და ზნეობრივადაც გამართლებულად მიიჩნევს... )** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (**მაგალითად, საუბრობს ლტოლვილებზე, რომლებიც იძულებულნი არიან დატოვონ თავიანთი ქვეყანა, საუბრობს თავის თანამებრძოლებზე, რომლებიც იქაურ ბავშვებს ეხმარებიან, საუბროს ნატოში გაწევრიანების შესახებ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, დაკავშირებას, მიმართებებს ვერ ახერხებს. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (**მაგალითად, ახსენებს ტერორისტებს, როგორ საერთაშორისო საფრთხის წყაროს, საუბრობს მათ უკანონო ქნედედებებზე, მსხვერპლზე; საუბრობს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე, სახელმწიფოს წინაშე მოვალეობაზე...),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, დაკავშირებას, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, ჰყვება , როგორ მიიღება გადაწყვეტილება შეიარაღებულ ჩარევაზე.),** აქვს |

| | | |
|---|---|---|
| | **მაგალითად, ახსენებს უმუშევრობას და ახლა დასაქმებულია, ოჯახს ეხმარება... ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. | ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

## თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები

**თემა:** გარემოს დაცვა — საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+4)

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს უტოლდება;
- გარემოს დაცვა იგივე ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაა;
- ჩვენს ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს (მაგ. მდინარის დაბინძურება – მსოფლიო ოკეანის დაბინძურება);
- გლობალური ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ინდივიდის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ქმედებებზეა დამოკიდებული (მაგ., პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა);

გარემოს დაცვაზე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ზრუნავს.

**თემატური საკვანძო შეკითხვები**

- რატომ აწყდებიან დაბრკოლებებს გარემოს დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობის პროცესში?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?
- უნდა მივიჩნიოთ თუ არა კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად?
- როგორ შემიძლია ხელი შევუწყო გარემოს დაცვას საერთაშორისო დონეზე

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:**

1. კლიმატის ცვლილება
2. ენერგიის ალტერნატიული წყაროები
3. ენერგოეფექტურობა
4. მწვანეთა მოძრაობა
5. იუნესკო

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>კლიმატის ცვლილება</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br><br>მოხალისეობა<br>რესურსების დაზოგვა<br>სამოქმედო გეგმა</td>
<td><ul><li>რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?</li><li>რა შემიძლია გავაკეთო ამ მიმართულებით?</li></ul></td>
</tr>
<tr>
<td>სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13)<br><br>1)დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br><br>2)სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br><br>3)აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>რესურსი: ინსტრუქციები სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტისთვის; https://civics.ge/classroom-projects/<br>რა იცით და რა კითხვა გაქვთ საკლასო პროექტზე?<ul><li>როგორ დგება სამოქმედო გეგმა ?</li><li>რა კომპონენტებს შეიცავს?</li><li>სჭირდება თუ არა ყველა საქმეს და მათ შორის პროექტს იმის დაგეგმვა, თუ რას ვაკეთებთ მიზნის მისაღწევად, რა ვადაში გავაკეთებთ, რა რესურსები დაგვჭირდება, ვისთან ვითანამშრომლებთ?</li><li>რა შედეგს მივიღებთ და როგორ გადავამოწმებთ ჩვენს შედეგებს?</li><li>თქვენი აზრით, რის დაცვას გულისხმობს გარემოს დაცვა?</li><li>რატომ უნდა ვხარჯოთ რესურსები დაზოგვით? რა კავშირშია ეს გარემოსთან?</li></ul><br>ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა: 4/1<br>გარემოს დამცველთა შორის დღეს აქტუალურია დევიზი: შეამცირე, ხელახლა გამოიყენე, გადაამუშავე (Reduce, Reuse, Recycle). ამ დევიზის გათვალისწინებით, შეადგინე შენი პერსონალური/ოჯახური/საკლასო პროექტის სამოქმედო გეგმა, რომელშიც კონკრეტულად აისახება, როდის, რას, რა რესურსების გამოყენებით გააკეთებთ, ვინ იქნებიან თანამოაზრეები და რა შედეგს ელოდები.<br>გეგმაში/გეგმის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<ul><li>რომელ საჭიროებას უკავშირდება შენი არჩევანი და რით იქნება</li></ul></td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br><br>4)სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br><br>5)სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.<br><br>**ინიციატივა და მეწარმეობა (შედეგები: 5, 6, 7)**<br><br>1)პირადი/ საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;<br><br>2)მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br><br>3)მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br><br>4)მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br><br>5)გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო.<br><br>**მდგრადი განვითარება (შედეგები:** | **რესურსი: კლიმატის ცვლილება;** სახელმძღვანელო, გვ.209-212<br>• რა იცით კლიმატის შესახებ სხვა საგნებიდან?<br>• რა გავლენის მოხდენა შეუძლია კლიმატს ადამიანებზე, ყველა ცოცხალ არსებაზე?<br>• კლიმატის კრიზისი – რას ნიშნავს ეს სიტყვები თქვენთვის?<br>• რა საფრთხეებს ქმნის ეს კრიზისი?<br>• როგორია ჩვენი გარემო ? ამ ინფორმაციის ცოდნის მოპოვებისს უფლება თუ აქვთ მოქალაქეებს?<br>• როცა ინფორმაცია გაქვს პრობლემაზე, უნდა დაიწყო თუ არა ზრუნვა მის მოსაგვარებლად?<br>• შეიძლება ვინმემ თქვას, რომ კლიმატი ჩემი პრობლემა არ არის?<br>• რატომ იქცა ეს გარემო საერთაშორისო ზრუნვის საგნად?<br>• რაზე ამახვილებს ყურადღებას ,,ორჰუსის კონვენცია“? გაეროს კლიმატის ცვლილებების ,,პარიზის შეთანხმება“?<br>• როგორ იზიარებს საქართველო ამ პასუხისმგებლობებს?<br>• შეუძლიათ თუ არა ჯერ კიდევ ადამიანებს ნეგატიური პროცესების შენელება, შეჩერება?<br><br>**აქტივობა – იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.209<br><br>**რესურსი: ჰაერის დაბინძურება; ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება;** სახელმძღვანელო, გვ.212-214<br>• რა ქმედებები ახდენს გავლენას კლიმატის ცვლილებაზე?<br>• რა იწვევს ჰაერის დაბინძურებას?<br>• რაზე მეტყველებს კვლევის შედეგი, რომ პანდემიის პერიოდში ჰაერი დაბინძურება შემცირდა?<br>• როგორ ზრუნავს ამ საკითხებზე საქართველო?<br>• იქნება თუ არა საკმარისი მხოლოდ სტრატეგია, კანონები და ხელშეკრულებები?<br>• როგორია თითოეული ჩვენგანის როლი? | შენი პროექტი სასარგებლო შენთვის, საზოგადოებისთვის; როგორ შემოიკრებ თანამონაწილეებს (ოჯახიდან, სკოლიდან, თემიდან...) **(ინიც.-მკვ.წ.1.2; სამოქ. მონაწ. - მკვ.წ.1.2.3)**<br>• რა მიზნებს ემსახურება აქტივობები და რამდენად არის ორიენტირებული სამომავლო პერსპექტივაზე, როგორ გეგმავ რესურსებისა და ქმედებების გადანაწილებას დროში? **(ინიც.-მკვ.წ.3; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.2; მდგრად. განვით. -1)**<br>• რა მიმართება იკვეთება თქვენს პროექტსა და გლობალურ მიზნებს შორის? პროცესზე დაკვირვების/ მონიტორინგის რა ფორმას გამოიყენებ? **(ინიც.-მკვ.წ.4;5; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.2; მდგრად. განვით. -2)**<br>• როგორ შეესაბამება თქვენი ჩანაფიქრი კანონსა და ზნეობრივ ნორმებს, სხვა ადამიანების ინტერესებს? **(ინიც.-მკვ.წ.5; სამოქ.მონაწ.-მკვ.წ.4)**<br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:** |

| | | |
|---|---|---|
| **7, 10, 11)**<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).* | • რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების დამუშავება და დახარისხება?<br>• რას გულისხმობს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია?<br>• როგორ მართავენ თქვენს მუნიციპალიტეტში, ქალაქში, სოფელში ნარჩენებს?<br>• რამე ცვლილებას ამჩნევთ ამ პერიოდში?<br><br>**აქტივობა – იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.214<br><br>**აქტივობა – იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.215<br><br>**აქტივობა – დისკუსია;** სახელმძღვანელო, გვ.216<br><br>**რესურსი:**<br><br>**მოზარდები კლიმატის ცვლილებების შესაჩერებლად,** სახელმძღვანელო, გვ.215<br><br>**შენ რა შეგიძლია გააკეთო კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად/შესამცირებლად?** სახელმძღვანელო, გვ.216-217<br><br>• რა პრობლემაზე საუბრობდა გრეტა თუნბერგი?<br>• რა იყო საინტერესო და რა ნაცნობი ასაკოვანი ცოლ-ქმრის ისტორიიდან?<br>• მათი ცხოვრების წესი რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს უკავშირდება?<br>• დაფიქრდი, რისი გაკეთება შეგიძლია შენ? შენს ოჯახს? თქვენს კლასს?<br><br>**აქტივობა**: იმსჯელეთ (სახელმძღვანელოში არ არის!)<br><br>• ხომ არ გაქვთ სურვილი, თქვენც შეეცადოთ ხმარებიდან | • <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u> |

| | | |
|---|---|---|
| | ამოღებულ ტანსაცმელს, ან სხვა ნივთს მეორე სიცოცხლე შესძინოთ?<br><br>**აქტივობა:** ჩვენ –ჩვენი გარემოსათვის **(სახელმძღვანელოში არ არის!)**<br><br>**რეკომენდაციები მასწავლებლისთვის:** შემაჯამებლად კლასში გამოაკარით დიდი ფურცელი სათაურით ,,ჩვენ –ჩვენი გარემოსათვის“. აუხსენით, რომ  ეს ჩვენი პირველი ,,კონვენცია“ იქნება, სადაც თითოეულმა უნდა დააფიქსიროს, რას გააკეთებს/არ გააკეთებს უახლოეს ერთ თვეში კლიმატის ცვლილების შესამცირებლად. მიეცით 1-2 წუთი, მოიფიქრონ, რა პასუხისმგებლობას აიღებენ საკუთარ თავზე, რას შეძლებენ. დაუტოვეთ არჩევანი, გადაწყვიტონ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა. აუხსენით, რომ ერთი თვის თავზე იმსჯელებენ იმაზე, რა და როგორ გამოუვიდათ და ,,კონვენციას“ შეცვლიან, დაამატებენ, ვადას გაუგრძელებენ.<br><br>ინსტრუქციის დასრულების შემდეგ, სასურველია, თავად პირველი მიბრძანდეთ   ფურცელთან, გააკეთოთ ჩანაწერი ( მხოლოდ ნაჭრის ჩანთას გამოვიყენებ! არ დავწვავ ფოთოლს! შევაგროვებ და ჩავაბარებ მაკულატურას!..) და ხელი მოაწეროთ.<br><br>პროცესის დასრულების შემდეგ, თუ გექნებათ ამის საშუალება, კლასში გააკარით „კონვენცია“, თქვენ კი შეეცადეთ, დანაპირები შეასრულოთ და ამის დემონსტრირება შეძლოთ: ატაროთ ნაჭრის ჩანთა, აჩვენოთ რაიმე ნივთი, რომელიც ნარჩენებისგან დაამზადეთ და ა.შ. არჩევანი თქვენზეა.<br><br>ერთი თვის თავზე აუცილებლად გამოყავით დრო ,,კონვენციის“ განხორციელებაზე დაგეგმილი მსჯელობისათვის. | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>ენერგიის<br>ალტერნატიული წყაროებ</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br>განახლებადი რესურსები;</td>
<td>ენერგიის ალტერნატიული<br>წყაროების გამოყენებით, როგორ<br>შევიტანთ წვლილი გარემოს დაცვაშ</td>
</tr>
<tr>
<td>მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
<ul>
<li>რით არის გამორჩეული ეს დავალება?</li>
<li>გამოგიყენებიათ თუ არა სხვა დროს ილუსტრაციები ტექსტზე მუშაობისას?</li>
<li>როგორ შინაარსს უნდა შეიცავდეს ილუსტრაციის თანმხლები ტექსტი: ილუსტრაციის აღწერას, დამატებით ინფორმაციას, ანალიზსა და დასკვნებს?</li>
</ul>
ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა<br>
რესურსი: ენერგიის ტრადიციული წყაროები; სახელმძღვანელო, გვ.220
<ul>
<li>რომელია ენერგიის ალტერნატიული წყაროები?</li>
<li>გარემოს საზიანოდ რა რისკები ახლავს მათ გამოყენებას?</li>
<li>როგორ იქმნება სათბურის ეფექტი?</li>
<li>როგორ აისახება გარემოზე ენერგორესურსების შეუზღუდავი ხარჯვა?</li>
</ul>
აქტივობა – დისკუსია; სახელმძღვანელო, გვ.221</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა 4/2<br><br>წარმოიდგინე, რომ შენ და შენი მეგობრები თემაზე „განახლებადი ენერგიის წყაროები“ ცნობიერების ასამაღლებელ პროექტს ახორციელებთ. შენ პრეზენტაციისთვის შერჩეული გაქვს ილუსტრაცია (იხილეთ წიგნში), მაგრამ საჭიროა ტექსტი, რომელიც ილუსტრაციაზე ასახულ ინფორმაციას ახსნის და შეავსებს. შეადგინე ეს ტექსტი (200 სიტყვა);<br>რჩევა: არ დაგავიწყდეს, ტექსტი პოპულარული/გასაგები ენით უნდა დაწერო, უცნობი სიტყვები კი განმარტო.<br><br>ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
<ul>
<li>რამდენად მართებულია</li>
</ul></td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td rowspan="1"></td>
<td colspan="2">
აქტივობა – იმსჯელეთ; სახელმძღვანელო, გვ.221<br><br>
რესურსი: ენერგიის განახლებადი წყაროები; სახელმძღვანელო, გვ.222-223<br>
• რა ალტერნატიული წყაროები არსებობს?<br>
• რატომ უწოდებენ მათ ენერგიის განახლებად წყაროებს?<br>
• რა უპირატესობა აქვთ მათ?<br>
• როგორია მზის ენერგიის გამოყენების პრაქტიკა და პერსპექტივა?<br>
• როგორია ქარის ენერგიის შესაძლებლობები და პრობლემები?<br>
აქტივობა – იმუშავეთ ჯგუფებში; სახელმძღვანელო, გვ.223<br>
რეკომენდაციები მასწავლებლისთვის: რადგან დროითი განაკვეთით და ინფორმაციის მოცულობით, ეს ერთ-ერთი მცირე პარაგრაფია, თქვენი შეხედულებისამებრ, შეგიძლიათ მომდევნო, თემატურად მონათესავე (ენერგოეფექტურობა) პარაგრაფიც ამ სასწავლო ერთეულში შემოიტანოთ და ერთი კომპლექსურით შემოიფარგლოთ.
</td>
<td>
საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივისთვის განახლებადი რესურსების მოხმარება? რატომ? (მკვ.წ.1)<br>
• რა მნიშვნელობა აქვს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე ცნობიერების ამაღლებას და როგორ აისახება მისი პრაქტიკაში გამოყენება გლობალურ პროცესებზე? (მკვ.წ.2)<br>
პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:<br>
• რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.
</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>ენერგოეფექტურობა</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br>რესურსების დაზოგვა;<br>სარეკლამო პროდუქტის დაგეგმვა.</td>
<td>როგორ შემიძლია შევუწყო ხელი საერთაშორისო დონეზე გარემოს დაცვას ლოკალური ქმედებებით?</td>
</tr>
<tr>
<td>ინიციატივა და მეწარმეობა (შედეგები: 5, 6, 7)<br>1)პირადი/ საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა 4/3<br><br>შენ სამუშაოს მაძიებელი ხარ და</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ინიციატივის საფუძველია;<br><br>2)მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br><br>3)მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br><br>4)მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br><br>5)გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო.<br><br>**მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)**<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).* | • რა არის რეკლამა? რა დანიშნულება აქვს მას?<br>• ვისზეა ორიენტირებული რეკლამა?<br>• გახსოვთ თუ არა მომხმარებელთა უფლებები?<br>• შეიძლება თუ არა რეკლემის შემქმნელმა მოატყუოს მომხმარებელი?<br>• როგორ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია?<br>• საჭიროა თუ არა კარგად იცოდე იმ პროდუქტის დადებითი, ხელსაყრელი მახასიათებლები, რომლის რეკლამასაც აკეთებ?<br>• რა განსხვავებაა სარეკლამო ბანერსა და სარეკლამო ტექსტს შორის?<br><br>**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**რესურსი:ენერგოეფექტურობა;** სახელმძღვანელო, გვ.225<br>• რა საერთო აქვს ენერგოდაზოგვასა და ენერგოეფექტურობას?<br>• რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?<br>• რა გავლენა აქვს ამ მიდგომებს გარემოსთან მიმართებაში?<br><br>**აქტივობა – იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.226<br><br>**აქტივობა – იმუშავეთ წყვილებში;** სახელმძღვანელო, გვ.227<br><br>**აქტივობა – დავალება;** სახელმძღვანელო, გვ.227<br><br>**რესურსი: ენერგოეფექტურობა და სახელმწიფო,** სახელმძღვანელო, გვ.228-230<br><br>**აქტივობა –იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.228-229<br>• რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ენერგოეფექტური შენობა-ნაგებობები ?<br>• როგორია ენერგიის ხარჯი და დანაკარგი არაენერგოეფექტურ ნაგებობებში? | გსურს მუშაობის დაწყება იმ სამშენებლო კომპანიაში, რომელიც ენერგოეფექტურ სახლებს აშენებს. მათ გამოაცხადეს ვაკანსია სარეკლამო აგენტის პოზიციაზე და განაცხადიც გააკეთე. შენ ზეპირ გასაუბრებაზე მაღალი შეფასება დაიმსახურე. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეასრულებ პრაქტიკულ დავალებას; შეგიძლია ორი ტიპის პროდუქტიდან ერთ-ერთი აირჩიო: ენერგოეფექტური ბინების უპირატესობაზე **სარეკლამო ბანერი (ნახატი, აპლიკაცია, ელექტრონული)** ან **სარეკლამო ტექსტი** (200 სიტყვა) უნდა მოამზადო;<br><br>**ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რატომ არის საზოგადოებრივი ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანი ენერგოეფექტური ბინები? **(მკვ.წ.1)**<br>• რამდენად სარგებლიანია ენერგოეფექტური ბინის შეძენა საოჯახო რესურსების დაზოგვის, კომფორტის შენარჩუნების თვალსაზრისით; **(მკვ.წ.1)** |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">

- ენერგორესურსების ხარჯვა რა გავლენას ახდენს გარემოზე?
- რომელი ხელშეკრულების შესაბამისად ტარდება ენერგოპოლიტიკა საქართველოში?
- რა ვალდებულებას გულისხმობს ამ მიმართულების ეროვნული გეგმა?
- ამ სტანდარტების მიხედვით, როგორი უნდა იყოს შენობა, რომ მან ენერგოეფექტურობის დამადასტურებელი პასპორტი მიიღოს?

**რესურსი: მერების შეთანხმება;** სახელმძღვანელო, გვ.231-232

- რას გულისხმობს ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა–მერების შეთანხმება?
- როგორ გავლენას იქონიებს გარემოზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვა?
- როგორია ამასთან დაკავშირებით ქუთაისის მერიის პრაქტიკა?

**აქტივობა –დავალება;** სახელმძღვანელო, გვ.232

**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** რამდენიმე დავალებიდან შეარჩიეთ თქვენი კლასის საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული დავალება ან დაუტოვეთ არჩევანი მოსწავლეებს მრავალფეროვანი შედეგებისთვის. სასურველია, გააქტიუროთ მითითებული ელექტრონული რესურსები.

</td>
<td>

- როგორ და რატომ იქონიებს გავლენას მომხმარებლის გადაწყვეტილება (ბინის შეძენა) გლობალურ შედეგებზე? **(მკვ.წ.2)**

- რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მყარი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>მწვანეთა მოძრაობა</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br>უსაფრთხოების</td>
<td>

- როგორ შევიტანო ჩემი წვლილი გარემოს დასაცავად მიმდინარე

</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოთხოვნილება;<br>გარემოზე ზრუნვა; | საერთაშორისო პროცესებში?<br>• ჩემს გარემოზე ზრუნვით გამოვხატავ თუ არა ზრუნვას გლობალურ სამომავლო პერსპექტივებზე? | |
| სოციალიზაცია *(პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)*<br>(შედეგები: 1, 2)<br>1) ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;<br>2) ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;<br>3)სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;<br>4)ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• რას აკეთებს არქიტექტორი?<br>• შენგან არ ითხოვენ ზუსტ ნახაზებს, ნახატი და ესკიზიც საკმარისი იქნება.<br>• გიოცნებია ლამაზ ქუჩაზე, ქალაქზე, უბანზე, სოფელზე?<br><br>**ეტაპი II –კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br>**რესურსი: მწვანეთა მოძრაობა;** სახელმძღვანელო, გვ. 235-236<br>რა საფუძველი ჰქონდა მწვანეთა მოძრაობას, რომელიც ფართოდ გაიშალა მსოფლიოში?<br>რა მიზნებს ისახავს ეს მოძრაობა?<br>როგორ აისახება ეკოლოგიაზე ზრუნვა თავად ადამიანის და სხვა ცოცხალი არსებების ცხოვრებაზე?<br>რა მიზნები აქვთ საქართველოში მოქმედ ბუნებისდამცველ ორგანიზაციებს?<br>სამოქალაქო აქტივიზმის გარეშე, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების გარეშე შესაძლებელია სასურველი ცვლილებები?<br>**აქტივობა – ჯგუფური სამუშაო;** სახელმძღვანელო, გვ.236 | | **კომპლექსური დავალების პირობა: 4/4**<br>წარმოიდგინე, რომ შენ ,,მომავლის არქიტექტორი" ხარ, შექმენი მომავლის იდეალური **გეგმა/მონახაზი/ნახატი/მაკეტი**. დაფიქრდი, რა გახდიდა შენს უბანს/ქალაქს/სოფელს გარემოსადმი უფრო მეგობრულად განწყობილს და რა გააუმჯობესებდა ეკოკლიმატს. სრული თავისუფლება გაქვს, ნუ შეზღუდავ ფანტაზიას!<br><br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რა გაითვალისწინე პროექტში მცხოვრებთა პიროვნული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად? რა მისწრაფება გამოძრავებდა თავად, როცა ამ ნაშრომს ქმნიდი? **(სოც.-მკვ.წ.1)**<br>• როგორ არის უზრუნველყოფილი |

| | | |
|---|---|---|
| სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.<br><br>**მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)**<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).* | **რესურსი: მწვანე ეკონომიკა;** სახელმძღვანელო, გვ.236<br>• მწვანე ეკონომიკა, მწვანე ინვესტიციები, მწვანე სამუშაო ადგილები... რა იგულისხმება ამ სახელწოდებებში?<br>• ვინ არის ამ მიდგომების ინიციატორი – სახელმწიფო თუ სამოქალაქო სექტორი? თუ ორივე ერთად?<br>• რა მიმართულებებს მოიცავს მწვანე ეკონომიკა?<br>**რეკომენდაციები მასწავლებლისთვის:** ამ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებს შეიძლება დაავალოთ, მოიძიონ ინფორმცია, თუ რა ხდება მათ მუნიციპალიტეტში გარემოზე ზრუნვის და მწვანე მოძრაობის მიმართულებით, როგორ არის ასახული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ეკოლოგიაზე, ზოგადად გარემოზე, ზრუნვა.<br><br>**რესურსი: რა როლი აქვს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას გარემოსდაცვითი პრობლემების შემცირებაში;** სახელმძღვანელო, გვ.238-240<br>• არის თუ არა დაინტერესებული ჩვენი საზოგადოება ეკოლოგიის პრობლემებით, მწვანე მიდგომებით?<br>• მაშ, რატომ ვხედავთ ჯერ კიდევ მრავალ დარღვევასა და არასწორ ქმედებას ამ მიმართებით?<br>• აქვთ თუ არა მოქალაქეებს გაცნობიერებული პრობლემის მნიშვნელობა და მისი გადაჭრის გზები?<br>• თქვენ როგორ მოიქცეოდით, რას გააკეთებდით, ყველა რომ გამხდარიყო ნამდვილი „მწვანე"?<br><br>**აქტივობა:** დისკუსია (სახელმძღვანელოში არ არის)<br>**რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:** სახელმძღვანელოში არსებული ინფორმაციებისა (გვ.240) და მოსწავლეებისათვის | პროექტში მომავლის უბნის/ქალაქის/სოფლის მცხოვრებთა უსაფრთხოების მოთხოვნილება ეკოლოგიური თვალსაზრისით? არის თუ არა ეს გარემო ინკლუზიური? **(სოც.-მკვ.წ.2; მდგრადი-მკვ.წ.2)**<br><br>• რომელი ინსტიტუციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაითვალისწინე ეკოლოგიის საკითხებზე ზრუნვისათვის? როგორ ითანამშრომლებენ მათთან მოქალაქეები? დაზოგავენ თუ არა ყველანი ერთად რესურსებს სამომავლოდ;? **(სოც.-მკვ.წ.3; მდგრად.-მკვ.წ. 1)**<br>• როგორი ურთიერთობები ექნებათ ამ უბნის/ქალაქის/სოფლის მცხოვრებლებს? რა გიქმნით მოლოდინს, რომ მათ ერთმანეთისა და გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება ექნებათ? **(სოც.-მკვ.წ.4; მდგრად.-მკვ.წ.2)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რა სტრატეგიები |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">ცნობილი ცხოვრებისეული მაგალითების გაანალიზებით იმსჯელეთ კითხვაზე, რა შეიძლება გააკეთონ მოქალაქეებმა ჩვენი თემის ეკოლოგიური გაჯანსაღებისთვის?<br><br>რესურსი: რატომ აწყდებიან დაბრკოლებებს გარემოს დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობის პროცესში? სახელმძღვანელო, გვ.241-242<ul><li>რა დონის პრობლემას წარმოადგენს გარემოს პრობლემები?</li><li>გლობალური პრობლემის შემცირებისთვის როგორი რესურსებია საჭირო?</li><li>ყველაზე მთავარ რესურსად რა/ვინ წარმოგიდგენიათ?</li><li>არსებობს თუ არა საერთაშორისო დონის სტრუქტურა, რომელიც ამ მიმართებით სანქციებსაც შეიმუშავებს, ან სტრუქტურა, რომელიც ამ სანქციების ამოქმედების უფლებით იქნება აღჭურვილი?</li><li>თქვენ რას შეცვლიდით ამ სიტუაციაში?</li></ul>აქტივობა –იმსჯელეთ; სახელმძღვანელო, გვ.242<br><br>აქტივობა –დავალება; (აირჩიეთ ერთერთი) სახელმძღვანელო, გვ.242</td>
<td>გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)</td>
<td>საკითხი/ები<br>იუნესკო</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ები<br><br>საერთაშორისო შეთანხმებები;</td>
<td><ul><li>რატომ არის საჭირო ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების ცოდნა?</li></ul></td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td></td>
<td>კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა;</td>
<td>• კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის საფრთხეების წარმოშობის დროს უნდა ითანამშრომლო თუ არა შესაბამის სტრუქტურებთან?</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br><br>(შედეგები: 3, 4, 13)<br><br>1)ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br><br>2) ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br><br>3) დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br><br>4)დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა,</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>• თქვენ უკვე იცით, როგორ იწერება წერილი პრობლემის ადვოკატირების მიზნით. გაიხსენე, წინა წერილზე მუშაობისას რა ნაბიჯები გადადგი?<br>• რა გაგიიოლდა? რა გაგიძნელდა? რის გაუმჯობესებას ფიქრობდი?<br>• წერილზე დასართავად რა დაგჭირდება?<br><br>ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა<br><br>რესურსი: იუნესკო; სახელმძღვანელო, გვ.245-246<br><br>• რა იცით იუნესკოს შესახებ?<br>• როგორია მისი სრული სახელწოდება?<br>• რა მიზნები აქვს ამ საერთაშორისო ორგანიზაციას?<br>• რომელი დოკუმენტი იცავს მსოფლიოს კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას?<br>• როდის მიუერთდა ამ დოკუმენტს საქართველო?<br>• რა ტიპის კუტურული მემკვიდრეობის ძეგლები არსებობს?<br>• ვინ და როგორ იცავს არამატერიალური კულტურის ძეგლებს?<br><br>აქტივობა – გაიხსენეთ; სახელმძღვანელო, გვ.246<br><br>აქტივობა – იმუშავეთ ჯგუფებში; სახელმძღვანელო, გვ.246<br><br>რესურსი: საქართველო და იუნესკო; სახელმძღვანელო, გვ.247-249</td>
<td>კომპლექსური დავალების პირობა: 4/5<br><br>წარმოიდგინე, რომ შენს ქალაქში არსებული ისტორიული ძეგლი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი და შესაბამის დაცვას საჭიროებს. ისტორიულ ძეგლთან ახლოს მდებარე რესტორნები ძალზე ხშირად ფოიერვერკებს უშვებენ და მათი ხმა ძეგლს საშიშროებას უქმნის. მოქალაქეების პროტესტს ადგილობრივი ხელისუფლება არ ეხმაურება.<br>მოამზადე წერილი, რომლითაც აღნიშნულ პრობლემაზე რეაგირებისათვის იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიას მიმართავ.<br><br>წერილში/წერილის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• დაცულია თუ არა თანასწორობა და თავისუფლება, როცა</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.<br><br>**მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)**<br><br>1)რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br><br>2)ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს *(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).* | • როდის გახდა საქართველო იუნესკოს სრულუფლებიანი წევრი?<br>• იუნესკოს რა სტრუქტურები მოქმედებს საქართველოში?<br>• როგორია მათი ფუნქციები?<br>• რომელი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები შევიდა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში?<br>• რომელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი?<br>• როგორ იცავს სახელმწიფო ეროვნულ დონეზე აღიარებულ კულტურულ და ბუნებრივ ძეგლებს?<br>• რა მდგომარეობაშია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე ისტორიული ძეგლები?<br>• რა პოლიტიკას ატარებს საქართველო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების შემთხვევაში?<br><br>**აქტივობა –იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.249<br><br>**რესურსი: ვინ უნდა იზრუნოს ძეგლთა დაცვაზე;** სახელმძღვანელო, გვ.250-252<br><br>თქვენი აზრი, გვაქვს თუ არა უფლება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე რაიმე ქმედებების განხორციელებისა?<br><br>მაშ, ვის აქვს ამისი უფლება? რომელი პროფესიის ადამიანები აკეთებენ ამ საქმეს?<br><br>როგორ შეიძლება რიგითმა მოქალაქემ იზრუნოს ძეგლზე?<br><br>**აქტივობა – იმსჯელეთ;** სახელმძღვანელო, გვ.252-253<br><br>**აქტივობა – იმუშავეთ ჯგუფებში;** სახელმძღვანელო, გვ. 253<br><br>**რესურსი: ტურიზმი და კულტურული ძეგლები;** | მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ ასეთი დამოკიდებულება იჩენს თავს და მოქალაქეები ვერ ახორციელებენ თავიანთ უფლებასა და მოვალეობას _დაიცვან ისტორიული მემკვიდრეობა? **(დემოკრ.-მკვ.წ.1;2;3;)**<br>• რამდენად ირღვევა დემოკრატიის პრინციპი –კანონის უზენაესობა და როგორია ამ პრინციპის არსი და მნიშვნელობა? **(დემოკ.-მკვ.წ.4)**<br>• ამ სიტუაციაში, რამდენად არის გათვალისწინებული საერთაშორისო საზოგადოების ინტერესები და მომავლის პერსპექტივა; **(მდგრ. განვ.-მკვ.წ.1)**<br>• მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით, რა საფრთხეები მოჰყვება ამ ლოკალურ ქმედებებს,? **(მდგრ. განვ.-მკვ.წ.1)**<br><br>**პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:**<br>• <u>რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.</u> |

| | | |
|---|---|---|
| | სახელმძღვანელო, გვ.240<br>რა პირობებს ქმნის კულტურული მემკვიდრეობა ტურიზმის განვითარებისთვის?<br>რა საფრთხეებს უქმნის ტურიზმი კულტურულ ძეგლებს? გარემოს?<br>როგორია ვირტუალური ტურიზმის პერსპექტივა?<br>**აქტივობა – დისკუსია;** სახელმძღვანელო, გვ.254<br>**აქტივობა – დავალება; (აირჩიეთ ერთერთი)** სახელმძღვანელო, გვ.255 | |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

**სოციალიზაცია** (პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება ადამიანის უფლებების (ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უფლება სუფთა გარემოზე, ჰაერზე, წყალსა და საკვებზე, უფლება სათანადო საცხოვრისზე, კულტურული იდენტობის შენარჩუნების უფლება) ჭრილში **(მოქ.საზ.1,2,3,5,6,8,9,10,11,13);**

**დემოკრატია** (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება **(მოქ.საზ.3,4,5,7,10,11,13);**

**ინიციატივა და მეწარმეობა**

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური (კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს), გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული (კულტურული მემკვიდრეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში) პრობლემების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების გაანალიზება **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

**მდგრადი განვითარება**

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საზ.3,5,7,10,11,13).**

საათების სავარაუდო გადანაწილება

| N | საკითხის/პარაგრაფის დასახელება | საათების რაოდენობა | მასწავლებლის შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 1 | კლიმატის ცვლილება | 2 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 2 | ენერგიის ალტერნატიული წყაროები | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 3 | ენერგოეფექტურობა | 1 | |
| 4 | ენერგოეფექტურობა და სახელმწიფო | 1 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 5 | მწვანეთა მოძრაობა | 2 | |
| | კომპლექსური დავალება | 1 | |
| 6 | იუნესკო | 2 | |

## შეფასების ინსტრუმენტები

საკითხი ---კლიმატის ცვლილება

**კომპლექსური დავალება 4/1**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - - -- - - - -- - - - -- - - - - -- - - - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** ↓ | **მდგრადი განვითარება** | **სამოქალაქო მონაწილეობა** | **ინიციატივა და მეწარმეობა** |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე. კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, | | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა).<br>გამოკვეთს კომპლექსური | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **სამოქალაქო მონაწილეობის** არსს, მიზნებს, გზებსა და საშუალებებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | მოსწავლე მკაფიოდ გამოავლენს **სამეწარმეო** უნარ-ჩვევებს (განსაზღვრავს საჭიროებებს, აყალიბებს მოქმედების/პროექტის იდეას, მიზანს, მისი მიღწევის დროში გაწერილ გეგმას და საჭირო რესურსების ჩამონათვალს, ასევე მონიტორინგის მექანიზმს).<br>გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, მსჯელობს ხმარებიდან ამოღებულ და ნარჩენებად მიჩნეულ ტანსაცმელზე, რომელის ნაგავსაყრელზე მოხვედრის შემთხვევაში, გარემოს და კლიმატს დამატებით პრობლემას შეუქმნის, ამიტომ სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით და მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირში, დაამუშავებს ამ ტანსაცმელს და მათი საღი დეტალებით ახალტანსაცმელს შექმნის, ეს იქნება ლოკალური ქმედება გლობალური მიზნებისთვის)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. | მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, გარემოს დაცვა წარმოადგენს ადგილობრივ და გლობალურ საჭიროებას და მოხალისეობა, როგორც სამოქალაქო მონაწილეობა, ყველაზე მოხერხებულ ფორმას წარმოადგენს, რომ თანამოაზრეებიც შემოიკრიბო, მათთან ერთად აკეთო კარგი საქმე, ეს არ იქნება არც საფრთხის შემცველი და არც კანონსაწინააღმდეგო)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. | ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, საუბრობს ყველაზე მთავარ საჭიროებაზე, გარემოსადმი მეგობრულ დამოკიდებულებაზე, გამოკვეთს ძველი ტანსაცმლიდან ახლის შექმნის იდეას, წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, რომ ელსაც ეტაპობრივად განახორციელებენ. თანამოაზრეები მრავლად არიან, რადგან დაინტერესდნენ ფინალით, რომელიც მონიტორინგის** როლსაც შეასრულებს. ეს იქნება ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე, რომლისთვისაც რესურსი ყველას გვაქვს, საბოლოოდ მოვაწყობთ ჩვენებას.ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება.) ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაკავშირებით. | აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, ნარჩენების მართვაზე, ამოწურვად რესურსებზე, მდგრადი განვითარების მიზნებზე... ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული. შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, დაკავშირებას, მიმართებებს ვერ ახერხებს. | აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად,მოხალისეობაზე საუბრობს, საზოგადოების სასარგებლო ქმედებებზე, საოჯახო ნარჩენების მართვით დაინტერესებაზე...... ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული. შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, დაკავშირებას, მიმართებებს ვერ ახერხებს.. | აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, ასახელებს იდეას, რესურსებს, აქტივობებს, .. ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული. შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, დაკავშირებას, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით. მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, ნარჩენების მართვაზე... ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით. მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, საზუგადოებრივ საქმიანობაზე... ),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით. მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად,გამოფენა-ჩვენებაზე),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. |
| **პრე-სტრუქტურული დონე** | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს |

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს; დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს; დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... | საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს; დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

| საკითხი ენერგიის ალტერნატიული წყაროები<br><br>**კომპლექსური დავალება 4/2**<br><br>**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - -- - -- - - -- - - -- - -- - - -- -- - - - - -- | |
|---|---|
| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** ↓ | **მდგრადი განვითარება** |
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე. კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, საუბრობს ორ რეალობაზე, რომელიც სამომავლოდ გველოდება, კარგად იყენებს ილუსტრაციაზე წარმოდგენილ რეალობას მომავლის პერსპექტივების წარმოსაჩენად და მდგრადი მიზნების მისაღწევად. საუბრობს განახლებადი ენერგიის წყაროების გარემო უსაფრთხოებაზე და შესაძლებლობებზე..)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით |

| | |
|---|---|
| ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (**მაგალითად, საუბრობს ამოწურვად რესურსებზე, გამონაბოლქვებზე, ლოკალურ ქმედებებზე... )**, მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, კლიმატის ცვლილებებზე... )**, აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

საკითხი -ენერგოეფექტურობა

**კომპლექსური დავალება 4/3**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - - -- - - - -- - - -- - - -- -- - - - -- -- - - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** ↓ | **მდგრადი განვითარება** |
| --- | --- |
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე. კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ ,, |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **მდგრადი განვითარების** კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, მოსწავლე პროდუქტში და პრეზენტაციაში ერთმანეთს უკავშირებს ენერგოეფექტური ბინების გავლენას ოჯახის კომფორტსა და ეკონომიაზე და გარემოსთვის გაკეთებულ შენაძენზე, რომელიც ლოკალური წვლილი იქნება გლობალური მიზნების მისაღწევად.** )ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი( **... ),** მაგრამ ისინი განიხილება |

| | |
|---|---|
| ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ( **მაგალითად, ახსენებს სითბოს დიდ დანაკარგს, ,,სათბურის ეფექტს, დანაზოგს, ინვესტიციას...)** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

კლასი მე-9

მოსწავლის სახელი, გვარი

თემა    გარემოს დაცვა   – **შემაჯამებელი დავალება 4/4**

**სამიზნე ცნება: სოციალიზაცია, მდგრადი განვითარება**

დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ შენ ,,მომავლის არქიტექტორი" ხარ, შექმენი მომავლის იდეალური **გეგმა/მონახაზი/ნახატი/მაკეტი**. დაფიქრდი, რა გახდიდა შენს უბანს/ქალაქს/სოფელს გარემოსადმი უფრო მეგობრულად განწყობილს და რა გააუმჯობესებდა ეკოკლიმატს. სრული თავისუფლება გაქვს, ნუ შეზღუდავ ფანტაზიას!

| შეფასების კრიტერიუმები | ქულები | კომენტარი |
|---|---|---|
| • რა გაითვალისწინე პროექტში მცხოვრებთა პიროვნული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად? რა მისწრაფება გამოძრავებდა თავად, როცა ამ ნაშრომს ქმნიდი? **(სოც.-მკვ.წ.1)** | 2 | |
| • როგორ არის უზრუნველყოფილი პროექტში მომავლის უბნის/ქალაქის/სოფლის მცხოვრებთა უსაფრთხოების მოთხოვნილება ეკოლოგიური თვალსაზრისით? არის თუ არა ეს გარემო ინკლუზიური? **(სოც.-მკვ.წ.2; მდგრადი-მკვ.წ.2)** | 3 | |
| • რომელი ინსტიტუციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაითვალისწინე ეკოლოგიის საკითხებზე ზრუნვისათვის? როგორ ითანამშრომლებენ მათთან მოქალაქეები? დაზოგავენ თუ არა ყველანი ერთად რესურსებს სამომავლოდ;? **(სოც.-მკვ.წ.3; მდგრად.-მკვ.წ. 1)** | 2 | |
| • როგორი ურთიერთობები ექნებათ ამ უბნის/ქალაქის/სოფლის მცხოვრებლებს? რა გიქმნით მოლოდინს, რომ მათ ერთმანეთისა და გარემოს მიმართ მზრუნელი დამოკიდებულება ექნებათ? **(სოც.-მკვ.წ.4; მდგრად.-მკვ.წ.2)** | 3 | |

საკითხი -- იუნესკო

**კომპლექსური დავალება 4/5**

**მოსწავლის სახელი და გვარი** - -- -- - - -- - - -- - - -- - - -- - -- - - -- - - - -

| **კრიტერიუმი @ სამიზნე ცნება** → ↓ | **დემოკრატია** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გააქტიურებულ ყველა სამიზნე ცნებაზე. კომპლექსური დავალების დასკვნებს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან, სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.<br>მოსწავლის პროდუქტი/წარდგენა მოიცავს არამარტო მოცემულის/შეთავაზებულის გაგების ძირითად ასპექტებს და მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს, არამედ განზოგადების გზით, იგი ამყარებს კავშირებს მოცემულის მიღმა ასპექტებთან; აყალიბებს **სხვა** საგანთან/სფეროსთან/ეპოქასთან/გარემოსთან დაკავშირებულ იდეებს, სტრუქტურებს, განაზოგადებს საკითხს, გვიზიარებს ჰიპოთეზებს...<br>**შინაარსობრივად ტვირთავს ფრაზებს:,,** თუ საკითხს განსხვავებული კუთხით შევხედავთ, დავინახავთ კავშირს სხვა სფეროსთან...“ ,, ამ საკითხებიდან გამომდინარე, მაქვს რამდენიმე იდეა...“ |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს **დემოკრატიის** ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.<br><br>მოსწავლის პასუხი მოიცავს არამარტო სამიზნე ცნების, თემის საკვანძო ასპექტების ჩამონათვალს, არამედ მათ შორის კავშირებს/ მიმართებებს. **(მაგალითად, საუბრობს იმის შესახებ, რომ ეს ძეგლები მსოფლიომ აღიარა, მას იუნესკოს მიერ მიღებული დოკუმენტები იცავს, რომელსაც საქართველო მიერთებულია და მათი ხელყოფა დანაშაუ;ლად ითვლება ამიტომაც , როგორც მოქალაქე ვალდებულად მიიჩნევს თავს მიმართოს იუნესკოს ეროვნულ კომისიას და რეაგირება სთხოვოს,მიაჩნია, რომ ირღვევა როგორც მისი უფლება, დაიცვას ძეგლი, ასევე კაცობრიობის ინტერესებიც ილახება, რადგან ძეგლი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია,,ახსენებს დემოკრატიის მთავარიპროციპის კანონის უზენაესობის მნიშვნელობას და პრობლემას, სწორედ ამ პრინციპის დარღვევად მიიჩნევს..)** ცალკეული ასპექტების ინტეგრაციით მიღწეულია |

| | |
|---|---|
| | გამთლიანებული დასკვნები, გაგება. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა იმავე საკითხთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.<br>მოსწავლის პასუხში წამოწეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი **(მაგალითად, ძეგლის რესტავრაციაზე დახარჯულ ხარჯებს, რესტავრატორთა დასკვნებს, ახსენებს იუნესკოს კონვენციებსაც... ),** მაგრამ ისინი განიხილება განცალკევებულად, არ ჩანს კავშირები /მიმართებები მათ შორის, გაგება არის ზედაპირული.<br>შეიძლება ერთ-ერთი, ან ყველა ასპექტი გააზრებული აქვს, მაგრამ მათ გამთლიანებას, კავშირებს, მიმართებებს ვერ ახერხებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.<br>მოსწავლის პასუხი არის ძალიან მოკლე და მოიცავს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს( **მაგალითად, ასახელებს დარღვეულ უფლებებს),** აქვს ზედაპირული გაგება, თუმცა შეიძლება ასრულებდეს მარტივ პროცედურებსაც. (ჩამოთვალოს მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები...) |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.<br>მოსწავლეს არ აქვს პასუხი, ან მისი პასუხი საერთოდ აცდენილია მოთხოვნებს/დავალების კრიტერიუმებს;<br>დავალება არ შეასრულა, ვერ შეასრულა; პირობა ადეკვატურად ვერ აღიქვა... |

ISBN 978-9941-8-1798-4




